


# ელდარ მამისთვალიშვილი

K 243361  
3



## ქრისტეს პპართის

### ისტორია

F 81200  
3

ელდარ მამისთვალიშვილი



## ქრისტეს პვართის ისტორია

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

2003

ქმჩა




1625 წ. შეკვეთის ელჩებმა, ეთომც საქართველოდან გატაცებული ქრისტეს კვართი მოსკოვში მიიტანეს და რუსეთის ბელმწიფეს და პატრიარქს დიდი აძირო მიაწოდეს. ამ საქუფრმა სისახულთან ერთად სერიოზული ეჭვი გამოიწვია: იყო თუ არა იგი ნამდვილად ქრისტეს კვართი და როგორ ერთარებაში აღმოჩნდა მუსლიმანთა ხელმი. სიმართლის დადგენის სურვილში საქართველო-რუსეთის დიპლომატიურ ურთიერთობას XVII საუკუნეში, გარეულობის მიმართულება მისცა. ამ საკითხში აქტუალურია შეიძინ XIX-XX საუკუნეებშიც. ამიტომ აუცილებელი შეიქმნა ქრისტეს კვართის ისტორიის დაწერა, მისი საქართველოში მოტანილან უახლოეს პერიოდამდე გაცნობა, ამ საკითხისადმი გამოთქმული ხრულიად განსხვავებული შეხედულებებისა, დადგრენა იმ ეკუთხილება ჰუმარიტებისა, რომ ქრისტეს კვართი კუკულით მცხოვრილი, სკეპტიციზმის დიდ ტამარში განიცემებს და იგი არასოდეს არავა არც ამოულა და არც საქართველოდან გაუტანა.

კუიქრობ, ეს წიგნი გარსებულ სრულებულ მუსტანს საქართველოს და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიით დაინტერესებულ მემკონებელს.

В 1625 году посол шаха-Аббаса привез в Москву якобы похищенный из Грузии Хитон Господень и с большими почестями приподнес государю Российскому и патриарху Всех Руси. Этот дар был принят с благодарностью, но вместе с тем вызвал серьезное сомнение – был ли он действительно Хитоном Господним и в каких обстоятельствах Он оказался у мусульман. Желание удостовериться в истинности этой святыни дало в XVII веке грузино-русским дипломатическим взаимоотношениям определенное направление. Этот вопрос приобрел актуальность и в XIX-XX веках. Поэтому возникла необходимость написать историю Хитона Господня с того времени, как Он попал в Грузию и до настоящего времени, а также ознакомить читателя с совершенно разными взглядами, высказанными по этому вопросу. Например, что Хитон Господень всегда поклонился в Кафедральном Соборе Светицховели во Михета и его никто никогда не изымал и из Грузии не вывозил.

Думаю, эта книга принесет пользу читателю, интересующемуся историей Грузии, в частности, историей грузинской Православной Церкви.

წიგნი გამოიცა ბრეზიდებულტის რწმუნებულის შიდა ქანითები  
ბ-6 და და ქობლიანიძის ფინანსური მხარდაჭერით.



625260130206
625260130206
625260130206
625260130206

# რედაქტორისაგან



პროფესიონალურ ელდარ მამისთვალიშვილს სკეციალისტების წინაშე წარდგენა არ სჭირდება. მის მრავალრიცხოვან სამეცნიერო გამოცემების კარგად იცნობენ ქართველობის მემკვიდრეობის შესახებ მოყლოებ მოვუთხრო მეოთხეულს, ეს იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ: წინამდებარე წიგნი ჩვენი სამოვალების ფართო წრის ინტერესის საგანი განვდება.

ე.მამისთვალიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უშეალოდ ისტორიული წყაროების შესწავლას ეთმობა. ეცხო ენების ცოდნამ მყვლევარს საშუალება მისცა ზელი მოექიდა ისეთი რთული და საჭირო საქმიანობისათვის, როგორიცაა ევროპულ ნარატივებ თუ დოკუმენტურ მასალებში საქართველოს შესახებ ცნობების მოძიება. თარგმანები გერმანულიდან, იტალიურიდან, ესპანურიდან სათანადო ისტორიოგრაფიული შესავლითა და წყაროთმცოდნერითი კომენტარებით წარმოდგენილია ე. მამისთვალიშვილის არაერთ ნაშრომში. რამდენიმე მათვარი წიგნადაც გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის საეციალური სერიით (XVს. იტალიულ მოვზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაუროო ე. მამისთვალიშვილმა, 1981; თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიან ქართველები, 1577-1581 იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაუროო ე. მამისთვალიშვილმა, 1987; რუს კონსალეს და კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ. ესპანურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაუროო ე. მამისთვალიშვილმა, 1992).

მდიდარი წყაროთმცოდნერითი ბაზის გამოცემებით არის შექმნილი მეცნიერის გამოცემება „საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით, 1981. აღნიშნული ხანა, როგორც ცნობილია, არის უმძიმესი პერიოდი ქართველი ერის ისტორიაში და ეს გამოიხატა არა მარტო პოლიტიკურ სისტემაში, არამედ კულტურულ დეკადანშიც, თუნდ

იმ ფაქტში რომ ამ პერიოდში არ შექმნილა ეროვნული ისტორიოგრაფიას ნიმუშები, რომელიც დააფიქსირებდა ხალხის ისტორიულ ცხოვრებას. აღნიშნულის გათვალისწინებით ადგილი მისახვედრის თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ამ შემთხვევაში უცხოურ მასალებს, რომელიც გარსევედნილად აქსებს ადგილობრივი წყაროების სიმწირით გამოწეველ ხარვეზს.

ე. მამისთვალიშვილის კვლევების დიდი ნაწილი უკავშირდება აღმოსავლეთ საქართველოს. ამიტომ სრულად ბუნებრივა მისი ინტერესი საქართველოს ამ ნაწილის უმნიშვნელოვანესი ქალაქის - გორისადმი. მეცნიერის ერთ-ერთი საყურადღებო მონოგრაფია ეძღვნება სწორედ გორს, რომელშიც მრავალი კუთხით არის წარმოდგენილი ქალაქის მტორია (პირველი და მეორე ტომები გამოვიდა შესაბამისად 1994 და 2000 წლებში).

თანამედროვე სიციოლოგთა, პუბლიტართა დიდ ინტერესს იწვევს სამოგადოებაში ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობის კვლევა და ეს ჩშირად კეთდება ისტორიულ ჭრილში. განსაკუთრებით უკრადღებით სწავლობენ ებრაელთა საყითხს. საქართველოში ებრაელები მოსახლეობენ უძველესი დროიდან. ქართულ-ებრაული ურთიერთობის ისტორიული გამოცდილება უნიკალურია. იგი საინტერესოა თანამედროვე ქართველი ერისთვისაც, რომელიც დღეს - დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ - იმყოფება ნაცია-სახელმწიფოდ ჩამოყალიბების თეისებრივად ახალ ეტაპზე. ქართული სამოგადოების თუ თანამედროვე მეცნიერების განვითარების ამ მოთხოვნილებაზე თავისებურ პასუხს წარმოადგენს ე. მამისთვალიშვილის მონოგრაფია „ქართველი ებრაელთა მტორია (ანტიკური და უკოდალური პერიოდი)“ (1995). აღნიშნული პრობლემისადმი ინტერესს ასახავს ავრცელებელი მამისთვალიშვილის ბოლოობრიონდელი მონოგრაფიები „ქართველები და ბიბლიური სამყარო“ (1998) და „იერუსალიმის კვერის მონასტრის ისტორია (ქართველი პერიოდი)“ (2002).

წინამდებარე წიგნი ავტორისათვის საინტერესო საკითხების (ქართველები და ბიბლიოტერი სამყარო, ქართული დიპლომსტუ და საგარეო პრლიტიკა შეა საუკუნეებში) ერთგვარ სინთეზს, მათი ახალი კუთხით წარმოჩენის ცდას წარმოადგენს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ დღეს არაერთი ქართველი მეცნიერი ინტერესდება ქვართის ისტორიით და ამ


სიწმინდებთან დაკავშირებული რეალიებით. მაგალითად, დაცასახელებ თუნდ ქრისტეშობის ორიათასი წლისთვისადმი ძიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმშე „ქრისტიანობა: წარსული, აწყო, მომავალი“ - მ. ქურდავანის მიერ წაკითხულ მოხსენებას აკართი უფლისა და ქართული მესიანიში”; გ. ბარამიძის აქლახან დასტამბულ წიგნში „ლიტერატურული პარალელები“ (2002) წარმოდგენილ წერილს „წერილობითი წყაროები უფლის ჟელოუშმენლი კვართის შესახებ და ტერიტორიას მოსახხამ“. ცხადია, კუთითებ ხულ უკანასკნელი დროის ფაქტებს. თავად ამ სტრიქონების ავტორსაც არაერთი მოხსენება თუ სტატია აქეს მიძღვნილი კვართის ისტორიის მნიშვნელობაშე ქართველთა რჩეულობის იდეოლოგიაში, რომელიც შეიქმნა ქართლში ქრისტიანობის საბელმწიფო რელიგიად დამცველრებისთანავე და რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ქართული იდენტობის სამოყვალიბებაში (მ. ჩხარტიშვილი, ქართველთა მოქცევა და ახალი ეროვნული იდეოლოგიის სამოყვალიბება, მესხეთი, III, 1999; მისივე. ებრაელთა თემა ქართულ მესიანისტურ იდეოლოგიაში. - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თბილისი-ერთსალიში 2“, 1998). სამეცნიერო წრეების ეს ცხოველი ინტერესი მეჩვენება სიპტომატურად. დღესაც, როცა, როგორც ითქვა, ქართული იდენტობის, ეროვნული თეოცნობიერების განვითარება თვისებრივ ახალ საუცხურზეა ასული. კვართის ისტორია კელავ იპყრობს ჩვენი საშოგადოების კურადღებას. ამ საშოგადოებრივი ინტერესის გამოხატულება წინაშებარე წიგნიც.

ნაშრომი პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დავყოთ. მისი დასაწყისი თავები ეძღვნება უფლის კვართის შესახებ ბიბლიური მონაცემების აღნუსწეას, აგრეთვე შეა საუცხუნების ქრისტიანულ ლიტერატურაში აღნიშნული სიწმინდის შესახებ დაცული ცნობების ანალიზს, რა თქმა უნდა, ქართულ წყაროებშე განსაკუთრებული აქცენტით. მეორე ნაწილს კი შეადგენს ის თავები, რომლებიც შეეხება კვართის როლს შეა საუცხუნების საქართველოსა და რუსეთის დიპლომატიაში. პირადად ჩემში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია წიგნის სწორებ იმ მონაცემთა, რომელიც მრავალ კონკრეტულ ფაქტთან ერთად კიდევ ერთხელ ასაჩინოებს ძალას ზოგად და არსებით გარემოებას: რუსეთის მიჯაჭველობას (თუ შეიძლება ასე ითქვას)

საქართველოსადმი, იმას, რომ საქართველო რუსეთს სჭირდებოდა არა  
შხოლოდ როგორც გეოპოლიტიკური სივრცე თუ ეკონომიკური პლატფორმი,  
არამედ, როგორც მისი ნაციონალური იდეოლოგიის აუცილებელი  
კომპონენტი. რუსეთი ცდილობდა ქართული ეკლესიის არა მარტო მრევლის  
ასიმილირებას, მის ინკორპორირებას იმპერიაში, არამედ ქართული ეკლესიის  
ისტორიის საქართველოს აგაფონ“ ასეთი დრამატული კოლიზიებით სავსე.

აი, ასეთ შერეულ ფიქრებსაც აღძრავს ეს მცირე მოცულობის, მაგრამ  
ფაქტებით და დაყეირვებებით მდიდარი წიგნი. მე ზედმეტად მიმაჩნია  
ძეითხველს მეტი რამ უუთხრა მის შინაარსზე. კუიქრობ, უმჯობესია, მან  
მოუხმინოს თავად ავტორს, უფლის კვართის ისტორიის ასე საინტერესოდ  
მოხრობელს.

პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი  
თბილის, 2002, 10 ოქტომბერი



## „კვართი წმინდა, რომელი სიყრმესა უქსოვა დედამ“

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმთავრეს სიწმინდეს წარმოადგენს ქრისტეს კვართი, რომელიც გაღმოცემის მიხედვით, მცხეთაში, სევტიცხოვლის ტაძარში ინახება. არსებობს კვართის საქართველოში მოტანის რამდენიმე ეკრისია, რომელთა წარმოშობის მიხეზებსა და პირელწყაროთა დადგენას ქემოთ შევეცდები, მანამდე კი მოყლედ უნდა ითქვას კვართის რაობაშე. მათარებლები კვართის არ აღწერენ. მათთვის და მათი თანამედროვეთათვის ეს სამოსი ცნობილი იყო და მისი აღწერა ზედმეტად ჩათვალეს. ამიტომ დღეისათვის გარკვევა იმისა, თუ რას წარმოადგენდა კვართი, საქართველოს ქმნის ისიც, რომ ამაღლი აღთქმის სხვადასხვა თარგმანებსა და გამოცემებში იგი გაგებულია სხვადასხვაგვარად. მათეს სახარების ქართულ თარგმანში (27:35) ცეითხეულობით: „და როცა ჯვარს აცვეს, (ჯარისკაცებმა - ე. მ.) წილი ყარეს და გაიყვეს მისი სამოსი, რათა აღსრულდეს თქმული წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: გაიყვეს ჩემი სამოსი ერთმანეთში, და ჩემს კვართზე იყარეს წილი“. მათე გულისხმობს დავით წინასწარმეტყველს, რომელიც უბედურების მოლოდინში ამბობს: „ჩემს სამოსელს ინაწილებენ და წილს ფრიან ჩემს კვართზე“ (ფსალმ. 21:19). როგორც ჩანს, მათე ზოგადად ქრისტეს სამოსელზე ლაპარაკობს და ცალკე არ გამოჰყოფს კვართს. სახარებაში კვართი შემოდის მაშინ, როცა მათე ფსალმუნებს იმოწმებს. ჯარისკაცების მიერ ჯვარცმული ქრისტეს ტანსაცმლის გაყოფა-მითვისებაში, მათე დავითის წინასწარმეტყველების აღსრულებას ხედავს და მისი ფსალმუნის ციტირებას ახდენს, სადაც ნახსენებია კვართიც. საყურადღებოა, რომ 1989 წელს ოლა-ავიში გამოცემული საგალობელნის (თეჰილიმ) ქართულ თარგმანში კვართი საერთოდ არ არის: „ჩემს ტანსამოსს ინაწილებენ და წილს ყრიან ჩემს ჩასაცმელზე“.

კვართს ვერ ვხედავთ მარკოზის სახარების შესაბამის მუხლში: „ჯვარს აცვეს (ჯარისკაცებმა - ე. მ.) იგი, და წილისყრით გაიყვეს მისი სამოსი: ვის რა შეგვხდებაო“ (მარკ. 15:24).

კვართს არ ახსენებს მესამე მახარობელი ღუკაც. მის სახარებაში ღაკონურად ნათქვამია: „და წილისყრით გაიყვეს მისი სამოსი“ (ღუკა, 23:34).

ითანეს სახარებაში კვართოთ დაკაუშირებული მოელი გპიჩოდია. კვართი აქცენტირებულია, როგორც ქრისტეს სამოსელის ერთ-ერთი უშიშრებულოვანესი კომპონენტი: „ხოლო მეომრებმა, რომლებმაც ჯვარს აცეს იქსო, აიღეს მისი სამოსი და ოთხ ნაწილად გაფეხს, თვითეულ მეომარს ხვდა თავისი წილი, და აგრეთვე კვართი. ხოლო კვართი ნაკერი კი არ იყო, არამედ თავიდან ბოლომდე ნაქსოვი. და ვის შეხვდება; რათა აღსრულდეს წერილი, რომელიც ამბობს: გაიცეს ჩემი სამოსი ერთმანეთს შორის, და ჩემს კვართზე იყარეს წილი. ამ მოიქცნენ მეომრები“ (იოანე, 19:23-24).

მიუხედავად იმისა, რომ ითანეს წინამორბედი - მათე, მარკოზი და ლეპა კვართის არ ახსენებენ, ისინი სამოსელში იმასაც გულისხმობენ. ეს რომ ახა, ამაში გვარჩმუნებს გამოსელის 28-29 თავები: უფალი მოსეს ავალებს, რომ მისი ძმის აარონის შეილებიანად მღვდლებად კურთხევი-სათვის აუცილებელია „შესამოსელი, რომელიც მათ უნდა გაუწყონ: სამკერ-დული, უფოლი, წამოსახსამი, ნაქსოვი კვართი, თაქაბურავი და სარტყელი. გაუწყონ წმინდა შესამოსელი შენს ძმას აარონს და მის შეილებს, რომ მღვდლობა გამიწიონ მე“ (გამ. 28:4). თორაში ნაქსოვი კვართის მაგიერ არის „უკამინებული პერანგი“, ე.ი. უჯრედებიანი ნაქსოვი პერანგი (8 : თეცავე; 28:4).

ეს ყველაფერი რომ სამღვდელო პირის შესამოსელს წარმოადგენდა, კვართის ჩათვლით, კიდევ უურო ნათლად ჩანს გამოსვლის სხვა ადგილის. ღმერთი მოსეს უბრძანებს: აიღე სამსხვერპლოზე დაღვრილი სისწლი და მირონი და ასხურე აარონს, მის შესამოსელს, მის შეილებს და მათს შესამოსელს. გაინათლება იგი და მისი შესამოსელი, და მასთან ერთად მისი შეილები და მათი შესამოსელი“ (გამ. 29:21).

ახალ აღთქმაში არაფერია ნათქამი თუ როგორი იყო ქრისტეს კვართი, ქერძოდ რა მასალისაგან და როგორი იყო შექმნილი (ნაკერი თუ ნაქსოვი?), როგორი ფორმისა და ფერის. როგორც გამოსელის ზემოთ მოყვანილი ამონაწერებიდან ჩანს და სხვაგან კიდევ უფრო ნათლად არის ნათქამი, კვართი სელისაგან მოქსოვილი იყო. უფალი ეუბნება მოსეს: „მოქსოვე სელის კვართი“ (გამ. 28:39). უფლის იგივე ბრძანება თორაში უფრო სრულადაა გადმოცემული: „და უჯრედულად მოქარე ბისონის პერანგი“ (8: თეცავე; 28:39).

თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსეს ხუთწიგნეული და მისი ერთ-ერთი ნაწილი - „გამოსელი“ შექმნილია IX-IV საუკუნეებში, მაშინ გასავები გახდება, რომ ა. წ. I საუკუნემდე კვართის მასალას და დამზადების

ტექნიკას ცვლილება არ განუცდია (საკითხაება საიდან იცოდა მ. საბინინმა, რომ ქრისტეს კვართი მოქსოვილი იყო ბაბილონური ნაში მატყულისაგან, 80:2). მაშასადამე, ძველი აღთქმის მიხედვით, კვართი იქსოვებოდა სელის ძალისაგან, უჯრედებიანი სახით.

ერთხელ კიდევ გაფისენოთ ითანეს სახარების ზემოთ მოყვანილი ადგილი: „წოლო მეომრებმა, რომლებმაც ჯვარს აცევს იესო, აიღეს მისი სამოსი და ოთხ ნაწილად გაყვეს, თითოეულ მეომარს ხვდა თავისი ნაწილი, და აგრეთვე კვართი. ხოლო კვართი ნაკერი კი არ იყო, არამედ თავიდან ბოლომდე, ნაქსოვი“. ამის შემდეგ გასაგებია, რატომ არ არის კვართის დაბასიათება ახალ აღთქმაში. მოციქულებმა ზედმეტად ჩათვალეს იმის გამეორება, რაც სრულიად გასაგებად იყო ასწილი ძველ აღთქმაში.

აღმოსავლეთის ხალხებში, კერძოდ, სომხებსა და სირიელებში არსებობდა ლეგენდები ქრისტეს კვართზე ანუ ქიტონზე, მაგრამ ქართულისაგან იმ განსხვავებით, რომ მათში ყურადღება გამახვილებული იყო ქიტონის წარმოშობასა და მის ჯვარცმამდელ ისტორიაშე.

სომხურ ენშე არსებობს ლეგენდის ორი რედაქცია - მოკლე და ვრცელი. ვრცელი რედაქციის ავტორად გამოცხადებულია IV საუკუნის ცნობილი ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწე ითანე ოქროპირი, მამინ, როდესაც მოღწეული ლეგენდის ორი ხელნაწერიდან ერთი განეკუთვნება 1439 წელს, მეორე კი - 1697 წელს. ლეგენდას ჰქია: „არქიელი ითანე ოქროპირის თხზულება ზეგარდმო გადმოსული უფლის უკერავი ქიტონის შესახებ და სომეხთა ძევე აბგარის ისტორია“. მასში მოკლედ გადმოცემულია ქრისტეს შობამდე მომხდარი ზოგიერთი განსაკუთრებული მნიშვნელობის ის ამბავი, რომელიც მოთხოვობილია ახალ აღთქმაში, აგრეთვე აბგარის გამეფება, მისი ავადმყოფობა, იესოსთან კაცის გაგზავნა... ძევე აბგართან ვაჭრები მიეიღნენ და უკერავი ქიტონი მიუტანეს. ძევემ გამიზეა და იკითხა როგორ აღმოჩნდა მათ ხელში ქიტონი. გაირკვა, რომ ვაჭრებმა ქიტონი მწყემსებისაგან შეისყიდეს. ძევესთან მიყვანილმა მწყემსებმა სოქეს შემდეგი: ისინი როცა ცხვარს მწყემსავდნენ ცეცხლი აალდა, ახლოს მივიღნენ და დაინახეს სამი ცეცხლოვანი მამაკაცი, რომლებიც ქიტონს ემსახურებოდნენ. მათ ქიტონი თეთრ ტილოში გაპეიეს და მწყემსებს გადასცეს. აბგარმა ქიტონი საჩუქრად ქრისტეს გაუგზავნა და წარგზავნილებს დაავალა მაცხოვრის სურათით დაბრუნებულიყვნენ, რათა მისი მეშვეობით განკურნებულიყო. ძევეს ქრისტეს ხელთუქმნელი ხატი მიუტანეს და განიკურნა.

იესომ ჩაიცვა უკერავი ქიტონი და თქვა: „მოაწია კაცის ძის განდიდების უამძა“ (იოან. 12:23). ამის შემდეგ მოხდა მისი ჯვარცმა (66:81-92).

6. მარის გამოკვლევით, ზემოთ მოთხრობილი სომხური ლეგენდის ამოსავალი უნდა იყოს ნესტორიანელი ეპისკოპოსის სოლომონის სირიულ ენტე დაწერილი წიგნი. სოლომონი ცხოვრობდა XII-XIII საუკუნეებში. როგორც 6. მარი ვარაუდობდა, სოლომონმა ლეგენდა უფრო მეტი სირიული წერილობითი ძეგლიდან გადმოიღო (66:96). 6. მარს მოყვანილი აქვს ლეგენდის სრული რუსული ტექსტი, რომელშიც ქიტონის შესახებ იგივეა რაც სომხურში (66:94-96).

აუცილებლად უნდა მიექცეს კურადღება იმ გარემოებას, რომ V საუკუნის სომები ისტორიკოსი, „სომები პერიდოტედ“ აღიარებული მოქაეს ზორენაცი, თავის „სომხეთის ისტორიაში“ საქმაოდ ვრცლად წერს აბგარის მიერ იესო ქრისტესთან დესპანების გავზავნშე, ქრისტესა და აბგარის მიმოწერაზე, ქრისტეს ჯვარცმისათვის შერისძიებაზე, მაგრამ არაუერს ამბობს ქიტონის შესახებ (19:125-130). მისთვის ცნობილი არ არის ზემოთ აღნიშნული სომხურ-სირიული ლეგენდები, რაც მაციქწებინებს, რომ მისი დროსათვის ისინი ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ამგარად, „მოქცევად ქართლისავ“ ქრისტეს ჯვარცმის შემდგომი პერიოდის ქიტონზე (პერანგზე) გვაწევდის ცნობებს და მას სომხურ და სირიულ ეერსიებთან ორგანული კავშირი არა აქვს.

პირველ რიგში საინტერესოა გაირკვეს კვართის გარდა სხვა კიდევ რა ემოსა იესო ქრისტეს. როგორც ითქვა ჯარისკაცებმა სამოსელი გაიყენეს, მაგრამ კონკრეტულად რა და როგორ არ ვიცით. სავარაუდოა ჯარისკაცებმა ისინი ნაკერებზე დახიერება და, ამგვარად, ნაჭრების სახით გაინაწილეს. კვართი კი, რომელიც მთლიანად ნაქსოვი იყო, დაბევურსას დაირღვეოდა და იგი შემდგომი მოხმარებისათვის უვარვისი გახდებოდა. ამიტომ ჯარისკაცებმა მასზე წილი ყარეს და მხოლოდ ერთის წილზედრილი გახდა.

იმის გარდა, რაც იესო ქრისტეს ჯვარცმის წინ უცვა, მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე ის სამოსელიც, რომლითაც ის დაყრძალეს. იოანეს სახარების მიხედვით (19:40), „აიღეს იესოს სხეული და გასვიეს ტილოებში, ნელ-საცხებელთან ერთად, როგორც ჩვეულისამებრ მარხავენ იუდეველინ“. საინტერესოა, როგორი იყო „ჩვეულისამებრ“ დამარხვა: მარხავდნენ სუდარით, რომელიც მზადდებოდა სელის თეთრი ქსოვილისაგან. მათეც ზომ ამბობს (27:59): „წამოიღო მისი სხეული იოსებმა, და შეახვია წმინდა

ტილოში". სუდარა იქერებოდა ფართე გვირისტით და შესდგებოდა რამ-დენიმე ნაწილისაგან. მამაკაცებისათვის მზადდებოდა: მიტრის მსგავსი თავსაბურავი, შარვალი, პერანგი, სტიქარისა და სარტყელის მსგავსი ტანისამოსი (54:804).

ქრისტეს ამაღლების შემდეგ, პეტრე მოციქულმა იესოს საფლავი მოინახულა „მაგრამ ტილოების მეტი ეერაფერი ნახა” (ლუკა, 24:12; ოთანე, 20:5). ოთანე დამატებით გვაცნობებს: „ხოლო სუდარა, რომელიც თავზე ეფინა ტილოებთან კი არ იდო, არამედ ცალკე დაჟეცილი დაედოთ სხვაგან” (20:7).

ზემოთ მოყვანილი ცნობები ჯვარცმული და დაკრძალული ქრისტეს შესამოსელის შესახებ ლეონტი მროველს გადმოცემული აქტს „მოქცეუაში” მიხედვით: „ჯვარის აცუეს და სამოსელსა მისსა ზედა წილი იგდეს. და მისუდა სამოსელი იგი ჩრდილოს, მცხეთელთა მოქალაქეთა, და მათ წარიღეს და დაპერძალეს. არამედ იგი აღდგა... და ვითარცა განთენა მოვიდა საფლავად პილატე და ცოლი მისი. და პოვნეს, ტილონი იგი მდებარენი. და მოითხოვნა ცოლმან პილატესმან და წარვიდა სწრაფით პონტოდ სახლად თვისად, რომელი -იგი ქმნა მორწმუნე ქრისტესა”. ის რაც პილატეს ცოლმა წაიღო, არ ვიცით როგორ, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, როგორც ლეონტი მროველი ამბობს, ლუკა მახარებლის ხელთ მოხვდა „და დასხნა მან იგინი სადაცა თვით უწყის”. ლუკამ სუდარა ვერ იძოვა, რადგან ის პეტრემ წაიღო (20:12; 29:78).

აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ V საუკუნის სომეხი ისტორიისი მოქსეს ხორენაცი თავის „სომხეთის ისტორიაში” საკმაოდ კრიულად წერს ედესის მთავრის აბგარის მიერ იესოსთან ელჩების გაგზავნშე, იესოსა და აბგარს შორის მიმოწერას, უკანასკნელის მიერ შურისძიებაშე ქრისტეს ჯვარცმის გამო, მაგრამ არაფერს ამბობს ქიტოზე (19:125-130). ის არ იცნობს ზემოთ გადმოცემულ სომხურ ლეგენდებს, რაც უფლებას მაძლევს ეიუიქრო, რომ იმ დროს (V ს.) ისინი ჯერ კიდევ არ არსებობდა.

მაშასადამე, „მოქცევად ქართლისავ” გადმოგვცემს ცნობებს ქატონზე ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ და მას როგორული კავშირი არა აქვს არც სომხურ და არც სირიულ ეერსიებთან.

პირველ რიგში საინტერესოა გაირკვეს რა ემოსა იესო ქრისტეს ქიტონის გარდა. როგორც ითქვა, ჯარისკაცებმა გაინაწილეს მხსნელის სამოსელი, მაგრამ კონკრეტულად რომელი და როგორ, არ ვიცით,

\* სავარაუდოა, ჯარისკაცებმა ისინი ნაკერებზე დაბიეს და, ამგვარად, ნაჭრების სახით გაინაწილეს. კვართი კი, რომელიც მოლიანად ნაქსოვი იყო, დაქვისას დაირღვეოდა და შემდგომი მოხმარებისათვის უკარგისი გახდებოდა. ამიტომ ჯარისკაცებმა მასზე წილი კარეს და მხოლოდ ერთის წილზე დარილი გახდა.

იმ სამოსელის გარდა, რომელიც იესოს ემოსა ჯვარცმამდე, მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომელშიც ის დაკრძალეს. ითანეს სახარების მიხედვით: „და აიღეს იესოს სხეული, და გაახვიეს ტილოებში, ნელსაცხებელთან ერთად, როგორც ჩვეულებისამებრ მარხავენ იუდეველნი“ (იოანე 19:40). შემდგომში ღუკა მახარობელმა სუდარა კერ იპოვა, რადგან, როგორც ამბობენ, ის პეტრემ წაიღო.

ამგვარად, იესო ქრისტეს როგორც ამქვეჭიური ისე დასაკრძალავი სამოსელიდან, მრავალი წმინდა რელიგიის დამზადება შეიძლებოდა. ერთადერთი, რომელიც ასეთი ზემოქმედების შემდეგ თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობას დაყარგავდა და მოლიანად განადგურდებოდა, ქრისტეს კვართი ანუ ქიტონი იყო.

ალბათ, ამით უნდა აისწინოს ის გარემოება, რომ ქრისტეს სამოსელის (ის რაც დაბიეს) ნაწილები სხვადასხვა ქვეყანაში აღმოჩნდა. შეიძლება ის რაც დაბა იყო პერანგი (რუს. срачница), რომელს ერთი ნაწილი დაცული ყაფილა საქართველოში, კერძოდ, ალავერდის ტაძარში, როგორც ამის შესახებ მოსკოვში სცოდნიათ. სახელმწიფო სათათბიროს მდივანი ივ. გრამოტინი თეომურაში I-ის ელჩის თეოდორე მანგლელ რევისულს ეუბნება: მეუე მხხეილ თეოდორეს ძემ და პატრიარქმა ფილარეტმა მრავალი ადამიანისაგან, მათ შორის იმ ბერძნებისაგან, რომელიც ხელმწიფესთან მიღდან, იციან, რომ ივერიაში იყო ქრისტეს ქიტონი და პერანგი. "Ведомо М. Ф. и отцу ево государю московскому и всяя России ото многих людей и от грек, которые приезжают к ним государем из греческой земли: что были в ыверской земле Христов хитон и срачница в которой Христос был распят... и каков тот хитон и срачница были, и случилось – ли ему самому то видать и где ныне тот хитон и срачница и какою хитон и срачница мерою и делом и в чем тканы ..." (74:89).

თეოდორემ ქიტონისა და პერანგის საქართველოში არსებობა დადასტურა, მაგრამ მინი და სხვა უმნიშვნელოვანესი სიწმინდეები კახეთში, თეომურაშის მფლობელობაში გამოაცხადა (74:90-91. ივ. გრამოტინის და თეოდორეს საუბარი, მცირეოდენი განსხვავებით იბ. 45 : 43-47).

იმავე ივ. გრამოტინის კითხვაშე, საქართველოს საქმეებში კარგად გარეცეულმა მოსკოვის ნოვოსპასკის ეკლესიის მონაზონმა, ბერძენმა ოთანიერი განაცხადა: მე არ მინახავს, მაგრამ ქრისტეს ქიტონი ნამდვილად საქართველოში იყო, ხოლო პერანგი სად არის, არაფერი გამიღონიათ "А говорят – де о том грузинцы многие люди, что то древо выросло от хитона ... А самому ему того хитона видеть не случилось, нечто будет тот хитон выныли из земли грузинские люди после его. А про срачицу де Христову, где она, слышати ему не случилось" (74:97).

კვართის საინტერესო და დეტალური აღწერილობა იმავე ითანიკეიმ დაგვიტოვა. მან სათათბიროს მდივანს ივ. გრამოტინს მოუთხრო ის, რაც იერუსალიმში ყოფნისას გაეგონა: პილატემ და არქიელებმა იქსი ქრისტე გაასამართლეს და სიკედილი მოუსაჯეს. იგი ჯვარცმისათვის მეომრებს გადასცეს. როდესაც მეომრები იმ ადგილზე მივიდნენ, სადაც იქსი ჯვარს აცვეს, სამოსელი გახადეს და გაინაწილეს. ქრისტეს თავიდან უეხებამდე ეცვა ღვთისმშობლის მიერ მოქსოვილი ქიტონი. მაგრამ ითანიკეიმ არ იცოდა ქიტონი აბრეშუმის, სელისა თუ მატყელისა იყო, უერი კი ლაშვარდისა ჰქონდა. ითანიკეიმს სცოდნია, რომ სინამდვილეში ეს იყო მანტია, უსახელებო, განიერი და გრძელი. ქრისტეს კვართი სხვებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ თავიდან ბოლომდე ნაქსოვი იყო (ზემოთ ითქვა, რომ კვართი, ძველი აღთქმის მისტერით, აუცილებლად ნაქსოვი უნდა ყოფილიყო). ითანიკეიმ ისიც სთქვა, რომ არაბეთში ამეამად იცვამენ მსგავს სამოსელს და მას არაბულად „იჩრამი“ ჰქიაო (74:95-96).

კრისტონი დეგენრაციას მიხედვით, კვართი ღვთისმშობლის ხელით მოქსოვილი იყო. როდესაც კვართის ხელით ქსოვისე მიუთითებდნენ, მაშინაც მოქსოვად ღვთისმშობელს გულისმობდნენ. ისიც საინტერესოა, რომ ეს საქართველოშედი სამოსელი იქსოს ბავშვობიდან ჯვარცმამდე ეცვა. 1669 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ის ელჩმა ეზიკელმა მოსკოვში განაცხადა: „ჩვენს მხსნელ ქრისტეს ჩეილი ყრმის ასაკში ეცვა ხელით ნაქსოვი პერანგი“ (21:162). 1733 წელს იმერეთის დედოფლალი რუსეთის იმპერატორ ანა ითანეს ახულს (1730-1740) წერდა: „ჩვენ ცოდვათათვის ეგულებელს ჰყო ტებილმა უბიწოდ მშობლისა თუსისა წელით ქმნული კვართი წმინდა, რომელი სიყრძესა უქსოვა დედამინ და ვიდრე ჯვარცმამდე ემოსნეს უფალსა ჩვენსა“ (49:202).

ებრაელები იცვამდნენ ხალათს - ქეტონეთს, რომელიც თავდაპირველად სხეულის ზედა ნაწილს ფარავდა, შემდეგში, ქანანელთა ტანსაცმლის

გავლენით, ქეტონეთი დაგრძელდა. ეს სამოსელი ებრაელებისაგან გადაიღეს ფინიკიელებმა, მათგან ბერძნებმა და რომაელებმა ქიტონისა და ტუნიკის სახით. იგი სრულად შეესიტყვებოდა გეიანდელი ფელაზებისა და ბედუინების ქვედა საცვალს, მაგრამ ებრაელების ქიტონი ფელაზებისჩე მოყლე და მოყლე სახელობიანი იყო (50:19). რუსებს ქიტონი წამოსასხამად (පლაშ) მიაჩნდათ. სხვათამორის ის, რომ რუსი ისტორიკოსები სხვადასხვა სახელით (хитон, срачница, риза, одежда) აღნიშნავდნენ ერთ ნაგულისხმევ საგანს (ჩემი გაგებით კვართს), ეს აღრევა გამოიწვია იმ ისტორიულმა საბუთებმა, რომელშიც შეაპ აბასის მიერ მოსკოვში გაგზავნილი საჩუქარი აისახა. ასეთმა ვითარებამ გავლენა მოახდინა სხვადასხმვა გამოყვლევებზე და ამიტომაც საქართველოდან წაღებულ სიწმინდეს ავტორები სხვადასხვა სახელით აღნიშნავდნენ. მხოლოდ 6. მარი მას მოიხსენებდა ერთადერთი სახელით - ქიტონი, რომლის შესატყვევის ქართულში არის კვართი. 6. მარი ამით ზრდს უსვამდა იმ გარემოებს, რომ შეაპ აბასის მიერ მოსკოვში გაგზავნილი სიწმინდე ქრისტეს სამოსელის სხვა რომელიმე ნაწილი კი არ იყო, არამედ სვეტიცხოვლიდან წაღებული კვართი (66).

მგონია, ყველაზე სწორი განმარტება კვართისა აქეს სულხან-საბას: „კვართი - ჯუბა, გინა პერანგი“<sup>4</sup>. ჯუბას კი განმარტავს შემდეგნაირად: „ჯუბა სამოსელი პერანგიეთ (სხვილი სამოსელი პერანგიეთ)<sup>5</sup>. ეფიქტობ გადაჭარბებით კატეგორიულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (1986 წ. გამოც): „კვართი იგივეა რაც პერანგი“. ძალზე ზოგადია ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“: კვართი, „სამოსელი“, „შესამოსელი“, ტანსაცმელი, პერანგი. რა თქმა უნდა ი. აბულაძე ძველ ტექსტებს ეყრდნობოდა, მაგრამ ამოსავალი მაინც სახარება უნდა იყოს, რომელშიც სამოსელი და კვართი ერთმანეთისაგან გარკვევით განსხვავებულია. ნინოს ცხოვრების მცხეთური ვარიანტის რუსულად თარგმნისას ა. ნატროშვილმა, ჩემი მხრით, სრულიად სწორად კვართის ჩველგან ქიტონი შეუნაცვლა (69:87-97). ეს სიტყვა (კვართი, კუართი) გავრცელებულია მრავალ ენაში და ნიმნაეს: პერანგს, კაბას, მოყლე ქურქს და ა.შ. (1:247-248).

შეპის მიერ მოსკოვში გაგზავნილ ზარდაბში იღო ერთი მტკაველის სიგრძისა და სიგანის ტიპის ნაჭერი, როგორც ამას ტვერის არქიეპისკოპოსი კოლიზისის მაყარის მონასტრის იღუმენს 1626 წლის იანვარში აცნობებდა (83:246). სიტყვა-სიტყვით იგივეს სწერდა სიბირსკის

და ტობოლსკის არქიეპისკოპოსი მაკარი ეოცეოდა ივანე ბაკლანოვსკის 1626 წლის მარტში (84:№73, 291). ეს უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნობაა, რომელიც, აღბათ, საბოლოოდ არცევეს შაპ აბაშის მიერ მოსკოვში გაგზავნილი საჩუქრის რაობას. ის ქსოვილი არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა ქრისტეს კვართის ნაწილი. ჯერ ერთი, როგორც ითანეს სახარებიდან ვიცით, ქრისტეს კვართი ჯარისკაცებმა არ დამიეს და იგი მთლიანად ერთ-ერთ მათგანს ერგო. ძნელია იმის დაშვება, რომ ქრისტიანი, რომელმაც კარგად იყოდა ქრისტეს კვართის სახარებისეული თავგადასავალი, გაბედავდა და მას ხელყოფდა, დაანაწილებდა. ქრისტეს ხვა სამოსელის ბედი ცნობილია: ისინი დამიეს თუ დაჭრეს ჯარისკაცებმა და, რა თქმა უნდა, ამდენად მოსალოდნელი იყო გარკვეული რაოდენობით გაფანტულიყო სხვადასხვა ქრისტიანულ ქვეყანაში (ამასზე ითქმევა შემდეგში). ქრისტეს სამოსელის ერთი ნაწილი, კერძოდ, ის, რომელიც შაპმა გაიტანა საქართველოდან, აღბათ, მართლაც ერთი მტკაველის სიგრძესიგანისა, ისევე როგორც სხვა მრავალი სიწმინდე, ჩადებული იყო რომელიდაც ხატის ან ჯვრის სანაწილებში, არა დამალვის მიზნით, არამედ ჩვეულებისა და წესის მიზედვით. კვართი (ქიტონი) კი, მთლიანად სვეტიცხოველშია იმ დროიდან რაც ის ელიოზის დასთან ერთად დაიკრძალა, მას აღარასოდეს არავინ არ შეხებია.

### „და მოვიდეს ივინი ზილვად იესუსა“

„მოქცევამ ქართლისა დდან“ ცნობილია, რომ ქრისტეს გასამართლება-დასჯმე დასასწრებად იერუსალიმში მიიწვიეს საქართველოს ებრაელთა ოთხი თემის წარმომადგენელი. იერუსალიმში წახულ დელეგაციის სათა-ვეში ედგა მცხეთელი ელიოზი. უკან მობრუნებულმა ელიოზმა თან მოი-ტანა ქრისტეს კვართი (20:126).

დგება კითხვა: რატომ ხვდა წილად კვართი საქართველოს? წინათ, როდესაც ამ საყითხს ვეხებოდი, გამოვთქვი შემდეგი მოსჩერება: „მხოლოდ შეიძლება ვივარაულოთ, რომ იერუსალიმს მისულმა ქართველმა ებრაე-ლებმა ჯვროვნად დაუმტკიცეს ადგილობრივ და სხვა ქვეყნებიდან თავმოყრილ ქრისტეს მიმდევრებს თავიანთი ღრმა ცოდნა და ერთგულება იმ იდეებისადმი, რომლისთვისაც წამა მაცხოვარი. ღრმა, მიმნიშნებელი ჰქონითაა დატვირთული სიტყვა „წილოთხედომა“. ჩანს, რომ იერუსალიმში ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ, მის მიმდევრებს, რაღაც ქრების მსგავსი პენდათ, სადაც გაირცვა, რომელი ქვეყნიდან მოსულებმა რა წვლილი

შეიტანეს მაცხოვრისათვის მძიმე სასჯელის აცილების საქმეში. პაექრობაშ ყველა დააწმუნა, რომ სტუმრები საქართველოდან გამოირჩეოდნენ თავიანთი განსწავლულობითა და გამბედაობით. შეიძლება ამ გარემოებაშ განაპირობა ის ფართო ასპარეზი, რომელიც ქართველებმა მოიპოვეს პალესტინაში და თვით იერუსალიმში საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ“ (13:139). ჩემი ეს მოსჩრება დამყარებული იყო უპირველეს ქართულ წყაროებზე „მოქცევა ქართლისად“ და ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა შეუფეხ“. მაგრამ არსებობს დასახელებულ წერილობით წყაროთა საუძველეს, შემდგომ პერიოდში შექმნილი ვერხიერიც, რომლებიც განსხვავებული მოსჩრებებისა და ვარსულების გამოთქმის პირობას ქმნის. მათ ქვემოთ განკითილავთ. მანამდე კი, უნდა გავეცნოთ კვართის საქართველოში მოტანასთან დაკავშირებული რამდენიმე ლეგენდარული პიროვნების შესახებ ცნობებს.

კვართის საქართველოში მოტანა, დაკავშირებულია მცხეთელი ელიოზის სახელთან, რომლის შესახებ უპირველეს და საინტერესო ცნობებს „მოქცევა“ იძლევა.

მირიან მეფემ როდესაც გაიგო, რომ კვართი მცხეთაში იყო დამარხული, სინამდევილის დაღვენა ისურვა და ებრაელები დაიბარა. მეფის კითხვები მათ უპასუხეს შემდეგი: „აქეთ წარვიდეს (იერუსალიმს - ე.მ.) ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კანისელი და თალენავ და მისაელ“ და კვართი მათ მოიტანესო, მაგრამ არ გაუმსილეს სიწმინდის დამარხვის ადგილი (20:87). უკველია, რომ ეს ოთხი პიროვნება იმ ოთხი ებრაული თემის წარმომადგენელი იყო, რომლებმაც შემაშფოთებელი წერილები მიიღეს იერუსალიმიდან. „მოქცევაას“ შატბერდული რედაქციის მიხედვით, ამიათარ მღვდელის ჟული სიღონია ამბობს: „რდეს-იგი მეფობდა პერიდი, და მოგუესმა აქა (მცხეთა - ე.მ.) ეითარმედ სპარსთა იერუსალიმი დაიპყრესო, გლოვისა წიგნი მოეწერა ყოველთა ჰურიათა მიმართ ქართლისათა, მცხე-თელთა შეკურთა ბოდელთა მღვდელთა, კოდის-წყაროელთა მწიგნობართა, და სობის-კანანელთა თარგმანთა...“ (20:126). უნდა აღინიშნოს, რომ სალომე ეუარმელი ქრისტეს კვართის საქართველოში მომტანელებს, ყველას მცხეთელებად მოიხსენიებს: „და წილით პხედა ჩრდილოთა, მცხეთელთა, კუართი იგი უფლისა იესუსი და დამფულეს მათ დამბადებელი თუსი და დაპრძნალეს საფლავი“ (იგივე შერი უფრო ნათლადაა ჭელიშურ რედაქციაში: „და მისუდა სამოსელი იგი ჩრდილოს, მცხეთელთა მოქალაქეთა,

და მათ წარიღეს და დაპყრობალეს“) (20:13). შეიძლება ვივარაულოთ, რომ სალომე უქარმელი ჩრდილოსა და მცხეთაში ქართლს გულისხმობს და არა მხოლოდ მის დედაქალაქს. ეს რომ მართლა ასე იყო, ამაში გვარიწერა მუნებს სიღრისას სიტყვები: „და წარვიდა ელიოზ და ყოველნი პურიანი ქართლით“ (20:128).

საფუძველი გვაქს ვთქვათ, რომ საქართველოდან იერუსალიმს წასულებს ელიოზი ხელმძღვანელობდა. „მოქცევაზში“ არაა აღნიშნული თუ რატომ წაუძღვა ელიოზი სხვადასხვა თემის წარმომადგენლებს. პირეელ რიგში ეს განპირობებული უნდა ყოფილიყო იმით, რომ ის იყო იძერის სატახტოს ძლიერი და მრავალრიცხოვანი თემის წარმომადგენელი. მას, ალბათ, უპირატესობა მიანიჭეს ცოდნისა და გამოცდილების გამოც. შეიძლება მართალი იყოს ის მოსხირება, რომ ელიოზი მრავალჯერ იყო იერუსალიმში და მას იქ ნათესავ-ნაცობები ჰყავდა. საინტერესო ისიც, რომ „მოქცევაზში“ არ არის აღნიშნული, რომ ის სასულიერო პირი იყო (თეიმურაშ ბატონიშვილის მიხედვით, ელიოზ მღვდელი იყო. 8:437) (მ.საბინინი, არ ვიცი რის მიხედვით, მას საქართველოს ებრაელთა მთავარ რაბინად თვლილა. 73:6), არც მისი ასაყია მითითებული. მხოლოდ ლეონტი მროველი აბიათარს ათქმევინებს: „და წარვიდა აქათ ელიოზ, მამის მამა წემი, კაცი მოხუცებული“ (29:99). მ. ჯანაშვილს ის ყრმად მიაჩნდა (37:5). სხვაგვარად ეს ისტორიის ელიოზს ვერ წარმოგვიდგენდა იმ როლის განმაპორციელებლად, რომელიც მას ქრისტეს კვართის საქართველოში მოტანაში მიაკუთვნა.

ელიოზის დედა ყოფილა „ტომისაგან ელია მღვდელის“ (29:36,99). არც ერთმა ქართულმა წერილობითმა წყარომ ან თხზულებამ არ იცას ელიოზის დედის სახელი. მხოლოდ მ. საბინინი წერს, რომ მას სარა ერქვა (79:6, 80:2), რაც, ვიმეორებ, არც ერთი წერილობითი ცნობით არ დასტურდება.

ელიოზი, მიუხედავად ხანდაჭმულობისა, როგორც „მოქცევა“ გვამცნობს, უცოლშვილი იყო. ჰყავდა ერთადერთი და, რომლის სახელს ჩენამდე არ მოუღწევია, მიც გაუთხოვარი. რა თქმა უნდა, ელიოზისა და მისი დის უბიშობებზე ყურადღება შემთხვევით არ არის გამახვილებული. მათი უბიშოება პირდაპირ კავშირშია იქსო ქრისტეს ამქეუწიურ ცხოვრებასა და მის ღვთისურ მოძღვრებასთან. მესიისადმი რწმენა აბიათარსა და მის წინაპრებს, შეიძლება ითქვას, მემკეიდრეობით გადაეცემოდათ. ქრისტეს დაბადებიდან ოცდაათი წლის შემდეგ მღვდელმა ანამ იერუსალიმიდან გამოუვავნა წერილი აბიათარის წინაპარს ოზიაის და აცნობა, რომ

სრულასაყოვან იესოს მრავალი მიმდევარი გაუჩნდა, რამაც სერიოზული სოციალური და რელიგიური ძერები გამოიწყვია. ქრისტეს მღმღევართა შორის იყო ოზიაის „მამის დედის ძმა ვ ელიოზ“. ანა მღვდელი იმსაც ატყობინებდა, რომ მეუკე პეროლემ ბრძანება გამოსცა: „ურულთა ძეთა ისრაელისათა, განბნეულთა ყოველთა ქვეყანასა ისილეთ ერთი ღმერთი და იგულეთ და ისმინეთ ერთი შჯული. და იწავლეთ ერთი სიტყვი მოსესი, რომელი თქვა: „რომელმან ქვეყანასა ზედა თქეა ღმრთი და თავი თუსი, ძელსა დამიეკიდენ“ (20:127-128). ანა მღვდელი იქნება აცნობებდა, რომ გამოჩნდა კაცი, სახელად იესო, რომელიც თავის თავს ღვთის შეიღლად აცხადებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თვითონაც ღმერთია. ღმერთისა და მოსეს მცნებიდან გამომდინარე, იესო სიკედილით უნდა დაისაჯოს. ანა მღვდელი კველა ერთორწმუნეს მოუწოდებდა თავი მოეყარათ იესოს გასამართლებასა და დასჯებები. ქართლიდან წასულთაგან ცნობილია რომი კაცის სახელი, მაგრამ, სავარაუდოა, მათი რიცხვი მეტი იყო.

ზემოთ ითქვა, რომ ელიოზსა და მის წინაპრებში ძლიერი იყო რწმენა მესიისადმი. ამის საიდუსტრიაციოდ გამოგვადგება ელიოზის დედის დარიგება იერუსალიმს მიმავალი შეიღლისადმი. ელიოზს დედა შევეღძრა: მიუხედავად იმისა, რომ ის ვალდებული იყო დამორჩილებოდა „წოდებასა მეფისა და წესსა შველისას“, მას მხარი არ უნდა დაეჭირა იესოს დასჯის განზრახვისათვის. „ნუ, შეიღო ჩემო, რამეთუ სიტყუად არს წინამწარმეტყველთამ და იგივე ბრძენთამ, საიდუმლოდ არს დაფარული პურიათაგან, ხოლო წარმართთა ნათელ და ცხოვრება საუკუნო“ (20:128). ეს კი საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ქრისტეს იდებს უკვე ბცნობდნენ საქართველოში. უკვე იყვნენ პირველი პროზელიტები ებრაელთა შორის.

ნიშანდობლივია ის მწუხარება, რაც ქრისტეს ჯვარცმის გამო ქართლში განიცადა ზოგიერთიმა ებრაელმა. ელიოზის დედის მცხოვაში უსმავ ხმავ, ოდეს პასანიქმან ჯუარისა ზედა სამსჭუალისა დასცა კური შეკედლებათ იერუსალიმს, აქა უსმა ხმავ და იკრიხისალნა მწარედ დედაკაცმან და თქვა: „მშვიდობით, მეფობაო პურიათაო, რამეთუ მოკალო თავისა მაცხოვარი და მხსნელი, და იქმნით ამიერთაგან მტერ შემოქმედის“ (20:129).

ელიოზის დედის აღსასრული ქართველ ებრაელთა შორის მესიანიტური ტენდენციების არსებობაშე მიუთითებს. ელიოზის დედა პალესტინის მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებულია იესოს ჯვარცმასთან, წინამწარმეტყველთა სიმართლედ მიიჩნევს. ის უაქტი, რომ პალესტინელი ებრაელები საჭიროდ თვლიან საქართველოს ებრაელების ჩარევას მოვლენათა

ხასიათსა და წარმართვაში, მიუთითებს ერთი მხრივ, ქართველი ეპრაელების რელიგიურ-იდეოლოგიურ წონასა და მნიშვნელობაშე მეორე მხრივ კი, საქართველოში არსებულ ძლიერ იუდაურ-ქრისტიანულ სინკრეტულ ტენდენციებშე. სწორედ ასე აქვს გაგებული ლეონტი მროველს ებრაელთა წარმომადგენლების მიწვევა იერუსალიმში. ლეონტი ამბობს: „და შემდგომად ამისა, ვითარ გარდახდეს წელი ღოდაათნი (ქრისტეს დაბადებიდან - ე.მ.), მოვიდეს მოციქული ურიათა იერუსალიმით ურიათა თანა მცხე-თელთა, რათა მოვიდნენ მეცნიერნი სჯულისანი, და განვიკითხოთ და განვბრჭოთ მას ზედა. და აწ თქეუნგანაც წარმოვიდნენ მეცნიერნი სჯულისანი მანდით“ (29:36).

ელიოზი და მისი თანამგზავრები სირიმშე, კერძოდ, ანტიოქიაშე გავლით წყვულან იერუსალიმში, სადაც ებრაელთა პასექამდე მივიღნენ. ისინი იმავე გზით დაბრუნებულან საქართველოში (80:2). საიდან აქვს ეს ცნობა მ. საბინინს, ამის თქმა არ შემიძლია, მაგრამ მაშინ მცხეთელი ებრაელები რეგულარულად რომ დაიარებოდნენ იერუსალიმში, განსაკუთრებით კი პასექის დღესასწაულების დროს, ამას გვამცნობს „წმ. ნინოს ცხოვრების“ XIII საუკუნის უცნობი ავტორი: „ხოლო იყვნეს მას უამსა მცხეთასცა შინა სამღვდელონი ტომინ ჰურიანი და პასექსა მას წლითი-წლად აღვიდან იერუსალიმს სიტყვს-ყოფად და დამტკიცებად სჯულსა მოსესსა, რათა არა დაიკინას იგი“ (34:425).

კერ კიდევ XIII საუკუნეში, „წმ. ნინოს ცხოვრების“ უცნობმა აეტორმა სცადა მყითხეველისათვის გამაგები გაეხადა ელიოზის საქმიანობა იერუსალიმში და ქრისტეს კვართის საქართველოში მოხვედრის მიწეზი. ამიტომ იოანეს სახარების XIII საუკუნემდელ ქართულ თარგმანში დასახელებული წარმართების სახით საქართველოდან მისული ებრაელები წარმოვგეიდგინა: „და მივიდეს იგინი ხილვად იესუსა, ვითარცა - იგი წერილ არს სახარებასა შინა, ვითარმედ: „იყვნეს ეინმე წარმართთაგანნიცა, რომელი აღმოსრულ იყვნეს იერუსალიმად დღესასწაულსა მას. ესენი მივიდეს ფილიაშისა... და ეტყოდეს მას: „უფალო გუნდაქს იესუსა ზიღვავ““. მოვიდა ფილიპე და პრექუა ანდრიას“. ესენი იყვნეს ელიოზ და მისთანანი წარმართთაგან“ (იგულისმებიან წარმართი ქართველები - ე.მ.) (34:426). სახარების ძველ სომხურ თარგმანშიც „წარმართები“ იყო და ისინი მოვქსეს ხორენაცმა სომხებად გაიჩრა (19:126). როგორც ირკვევა აწარმართებში“ იგულისმებიან არც ქართველი ებრაელები და არც სომხები. უცნობი ქართველი ავტორი შეცდომაში შეიყვანა იოანეს სახარების იმ ძველმა

თარგმანში, რომელშიც „ელინების“ ნაცვლად „წარმართების“ ეწერა (იოანე, 12:20-22). ასევე „წარმართების“ ყველა ხელნაწერ და ნაბეჭდ მაღლ აღთქმისა. უაქლეს გამოცემებში კი გასწორებულია. ასევეა რუსულ, გერმანულ და ინგლისურ გამოცემებში - ყველგან „ელინების“.

ერთი საინტერესო მომენტიც უნდა აღინიშნოს. ზემოხსენებული „წმ.ნინოს ცხოვრების“ ავტორი ელიოზის იერუსალიმში ყოფნისა და საქმიანობის აღნიშნულ ეპიზოდში ჩადებულია უმთავრესი მიზანი: მოუხსნას ქართველ ებრაელებს და, მათი სახით ყოველ ქართველს, პასუხისმგებლობა ქრისტეს ჯეარცმის გამო. ის წერს: როდესაც ელიოზი იერუსალიმს მივიდა, ებრაელ ხალხს, შეკრებილს ერთ ადგილას, განაჩენი უკვე გამოეტანა იესოსათვის, მაგრამ ელიოზმა არ გაიშიარა მათი განზრახეა და მათვან მოშორებით დადგა თანმხლებლებთან ერთად: „და ვითარცა მიწია იერუსალიმს, შეკრებილ იყო ერთ ჰურიათად და დამტკიცა ჯეარცმა ქრისტისი. ხოლო არასად ეზიარა განზრახეასა მათსა, არამედ შორის და იგი და მისთანანი იგი ...“ (34:426). ქართველ ებრაელებს, ავტორის მრწამსით, მათი ასეთი მოქმედების გამო წილად ხვდათ კვართი: „ხოლო ვითარცა აღესრულა ნებისით ვნებად მაცხოვრისამ მისუდა წილითა კუართი უქლისა ჩუენისამ ელიოზის, წერილ არს: „განიყუეს სამოსელი ჩემი და კუართისა ჩემსა ზედა განივდეს წილი“.

საქართველოში კუართის მოტანის სურათი ბუნდოვანი იყო. ზოგიერთ შესუსაბამისობას და შინაარსის შეცვლის მიზნით ჩასწორებას ეწედებით „მოქცევაის“ ყველაზე აღრინდებულ, შატბერდულ და ჰელიურ რედაქტირებში. შატბერდულში კითხულობთ: „და წარვიდა ელიოზ და ჭოველნი ჰურიანი ქართლით. და აღესრულა ყოველივე, რომელი აწ ვიცით ნინოეს მიერ ევანგელეთაგან ქრისტეს მიერ (იგულისხმება: „გაიყვეს ჩემი სამოსი ერთმანეთის შორის; და ჩემს კვართზე იყარეს წილი“. იოანე, 19:23). ხოლო სამოსელი იგი ჰედა ამას ქუეყანსა წილით, და წარმოიღო ელიოზ (20:128). მნიშვნელოვანი, ჰირობრივი განსხვავებაა ჰელიურ რედაქტირასთან შედარებით: „და წარვიდა ელიოზ და ჭოველნი ქართველნი, და აღესრულა ყოველი, აწ რომელი ვიცით ნინოეს მიერ, ევანგილთაგან. ხოლო სამოსელი იგი ხედა ქართველთა ჰურიათა, და წარმოიღო ელიოზ“. როგორც ჩანს, შატბერდული რედაქციის შემქმნელი, მოცემულ შემთხვევაში, გამოყევთილად ეროვნულ პოზიციიზე დგას. მისი ჰირით, ქრისტეს სამოსელი წილად ხედა საქართველოს („ამას ქუეყანს“) და არა საქართველოში მცხოვრებ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს -ებრაელებს.

ელიოზი მხოლოდ კვართის მომტანია. ამის შემდეგ გარკვეულ უხერ-  
ხულობას უნდა იწვევდეს თქმა იმისა, რომ კვართი ქართველმა ებრაელებმა  
იერუსალიმში შეისყიდეს იესოს მცველი ჯარისკაცებისაგან (11:6, 3:23).

„მოქცევა ქართლისადაც“ გადმოცემა, „ჯუარის მცუმელთა მათ განიცეს  
(სამოსელი - ე.მ.) და კუართი იგი ამათ ისუედრეს“ - ინტერპრეტირებული  
იქნა სხვადასხვაგვარად. საქართველოდან, თითქოს, ელიოზთან ერთად  
მცველთა რჩებიც წავიდა, რომლის ჯარისკაცები იერუსალიმში, როგორლაც  
ქრისტეს მცველთა შორის აღმოჩნდნენ: მ. ჯანაშილმა იესო ქრისტეს  
მცველად ელიოზი გამოაცხადა და ამიტომაც წერდა მისი ყრმობის შესახებ.  
მოხუც ელიოზის მცველობას ვინ დაავალებდა? ჯვარცმის შემდეგ მცვე-  
ლებმა რომ წილი ჰყარეს, კვართი ქართველებს ერკოთ, მათ ელიოზის  
მიუტანეს იგი და, ამგვარად, მხსნელის ეს ძეირფასი სამოსელი საქართ-  
ველოში აღმოჩნდა. ასეთი ან მიმსგავსებული ლეგენდა საქართველოში  
უნდა მოესმინა რეს არსენ სუბანოვს 1651-1652 წლებში. პირველად მის  
ჩანაწერებში ვკითხულობთ შემდეგს: „მცხეთა ებრაელების მრავალ-  
რიცხოვანი ქალაქი იყო, ქრისტეს ჯვარცმის დროს იერუსალიმში ერთი  
მასისთავი იყო, სახელით ლოგინ, წარმოშობით ამ მცხეთა ქალაქიდან...  
ქრისტეს ვნების დროს, როცა ჯარისკაცებმა ქრისტეს სამოსი გაინაწილეს,  
მას (ლოგინს) წილად ხვდა ქრისტეს მთელი კვართი“ (35:75). აღნიშნულ  
ლეგენდას დასრულებული სახე მისცა მ. საბინინმა. მან ასისთავ ლოგინად  
კარგად ცნობილი ლონგინოზ კარსნელი თუ კანისელი გამოაცხადა: „ელიო-  
ზი დაუყოვნებლივ წავიდა წმ. ქალაქში, რომელსაც მაშინდელმა ქართ-  
ველმა მეფემ ადერქი დიდმა თან გააყოლა მცველთა რჩები ლონგინოზის,  
ქ. მცხეთის მახლობელი სოფლიდან კარსნიდან, მეთაურობით“ (80:2).

საინტერესო როგორ მოხდა ლოგინ-ლონგინის ლონგინოზთან გაი-  
გივება? სახარების რომელი პერსონაჟი უნდა იყვეს ლოგინ-ლონგინის  
პროტოტიპი? მათესთან და სხვა მანარებლებთანაც არას ასისთავი სახელის  
გარეშე: „ხოლო როდესაც ისილეს მიწისძვრა და ყოველივე ის, რაც  
მოხდა, ასისთავი და მასთან ერთად იესოს მოდარაჯენი ძალიან შეშინდნენ  
და თქვეს: ჭეშმარიტად ღმერთის ძე იყო იგი“ (მათე, 27:54). მარკოზიც,  
ქრისტეს ჯვარცმის ამ ეპიზოდის გადმოცემისას, ამბობს: „და როცა მის  
პირდაპირ მდგარმა ასისთავმა დაინანა, რომ ასე შეღაღადა და განუტევა  
სული (იესომ - ე. მ.), თქვა: ჭეშმარიტად ეს კაცი ძე იყო ღმერთისა“ (მარკ. 15:39). არც ლუკა აღნიშნავს ასისთავის სახელს: „ხოლო ასისთავმა,  
რომელმაც დაინანა, რაც მოხდა, ადიდა ღმერთი და თქვა: ჭეშმარიტად

ეს კაცი მართალი იყო” (ლუკა, 23:47). ითანე, რომელიც შედარებით დაწერილებით აღწერს იქსო ქრისტეს ჯვარცმას, ასისთავს საერთოდ არ ახსენებს და ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ ერთ მეომარზე: უმაგრაძე ერთმა მეომარმა შები აძგერა ფერდში (იქსოს- ე. მ.), და მყისვე გამოსჩეულა სისხლმა და წყალმა” (ითანე, 19:34).

ასისთავი კიდევ ერთხელ გაიელებს მარკოზის სახარებაში, მაშინ, როდესაც ითანებ არამითელმა პილატეს იქსოს სხეული სთხოვა: „თოლო პილატეს გაუკეირდა, განა უკვე მოუკდაო, და მოუქმო ასისთავს და პ კითხა მას: დიდი ხანია მოუკდა? და როცა შეიტყო ასისთავისაგან, მისცა მისი სხეული ოსებს”(მარკ. 15:44-45).

ქართული წყაროების ქართველ ებრაელს, ლონგინოზ ქარსნელს არა- ვითარი კავშირი არა აქეს არც ახალი აღთქმის ასისთავთან და არც სხვა ხალხების მიერ შექმნილი ლეგენდების ლონგინთან. ამაში დაურწმუნდებით ბერძნული, სპრიული და სომხური ლეგენდების გმირთან გაცნობის შემდეგ.

ცნობილია ლონგინის ორი ცხოვრება ბერძნულად (ცრცელი და მოულე), აგრეთვე მისი სირიული და სომხური ვერსიები.

ლონგინის ბერძნულ ვრცელ ცხოვრებაში გადმოცემულია იმ ასისთავის ბედი, რომელიც დაესწრო ქრისტეს ჯვარცმას და საქუთარი თვალით იხილა ქრისტეს ვნება. მან უარი სხიქა დაუქმალა სინამდვილე, რომ გამოც დევნა განიცადა, სამხედრო საშახური მიატოვა და ქრისტეს საქადაგებლად მშობლიურ კაპადოკიაში წავიდა. მტრებმა ლონგინი იმპერატორთან დაას- მინეს როგორც მოღალატე და თავის მოკეთით დასაჯეს. მისი თავი იერუსალიმში მიიტანეს, მაგრამ კაპადოკიან მისულმა ბრძა ქალმა წამებულის თავი კვლავ სამშობლოში დააბრუნა.

თითქმის იგივე, მხოლოდ შემოყლებული რედაქციით, გადმოცემულია ლონგინის მეორე ბერძნულ ცხოვრებაში (99:31-44).

ბერძნული თქმულებისაგან, შინაარსობლივად, მნიშვნელოვნად განსხვავ- დება გინკანოსის ან ლონგინის „ცხოვრების“ სომხური ვერსია. ასისთავი გინკანოსი, წარმოშობით სირიელი, ქრისტეს ჯვარცმას ესტრებოდა და ის იყო ის მეომარი, ითანეს სახარების მიხედვით, რომელმაც, იმისათვის რათა გაუგო მოკედა თუ არა იქსო, შები აძგერა ფერდში. ამის შემდეგ მან იწამა, რომ „ჰეშმარიტად ეს კაცი ძე იყო ღმერთის“. ეს პახაუი მართლაც არის ითანეს სახარებაში, მაგრამ ასისთავს კი არა, არამედ „ერთ მეომარს“ მიეწერება. გინკანოსი დაუკულა სახარების მოძღვრებას, წავიდა კაპადოკიაში, მრავალი მოაქცია ქრისტიანობის და გარდაიცვალა როგორც წამებული

(66:78-79). არსებობდა სხვა სირიული ლეგენდაც, მაგრამ ზედმეტია მისი შინაარსის გადმოცემა, რადგან კურც ამით გავარკვევთ ჩენოთები საინტერესო ლონგინოზ ქარსნელის (კანისელის) ვინაობას.

დასავლეთ ეკუროპაში ფართოდ იყო გავრცელებული ლეგენდა ლონგინზე, რომელმაც შები აძგერა იესო ქრისტეს<sup>1</sup> (98:117-118), ბრმად დაბადებულ ლონგინზე - საფრანგეთში (100:203).

6. მარმა შენიშნა, რომ არც ერთ თქმულებაში, რომლებსაც ზემოთ გაცეციანით, ქიტონი ანუ კვართი ნაჩსენებიც კი არ არის, მაგრამ რადგან სახარებიდან ცნობილია იესო ქრისტეს მცველი ჯარისკაცების მიერ მისი სამოსელის განაწილება, ამიტომ ასისთავის და ქიტონის ერთმანეთთან დაყავშირება მოსალოდნელი იყო და ჟეც მოხდა. ამსა ვხედავთ „მიქაელ სირიელის ისტორიის“ სომხურ თარგმანში: „წმინდა ეფრემი უფლის უკრავ ქიტონზე ამბობს, რომ რათა (ქიტონი - ე.მ.) არ დაეხიათ, ჯარისკაცებმა კენჭი ჰყარეს და ის შეხვდა ერთ ჯარისკაცს, ლონგინის ზელქევითს; ასისთავმა ის წაიღო გალათიაში, თავის ქალაქ მაქესონში, სადაც თაყვანს სცემენ დღესაც.

შეორე ასისთავმა, ღმისმა, სამოსელის თავისი წილი მიიტანა თავის ქალაქ ფოთში (პუდი), სამეგრელოს (ეგრის ქეყნის) დედაქალაქში. [სამოსელის ეს ნაწილი] ჩადეს შემის ჭურჭელში და ჩამოყიდებულია ეპლესიში, კველისათვის მიუწვდომელი და კველმათვის ხილული. ეს უკერავი ჰიტონიც მოქსოვა აბგარის დამ და ჩენს უფალს გაუგზავნა ანანია შიერიყის ზელით<sup>2</sup> (66:80).

1 შეიქმნა თქმულებები იმ შებზე, რომელიც იესოს აძგერეს. კელტური გადმოცემით შები ბრიტანეთში მიუტანია ითხებ არიმათიელს და ის ინახებოდა ერთ-ერთ მოჯადოებულ კოშეში. მას მრავალი სახელისა მოხდენა შეექლო, როგორც კეთილის ისე ბოროტის, რაც დამოყიდებული იყო იმშე, როგორი ადამიანის ხელში აღმოჩნდებოდა იყო.

რუსული თქმულების მიხედვით, შები იქრისალიმიდან გადაიტანეს კონისტანტინოპოლის სოფიის ტაძარში, სადაც რამდენიმე საუკუნის გამაცემისაში ინახებოდა. როცა ოლეგის რჩმელებმა ეს ქალაქი აიღოს, სიწმინდე კიევში წაიღეს, შეძლევ ნოვგოროდში გადაიტანეს. ყინულზე ბრძოლის წინ ნოვგოროდის კერის აღექისანდრე ნეკელს გადასცა. როცა მთავარი გარდაიცალა შები მის საჩქოფაგში ჩადეს. აღექისანდრეს ნების სანტ-პეტერბურგში გადასცენების შემდევ, შები პეტრე 1-ის პეტონდა. შებმა შეუწიო ხელი მის გამარჯვებას ჩრდილოეთის ოში. პეტრეს გარდაცეალების შემდევ შები დამარჩეს აღექისანდრე ნეკელის დავრის ქაბულში, რათა ის ბოროტითა ხელში არ მოხევდროლიყო. ამბობენ, რომ ის დაეხმარა ლენინგრადს დიდ სამარტინის ბლოკადის საშინელების დროს (65:44).

ამგვარად, მიქაელ სირიელთან ეხედავთ ორ ასისთავს - გალათელს და ლჲშს, რაც სრულიად ეწინააღმდეგება სახარების ჩვენებას. მიც უცნაურია, რომ ასისთავებს ქიტონის სხვადასხვა ნაწილი შეხვდათ, რაც ქიტონის დანაწილების გულისხმობს და სახარებისეული გაღმოცემს ეწინააღმდეგება.

ვფიქრობ სირიელი თქმულების იმ ეპიზოდისათვის, სადაც ლჲში ასისთავის მიერ ფოთში კვართის მიტანჩხა ნათქამი, ამოსავალი „მოქცევა ქართლისამ“ ან ლეონტი მროველის თხზულება უნდა იყოს. ქართული თქმულებების მახდედვითაც კვართი ხომ ყველასათვის მიუწედომელია, თუმცა ცნობილ ადგილზე განისვენებს. ქართულ ლეგენდას გავლენა უნდა მოეხდინა „მიქაელ სირიელის ისტორიის“ მთარგმნელზე, რომელიც მე-18 საუკუნის მოღვაწე იყო.

როგორც ითქვა, ადრინდელი ქართული საეკლესიი და სახტორიო მწერლობა არ იცნობს ასისთავ ლონგინს. სავარაუდოა, XVI-XVII საუკუნეთა მიჯნჩხე გაჩნდა ჯერ მხოლოდ ასისთავი საკუთარი სახელის გარეშე, ხოლო XVII საუკუნიდან კი უკვე სახელით - ლონგინი ან ლონგინი, ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სახელი სხვა ხალხების ლეგენდების ანალოგით, საქართველოში ნამყოფმა რუსმა დიპლომატებმა და სახულიერო პირებმა ლონგინოზ კარსნელი ლონგინ ასისთავად წარმოადგინეს. მოგვიანებით ამ სახელის მქონე ასისთავის თქმულების გავრცელებას საქართველოში, აღმართ ხელი შეუწყო ქართულ ენაზე თარგმნილმა „წამება წმიდისა ლონგინოს ასისთავისა“. ამ თხზულების შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რომ ის დასახელებული აქვს ა. ცაგარელს თავისი ცნობილი ნაშრომის (92:5) მე-5 გვერდზე, 44 ნომრად: „ქართული წიგნების სახელები ივერიის მონასტერსა შინა მდებარეთა მთაწმინდას“.

ახლოაღმოსავლური ლონგინის სახე და მისი იერუსალიმში მოგზაურობის ამბავი ჩვენში თანდათან ისვერწებოდა, იქსებოდა სრულიად ახალი დეტალებით და ქართულ ეროვნულ სახეს იღებდა. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მ. საბინინმა შეიტანა. მან შეიძლება ითქვას, სრულიად ანალი ვერსია შექმნა: ლონგინოზ კარსნელი, უცხოური თქმულებების გავლენით, ლონგინათ გამოაცხადა და მას ისეთი ქმედებები მიაწერა, რომლებიც ქართულმა მწერლობამ არ იცის.

მ. საბინინის მიხედვით, ლონგინს, რომელსაც უზარმაშარი ებრაული თემის მეთაურის ელიოზის დაცვა დაევალა, იერუსალიმში ოსთა დიდი რჩმით წავიდა. ლონგინს, კავკასიელ მეომარს, მამაც, გამბჯდავს და ელიოზის მცველს, თავისი მეომრებით იერუსალიმში მისულს, მღვდელ-

მთავრებმა დაავალეს იქსო ქრისტეს ჯვარცმისას მისი დაცვის მეთაურობა. უფლის სამოსელის გაყოფის ღროს ულპობელი ქიტონი მის ჯარისკაცებს შეხვდათ, რომლებიც მას გადასცემდნენ, მან კი თავის მთავარ უფროსს, ელიოზს. ღვთისმოსავი ღონიგინი არ შორდებოდა მხსნელს ვნებისას და მოწმე გამდა მისი ტანჯვისა. ის იქსოს სახით ხედავდა ძველი აღთქმის მესისას და, რა თქმა უნდა, არ შეეძლო დაეშეა მისი შეურაცმულელი სიკვდილი ჯვარზე. როცა ქრისტემ თავი დაპარა და სული მიაბარა, თავისი თავის დასარწმუნებლად და ეჭვის გასაფანტავად, ლონგინმა ღმერთადამიანს შები აძერა. როცა იქსოს სხეულიდან სისხლმა და წყალმა გაღმოსჩეუა, მაში დაინახა ღმერთის მარადიული ცხოვრება და ადამიანის სიკვდილი. მან დაადასტურა, რომ იქსო იყო ჰეშმარიტი მესია, მოსული ქეეჭის გადასარჩენად (79:6-7). მ. საბინინის მოსახრება სრულდად გაიზიარა ა. ნატროშვილმა (69:86).

ლონგინის როლის წინ წამოწევა ჩვენში უნდა მომხდარიყო XVII საუკუნის 20-იანი წლების შემდგომ, როდესაც კვართის საქართველოში არსებობის საკითხმა განსაუთრებული მნიშვნელობა საქართველო-რუსეთის და რუსეთ-ირანის ურთიერთობისას შეიძინა.

ქართული ეკლესია აღნიშნავს მოწამე ლონგინოზ ასისთავის, „რომელი იყო წინაშე ჯვარისა უფლისას“, ხსენების დღეს - 16/29 ოქტომბერი. საფიქრებელია, რომ ეს დღე დაწესებულია არა „მოქცევაში“ და ლეონტი მოროველის ლონგინოზის დამსახურების გამახსენებლად, არამედ იმ ლონგინისა, რომელზეც არსებულ თქმულებებს უკვე გავეცანით და მის დღეს კველა მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს.

### „ღმერთი განგებულებით წინასწარვე განაგებდა“

„მოქცევაში“ არის ტენდენცია კვართის საქართველოში მოტანა მიეწეროს განგებას და არა შემთხვევითობას. როდესაც მეუე მირიანს მოახსენეს, რომ ქრისტეს კვართი მცხეთაში ინახებოდა, ის „მაღლობდა ღმერთისა და იტყოდა: აქერთხეულ ხარ შენ უფალო იესუ ქრისტე, ძეო ღმერთისა ცხოველისაო, რამეთუ შენ პირველეუ გენება ხსნა ეშმაყისაგან და ადგილსა მისგან ბრელისა, ოდეს - ივი სამოსელი შენი წარმოეც ებრაელთა ამათ წმიდით ქალაქით იერუსალ მიმით, უც ბოთა ამათ ნათესავთა ქალაქს, რამეთუ ჯუარცუმასა შენსა ამს ქალაქსა მამანი ჩუენი მეფობდეს“ (20:87). მაშისადამე ავტორს ებრაელები იმ სამუალებად მიაჩინა, რომლებითაც ღმერთმა თავისი მიწანი განაწორციელა. ებრაელთა

დამსახურება, მისი ჰირით, მხოლოდ კვართის მცხეთაში მოტანილ შემოიფარგლებოდა, რაც ღმერთის სურვილით მოხდა.

წმ. ნინო საქართველოში კვართის მოსახებნად მოყიდა. ს. იერუსალიმში ნიაფორისაგან იგებს, რომ, როდესაც იქსო ქრისტე უკუარსაც კუს და სამოსელისა მისსა ზედა წილი იგდეს და მისუდა სამოსელი იქი ჩრდილოს, მცხეთელთა მოქალაქეთა და მათ წარიღეს და დაპყრისალეს". ამავე ნიაფორის ნათქვამიდან ირკვევა, რომ ქრისტეს სამოსელს უკრავინ შემძლებელ არს წილვად და ვერცა შეძრავად მისსა, კიდრემდის არა თუთ უფალს უნდეს" (20:12).

ნიკოლაოზ გულაბერიძემ ფრიად ორიგინალურად ასინა ებრაელთა მიერ კვართის მოტანის მისტიკური მნიშვნელობა: მცხეთელ ებრაელებს კვართი შეანცედრა „განგებულებამან ღუთისაგან", არა რაიმე კეთილი მოქმედებისათვის, არამედ „იგივე ღმერთი განგებულებით წინამწარვე განგებდა" საქართველო ზომ ღვთისმშობლის წილწევედრილი ქეყანა იყო. „ამისათვესცა უკუს წარმოავლინა მაღლი ღუთაებისა მიხისა რათა პირველადუმ დაიწინდოს კუართითა მით და მაღლითა ღუთაებისა მისასათ" (24:77). აბიათარიც, კუართის მოძიებით დაინტერესებულ შეჯე მირიანს ეუბნება: „ღმერთმან კოვლისა სიბრძნითა გამებელმან წინამწარვე განგებულებით მიანიჭა სამოსელი ძისა მისისა ქალაქსა და მეუობას შენსა დაუმარხს" (24:82). გამოუთქმელი სიხარულით აღვისლია მეუემ ზეცას აღაპყრო ხელები და შედაღადა: „კურთხეული ხარ შენ ქრისტე ძეო და სიტყუაო ღუთისათ, რომელ წინამწარ განავებ კოელისა სიბრძნით" (24:97).

როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, უფლის მიერ საქართველოს გამორჩევის ეს იდეა, რაც ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბების საყმაოდ ხანგრძლივ პერიოდში წარმოიშვა და მძღვანელ იდეოლოგიურ გაელენას ახდენდა, გვიანულეობალურ, ქვეყნის დამდილობის ხანიში, კუართის საქართველოში მოტანა დაყვანილი იქნა ერთი პიროვნების - სიღონიას (?) სურვილამდე.

„სადა არს ჩრდილოსა იგი ქვეყანა“

ქვეყანა, სადაც ქრისტეს კვართი წაიღეს „მოქცევაის" მიხედვით, გაქრისტიანებამდე ცნობილი იყო, როგორც „ჩრდილოვ ქვეყანაი". წმ. ნინოს კითხვაშე, „თუ: სად არს ჩრდილოსა იგი ქვეყანაი, სადა სამოსელი იგი უფლისა ჩუენისა არს?" სარა ნიაფორმა უპასუხა: „პრქპა ჩრდილოვ

ქუეყანად სომხითისა და მთიულეთისამ, და არს ფრიად საწარმართომ”  
(24:13).

იგივე დიალოგი ლეონტი მროველს გადმოცემული აქვს საკმაოდ განსხვავდებული ვაკებულად, მიუხედავად იმისა, რომ ის „მოქცევაის“ ეფუძნობა: „აად არს ჩრდილოსა იგი ქუეყანა, სადათ - იგი მოსრულთა მათ პურიათა წილ ზედა და წარიღეს სამოსელი იგი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი“ (29:79).

მოყვანილი ციტატების ურთიერთ შედარებისას ჩანს, რომ ლეონტი მოკველი, თითქოს იმეორებს „მოქცევაის“ ტექსტს, მაგრამ სინამდვილეში მას იგი სხვანაირად აქვს გამტრებული, რაც მისი მსოფლმხედველობით არის განპირობებული. ის პროებრაულ პოზიციისა და უოველოვის ცდილობს განსაკუთრებით წარმოაჩინოს მათი დამსახურება ქართლში ქრისტიანობის შემოსვლის პირველ ეტაპზე მაინც (13:13-154). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლეონტისათვას „ჩრდილო“ მხოლოდ გეოგრაფიული ცნებაა. მას მისი სხვაგვარი გაუება არც სურს, მაშინ როდესაც „მოქცევამში“ „ჩრდილოს“ რელიგიურ-იდეოლოგიური დატვირთვაც აქვს.

„ჩრდილო“ „მოქცევამში“ არის როგორც: а) გეოგრაფიული ცნება, ბ) სინონიმი სიბნელის, ბნელეიის, სიველურის, უმეცრების. განვითილოთ ორივე მნიშვნელობა.

ა) სომხეთიდან წამოსული ნინოს შესახებ „მოქცევამში“ ნათქევამია:

„ხოლო ნინო დარჩა განგებითა ღრმობისამთა და წარმოემართა მთათა კერძო ჩრდილომხათა და მოვიდა მდინარესა ზედა მტკუარსა, და მოჰყვა (ნაპირსა) მდინარისასა და მოიწია მცხეთად, ქალაქსა (დიდსა), მეუეთა საჯდომელსა“ (20:84). „ჩრდილო“ აქ მხოლოდ მხარის გავებითაა. წმ. ნინო ამავე მნიშვნელობით ამბობს: „და მე ვპოვე ცოლმასა შინა ჩრდილომხა ეს ქუეყანამ“. ქართლისაკენ მომავალი წმ. ნინო „იკითხავდა ქალაქსა ამას ჩუენსა ... ეითარ-იგი განაშენა ჩრდილომ ესე ქუეყანამ, მცხეთა, დიდთა მეუეთა საჯდომელი“ (20:98). კიდევ უფრო გამოცვეულიად ჩანს „ჩრდილოს“ როგორც მხარე, როდესაც მირიანის ბრძანებით „მოიწიონეს ყოველის ქუეყანით კაცნი მეცნიერნი სჯულსა მოსესსა, რომელნი ანტაკრად წინა აღედგეს სულსა წმიდამა. და რაც იგი თუთ უნდოდა, მათ აღასრულეს: ჯუარს-აცუეს და სამოსელსა მისსა ზედა წილი იგდეს და მიხუდა სამოსელი იგი ჩრდილოს, მცხეთელთა მოქალაქეთა“ (20:112).

მთავარეპისკოპოსი მირიანს უვბნება: „შენ თანა არს ამას ქალაქსა შინა სამოსელი ქრისტესი... რომელი ჯუარის მცუმელთა მათ განიყვეს,

და კუართი ამათ ისუელრეს, ჩრდილოსა ამას ქაღაქშა შინა დაუარეს” (20:87);

ბ), „ჩრდილოებ”, სხვაგვარი, უარყოფითი გავება განსაკუთრებით ნათლად ჩანს სიღონიას, აბიათარ მღვდლის ასულის მიერ ქრისტიანობამდელი ქართლის დაბასიათებაში: „და იყო ოდეს მოხედა ღმერთმან წყალობით ქუეყანსა ამას დავიწყებულსა ჩრდილოსასა კაცქასიანთა, მთიულეოსიათა და სომხითისა, და სრულიად ყოვლისა სამეფოსა, რომლისა მთანი დაეფარნეს ნიბლისა და კელი ალმურსა ცოდვისასა, და იყო ქუეყანი მზისაგან სიმართლისა დაყლებული, დაყლებული ქრისტეს, ძისა ღმრთისა მისელისათვეს და ცხოვრებისა, ვითარცა სახელი ერქეა სამართლად ჩრდილოდ: არა თუ ამას მზესა ცისისა დაყლებულ იყო, რომელი აწ არს... ხოლო ამისათვეს ერქეა ჩრდილო, თუ რაოდენი ჟამნი და წელნი და ნათესავნი გარდა წრდეს ადამისთვან ნოესამდე და აბრამისა” (20:124-125).

წარმართულ მცხეთაში და, საერთოდ, ქართლში, ქრისტიანობის გამარჯვებამ, როგორც აბიათარ მღვდელი აღნიშნავდა, დიდი გამოძახილი პპოვა სხვადასხვა ქუეყნებში: „უკითარედ ქუეყანსა მას ჩრდილოსასა მისურნილ არს მზე იგი სიმართლისამ, ნათელი, მამისა მიერ მოსრული ქრისტე” (20:147).

## „სად მდებარე არს წმინდა იგი კუართი?”

იერუსალიმიდან მობრუნებულმა ელიოზშა და მისმა\_თანამგზავრებმა კუართი მცხეთაში მოიტანეს, მაგრამ საყითხავია, კონკრეტულად სად დაიმარხა იგი, სად შეიძლებოდა მისი მოძებნა. ეს არ ის რიტორიიკული კითხვა. კუართის განსაკურნებელი ადგილი უძველესი დროიდან ბინდით იყო მოცული. მრავალი თაობა ცდილობდა მისი ადგილსამყოფელის გარკვევას.

ქრისტიანობამ გაიმარჯვა თუ არა საქართველოში, მირიან მეფეებ საბერძნეთიდან მოიწვია „ქეისა მოლელნი და კირით ხერონი”, რომლებმაც საქართველოში ზოგიერთი რელიეფიაც წამოიღეს. მცხეთისკენ მომავალმა ბერძნებმა ერუშეთში საძირკველი ჩაუყარეს ეკლესის და „დაუტევეს უერქითა ფიცარნი მაცხოვრისანი”. როცა მანგლისმი მივიღნენ, იქაც „დადვეს საძირკველი ეკლესისა და დაუტევეს სამსჭავალნი და ესრეთ მოვიდეს მცხეთად” (20:86-87). მეფე დამწუხრდა რელიეფის მცხეთაში არმოტანის გამო. ის მხოლოდ მაშინ დამშეიღდა, როდესაც მთავარეპსკოპოსმა აცნობა, რომ მის სატანტოში, მცხეთაში დამარსულია ქრისტეს კვართი. შეიძლება

ელიოზის შთამომავლებმა ს ადგილი იცოდნენ სადაც კვართია დამარხული - უთხრა მთავარეპისტოპოსმა მეფეს. განარებულმა მირიანმა საქართველო  
მიიწვია ებრაელები და გამოკითხა. მათ კვართის მოტანის ფაქტი  
დაადასტურეს, მაგრამ მისი ადგილსაჭიროები არ გაამეღავნეს (20:87),  
რადგან „ევრავინ შემძლებელ არს ხილვად და ერცა შეძრად მისსა,  
ვიდრემდის არა თუთ უფალს უნდეს“ (20:112).

ელიოზმა კვართი, თავდაპირეველად, თავის სახლში მიიტანა. სიღონია  
ამხობს: „ხოლო ამან ელიოზ მიიღო კუართი იგი მაცხოვერისა ისუ ქრისტეს  
მცხეთად, სახლად ჩუენდა“ (20:120). ელიოზმა ჩამომავლებს - აბიათარსა  
და მის ასულს სიღონიას, თავისად მიაჩნდათ ს სახლი, რომელიც  
დაახლოებით სამ საუკუნენაზეერის შემდეგაც მცხეთში იდგა. მისი ლო-  
კალიქება შეიძლება ლეონტის მიხედვით. ის ამბობს: „ხოლო სახლი  
ელიოზისი იყო ქალაქისა დასაელით, წალი მოგუოთაა, ვიდა ზედა“ (29:100).  
მაშმადამე, ელიოზის სახლი მდებარეობდა ე.წ. პომპეუსის ანუ მოგვთა  
ხიდთან. ეს სახლი, გარკეული დროის განმავლობაში „მცირე ბაგინის“,  
ე.ი. მცირე სინაგოგის ფუნქციასაც ასრულებდა. მის სარდაფში განთავსე-  
ბული იყო აკლდამაც - „სამარზვოდ“. ოდესლაც „მცირე ბაგინის“, „სა-  
მარზვოში“ დაუმარხავთ ელიოზ ზალენი (წამოსასპამი) (20:130).

წმ. ნინომ მრავალგზის სთხოვა სიღონიას, რომ თავისი მამისაგან,  
აბიათარისაგან გაეგო ქრისტეს ქვართის სამყოფელი, რჩეც აბიათარი  
უკასუხებდა: „აქა არსო ადგილი სამარზვო მისიო, რომელსა ენანი კაცთანი  
არა დადუმნენ გალობად ღმრთისა მიმართ, მას ზედა არს ადგილი იგი,  
კითარუა ადგილი იყოოსი კიბედ ზიღული და ზეცად აღწევნული  
ამიერითგან და უკუნისამდე, ღიღება და ქება მოუკლებელ“ (20:130; 13:140-  
141). მოყვანილი ციტატის ბოლო ფრჩხა გასაღებს წარმოადგენს „სამარ-  
ზვოში“ მდებარეობის დასადგენად. „დამადებიდან“ ვიციო, რომ ბერშებიდან  
ხარანისკენ მიმავალ იყობს „ესინმრა: მიწაშე კიბე დგას და თავით ცას  
სწვდება; უფლის ანგელოზები აღიჩამოდიან კიბეშე. აპა, უფალი დგას  
კიბეშე და უბნება: მე ვარ უფალი, ღმერთი აბრამისა, მამაშენისა, და  
ღმერთი ისაკისა. ეს მიწა რომელზედაც წევხარ, შენოვის და შენი შთამო-  
მავლობისათვის მომიცია... აპა შენთან ვარ და ყველგან დაგიუარავ, სადაც  
კი წახვალ...“ (დაბ. 28:10-15). გამოფხილდა იყობი და შეშინებულმა  
თქვა: „რა საშიში ყოფილა ეს ადგილი! სხვა რა უნდა იყოს, თუ არა  
უფლის სახლი; ეს ცათა კარიბჭეა... მაშინ ეს ლოდი, სვეტად რომ დავდგი,  
ღვთის სახლი იყოს“ (დაბ. 28:16-17,22).

გამოდის, რომ კვართი დამარხული ყოფილა „დეოს სახლში“, სადაც „ენანი კაცთანი არა დადუმნენ გალობად ღმრთისა მიმართ“ ეს უნდა ყოფილიყო „მცირე ბაგინი“, რომლის „ქაურთხეველისა სიმტკიცესა ქუეშე, ქვათა შინა ულპოლეველად ვიდრე ეამამდე მისა“ (20:130), ე.ი. აბიათარის დრომდე (IV ს.), იქ ინახებოდა კვართი და ელის ხალენი (ჩ. არეთვე 29:107). ეს უაღრესად საყურადღებო ცნობაა. შეიძლება დაბევითობით ითქვას, რომ მირიან მეფემ, რომელმაც „შექმნა საბურველი ძელისა გარემოს სუეტისა და დაფარა ხედვისაგან“ (20:143), იყო კვართის დაფარვის ტრადიციის აღდგენა. ეს გადაწყვეტილება მეფემ მიიღო მას შემდეგ, როდესაც ძელმა, რომელიც იყო კვართის სინათლისა და სიძლიერის გამოვლინება, მოახდინა სასწაული და განკურნა „ვინმე სეფეწული“ სნეული.

საინტერესო ცნობას გვაწვდის იყობ მღვდელი მცხეთაში ქრისტიანობის გამარჯვების შემდგომი ბაგინის ბედზე. როდესაც წმ. ნინო მთიულების მოსანათლად წავიდა, „ხოლო აქა შინა (მცხეთაში - ე.მ.) დაუტევა აბიათარ, პურია - ყოფილი იგი მღვდელი, რომელი იყო მეორე პავლე, რომელი არა დასცრებოდა დამე და დღე ქადაგებასა ქრისტესა, დიდებასა მისსა, ვიდრემდის სიკლტოლად იწყეს პურიანი“ (20:152). აბიათარშა დიდი გულმოდგინება გამოიჩინა ქრისტეს მოძღვრების ქადაგებაში. სავარაუდოა, რომ ის მხოლოდ მშეიღობიანი ქადაგებით არ ემაყოფილდებოდა, სადაც სიტყვა არ სჭრიდა, ძალას იყენებდა. მას ძალის გამოიყენება, აღბათ, პირველ რიგში, თანატომელებთან, იმ მცხეთელ ებრაელებთან სჭირდებოდა, რომლებიც იუდაიზმს არ სთმობდნენ. აბიათარის ასეთ მოქმედებას ებრაელთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ ეპურებოდა და ერთი პირიბა ის კინაღამ მოყლეს. აბიათარი მეფის რჩქმმა გადაარჩინა. სამეფო ხელი-სუფლების მხარდაჭერით გაძლიერებული აბიათარის გამო მრავალი ებრაელი მცხეთიდან გაიცეა (13:153). ისიც ჩანს, რომ ბაგინის არსებობას საციროსე დაემუქრო. მისი დანგრეული სურდათ, მაგრამ წყარიცხვა ამას მიზეზის გარკვევის საშუალებას არ იძლევა. სავარაუდოა, მისი დანგრევის სურეილი ხელისუფლებას პქნონდა, რათა ამ აქტით ქრისტიანობის გამარჯვება აღენიშნა. მაგრამ აბიათარმა ყველაფერი იღონა მის გადასარჩენად. უფრო მეტიც, მან მეფე აიძულა ბაგინი გაეფართოებინათ. „და იყვნეს მუნ შინა ელიოზის ნათესავინი მღვდელად პურიათა ზედ“ (20:152).

აბიათარის დროს „მცირე ბაგინი“ მცხეთის ერთ-ერთი უძველესი ნაგებობა იყო, სულ ცოტა სამ საუკუნე ნახევრისა მაინც. ამ შენობაში ოდესლაც,

I საუკუნის პირველ ნახევარში, ცხოვრობდა აბიათარის წინაპარი, ქრისტეს კვარცმის მოწმე და მისი კვართის მცხეთაში მომტანი - ელიოზი.

ხატოვნად არის აღწერილი ბაგინის მდებარეობა და მისი არქიტექტურული სახე. ის იდგა ქალაქის განაპირობაზე, „კედლები თვინიერ ნაშენებსა“ და მას ჩრდილიაუდა, „ხე იგი კალამოო, რომელი დგა კარსა ზედა ბაგინისაა, რომელი განაშუქებდა ადგილსა მას, რამეთუ გარდაეთხნეს რტიონი მისი ყოველსა მას სტოვასა ბაგინისას“ (20:146). ეს ხე აბიათარის წინააღმდეგ ამხედრებულმა ებრაელებმა მოსჭრეს. ჩემი ვარაუდით, მცირე ბაგინი უნდა ყოფილიყო პირველი ბაზილიკური ნაგებობა მცხეთაში (დაწურ. ის. 13:142-143). ეს უნდა ჩაითვალოს პირველ ქრისტიანულ ნაგებობადაც, მას შემდეგ რაც „ აღმართა წმინდამან ნინო ჯუარი ქრისტეს“ (20:146). სიმბოლურად ეს ნიშნავდა მცხეთაში ქრისტიანობის გამარჯვებას. ამიერიდან იგი იმდენად ავტორიტეტულ ჰყლესიად გადაიქცა, რომ აქ ნათლავდნენ ქართლის მთავართა შეიღებს, ამიტომ „ერქეა ადგილსა მას მთავართა სანათლოდ“ (20:146; 29:116).

ცნობილ წყაროებში ნათლად არ ჩანს კვართის დამმარზველებმა შეგნებულად თუ უნებურად გაასაიღებულეს კვართის სამყოფელი ადგილი. სალომე უფარმელით, „მათ წარიღეს და დაპერძალეს: და ვერავინ შემძლებელ არის ხილვად და ვერცა შეძრვად მისა, ვიდრემდის არა თუთ უფალსა უნდეს“ (20:112). იმ პირველ ქრისტიანთა მოქმედება მიზანდასახული უნდა ყოფილიყო. ისინი სხვაგვარად ვერ მოიქცეოდნენ. ქრისტე, ებრაელთა უმრავლესობის გაგებით, დამნაშავე, ორთოდოქსული იუდაიზმის რევიზიონისტი იყო და მისი მოწინააღმდეგე თანატომელები ქართლშიც იქნებოდნენ. არც წარმართი ქართველების ნდობა შეიძლებოდა. რადგან ამ უძვირფასესი სიწმინდის ურწმუნოთაგან ხელყოფის საშიშროება არსებობდა, ვიღრე ქრისტიანობა არ გაიმარჯვებდა საქართველოში, ამიტომ კვართის შემნახველებმა საიდუმლო საფლავში ჩაიტანეს. მხოლოდ ერთობ სიღრინია ამბობს, რომ კვართის ადგილი „ლმერთმან იცის, და იცის დედამან ჩემმან ნინო და არა იტყვს“, რადგან ამისი თქმის დრო ჯერ არ დამდგარა. ჰელიშური რედაქციის მიხედვით კი, წმ. ნინომ „არამედ ესე თაღენ თქუა: კმა - იყავნ ნინოდ მოწაფეთა ქრისტეს მორწმუნეთათვს, რამეთუ მახლობელ არს ადგილი იგი ნაძება მას ლიბანით მოღებულსა და მცხეთასა აღმაღლებულსა... და ას ესე სამოსელი იესუსი აქა არს უთქმელად ვიღრე ტამადმდე მისს“ (20:129-130).

ამის შემდეგ მოდის სიღონის მიერ მამისაგან, აბიათარისაგან მოსმენილი იმ საუკრთხევლის შესახებ, ზემოთ რომ ითქვა, რომლის ქვეშ დამარხული იყო ელის ხალენი და ქრისტეს კვართი. ჩანს, ლიბანური ნამვიც იქვე, მცირე ბაგინთან იდგა და იგი კვართის მაძიებელთათვის ორიენტირი უნდა ყოფილიყო. გადმოცემა კვართის „სამარხეოში“ ანუ მცირე ბაგინში მოთავსების შესახებ, შემდევში მიერწყებას მიეცა და აქცენტი გადაიტანეს ელიოზის დის და კვართის საფლავზე აღმოცენებულ ნაძესა თუ კედარზე, მათს განუყოფლობაშე. ეს ტენდენცია, როგორც ითქვა, უკვე არის XII საუკუნის ბოლო მეოთხედში კათალიკოს ნიკოლაოზ გულაბერიძის შემოქმედებაში. ნიკოლაოზიც მხარს უჭერდა საეკლესიო ტრადიციას, უფრო მეტიც, ის ცხოველმყოფელი. სვეტის სასწაულმოქმედებას კვართის გამობრწყინებად მიიჩნევდა: „რამეთუ უკეთუ ვინმე კლებიერობდეს სასწაულთათვს კუართისა საღრმოოსათა, ესრეთ უკუმ უწყოდენ ესე ვითარისა მეძიებელმან, რამეთუ ვითარცა მამად და ძე ერთ არიან დიდებით და ყოველივე მოქმედება ძისა მამისაცა არს, ესე სახედ უკუმ სუშეტისა ცხოველისა, უაჭამილად კუართისა საუფლოსად შერაცხეთ და კუართისად ეიდრემე სუშეტისა ცხოველისად და ვითარცა იგი მამა და ძე ერთ არიან ღუთავებითა, ეგრეთვე უკუმ სუშეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოსა დიდებულებანი და საკურუმილებანი განუყოფელ და ერთ არიან“ (24:106).

## „ესუა მას დავ ერთი“

ძველი ქართული მწერლობის ძეგლები არ გვამცნობენ იმ ქალწულის სახელს, ვისთან ერთადაც კვართი დაიკრძალა. დღეს კი, თითქმის გველამ იცის, რომ მას სიღონია ერქვა. ასე იცოდნენ უკვე XIX საუკუნიდან. დაწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ XVII საუკუნეში მისი სახელი ცნობილი ჯერ არ იყო.

„მოქცევამ“ მოხდევით მცხეთაში დაბრუნებულ ელიოზს „დავ მისი მიეგებვოდ“ („მიეგებვოდა და მისი“), „ხოლო ელიოზ დაპმარხა და იგი თვისი („ელიოზ დაპმარხა და იგი თვისი“) (20:129). ლეონტი მროველი ამბობს: „ესუა მას და მისი“, „მიეგება და მისი“, „ელიოზ დაპმარხა და თვისი“ (29:99).

არც ნიკოლაოზ გულაბერიძემ იცოდა ელიოზის დის სახელი: „ესუა... კუალად ერთი და მისი“. გულაბერიძის თხზულების პირველმა გამომცემელმა მ. საბინინმა, მოყვანილ ფრთხისა, რათა იგი მკითხველისათვის გამაგები გაეხადა, გულაბერიძის „შეცდომა“ გაასწორა და ფრჩხილებში ჩასმით

მიუმატა „სიდონია“ ფრჩხამ ასეთი სახე მიიღო: „ესუა... კუალად ერთი  
დამ (სიდონია)“ (24:77). ამის შემდეგ მ. საბინინი „საქართველოს სამორხეში“  
აღარ იძლევა ელიოზის დის სახელს. აღაბათ, მან სრულიად საქმარისად  
ჩათვალა მისი ერთხელ მოხსენიება. ელიოზის დის სახელი არ იცოდა  
ბერძენმა იოანიკეიმ, რომელმაც XVII საუკუნის პირველ ათწლევდში  
რამდენჯერმე მოინახულა სვეტიცხოველი და ის საინტერესო ცნობები  
დაგვიტოვა, რომლის ერთ ნაწილს ზემოთ უკვე გავეცანით. არ იცოდა  
ვაზუშტი ბატონიშვილმა. მის სახელს ვერ ვზედებით საქართველოში  
ნამყოფი უცხოელების ჩანაწერებში. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია  
პირველად მის სახელს გვამცნობს XIX საუკუნის რუსი მეცლევარი მ.  
სელეზნიოვი. სავარაუდოა, რომ მან ერთმანეთში აურია I და IV საუკუ-  
ნების პიროვნებები: IV საუკუნეში მოღვაწე ებრაელი აბიათარი მღვდლის  
ასული, წმ. ნინოს მოწაფე, თანამშრამჯელი, თანამებრძოლი, მისი  
„ცხოვრების“ ერთ-ერთი ავტორი, ერთ-ერთი პირველი ქრისტიანთაგანი  
– სიდონია, I საუკუნეში კვართთან ერთად დაკრძალულ ელიოზის დად  
მოიხსენია.

თ. ეორდანია 1892 წ. გთ. „იუვრიაში“ გამოქვეყნებულ „მენიშვნაში“  
(23) რამდენჯერმე ახსენებს ელიოზის დას, მაგრამ სახელის გარეშე.  
იმავე წელს გამოქვეყნებული „ქრონიკების“ პირველ ტომში, იმავე  
“შენმვების“ შემოყლებულ ვარიანტში, ელიოზის დას სიდონიას უწიდებს  
(32:15-16).

როგორც ზემოთ ითქვა, ძეელი აეტორების მიხედვით, კვართის მოტანა  
მოხდა დათის განგებით. მაგრამ წმ. ნინოს ცხოვრებით მე-12 საუკუნის  
რედაციაში უკვე განსაკუთრებით გამრდილია ელიოზის დის როლი  
კვართის მოპოვებისა და მისი საქართველოში მოტანის საქმეში. ის ინს-  
პირატორია! იერუსალიმს მიმავალ ელიოზის და უცნევა: „ძმაო სასურველო!  
დირს იქნები შენ ხილვასა კაცისა მის მართლისასა რომელსა პრეცან  
იესუ, და ნეტარ ხარ შენ და გევედრები მე, რათა რასაცა შეხებულ  
იყვნენ ქელინი მისი წმინდანი, ანუ თუ სამოსელთა მისთა შეხებულ  
იყვნენ ეკეთუ მოიტანო, ნეტარ კიყვნეთ“ (34:426). საბლში დაბრუნებული  
ელიოზი დას მიმართავს, როგორც დავალების მიმცემს, რომლის სურვილი  
აღასრულა: „ას, რომლისა – იგი კსუროდა, მიიღე კუართი მისი“ (34:427).

სწორედ ამ უთქვამო ელიოზის დის დამსახურებაშე არსენ სუხანოვი-  
სათვას მცხოვრის. ის წერს: „ქრისტეს ჯვარცმის დროს იერუსალიმში  
ერთი ასძათვი იყო, სახელით ლონგინ, წარმოშობით ამ მცხეთა ქალაქიდან,

რომელსაც ერთი და პყავდა ქალწული... მასთან (ლონგინთან) ერთად იქნა  
ამხანაგი მისი (ლონგინის) იმავე მცხვთიდან, მისი სახელი არსებოს დაავიწყდა  
და როცა ლონგინი თავის ამხანაგით იერუსალიმში წავიდა, იმ ქალწულმა,  
ჩევნება იტილა ჩვენი ქრისტე ღმერთის შესახებ და მრავალჯერ ევედრა  
ძმისა მისა, რათა მან მოუტანოს მას ჩვენი ქრისტე ღმერთის რაიმე  
(ნიკო) საკურთხევლად... როცა იმ ლონგინმა მცხეთის მაზლობლად  
მიაღწია, იმ ქალწულმა ჩევნება ნახა იმის მოსელის შესახებ და ივი,  
ამში დარწმუნებული, ლონგინის შესაგებებლად გაემართა და მას შეხედა  
გადაყოცნა და ეკითხებოდა რა მოვიტანია ჩემთვის" (35:75-76).

არსენმა ელიოზის ამბავი, რომ მასთან ერთად იერუსალიმს ნამყოფ  
ლონგინოზ კარსნელს მიაწერა, ცხადია. არსენი, როგორიც თვითონ აღია-  
რებდა, ელიოზის სახელი დაავიწყდა. ასევე დაავიწყდა იმ წმინდანის  
სახელიც, რომელიც საღღაც უდაბნოში ცხოვრიბდა. მაგრამ არ ჩანს  
უთხრეს თუ არა მას იმ ქალწულის სახელი ვისთან ერთადაც დაიკრძალა  
კვართი. სავარაულოა, რომ არ უთხრეს, თირემ არსენი, ამჯერადაც  
იტყოდა: მითხრეს, მაგრამ დაავიწყდაო. სწორედ ეს მაფიქრებინებს,  
რომ მაშინ (მე-17 საუკუნის შუაპანები) ელიოზის დისტეს ჯერ კიდევ არ  
დაერქვათ სახელი - სიღონია.

### ქრისტეს კვართი „საქართველოს ეკლესიის დიდებაში“

ცნობილმა მწერალმა, სახოგადო მოღვაწემ, ქართული სიძველეებისა  
და სასულიერო მწერლობის მეცნიერებარმა მიხეილ (გობერონი) საბინინმა  
1889 და 1895 წლებში, ჯერ ლაიტციგში, შემდეგ ბერლინში გამოაქვეყნა  
ფერადი ლითოგრაფია, „საქართველოს ეკლესიის დიდება“. ამ გამოცემას  
მაშინვე გამოიხმაურა „ცნობის ფურცელი“, რომელშიც, კერძოდ, ნათქამია:  
„მხატვრობა ესე არის შედგენილი და გამოცემული ცნობილი საბი-  
ნინისაგან: აქ არის დაბატული წმინდა ნინოს ცხოვრებიდან სკეტი-ცხოველი  
და ამ სკეტი-ცხოველს არტყიან გარე წმინდა მოწამენი საქართველოსი.  
მხატვრობა... იმდენად ცხოველად, მშვენივრად, სუფთად და ნათლად  
არის შემდგარი და გამოსახული, რომ ძალაუნებურად იპყრობს თვალს  
თვით უბირი... ხალხისას... სამწუხაროა, რომ აქამდის ის მხატვრობა არ  
ამშვენებს ყველა ქართველის ოჯახს და უფრო სამწუხარო ის არის, რომ  
ჩვენმა მწერლობამ არ მიაქცია ამას ყურადღება“ (36).

საბინინის ხატის მხატვრულ ღირებულებაზე აღარ ვიტყვი, რადგან  
მაში ამ მხრივ ყველაფერი ნათელია. მნახველს კიდევ ერთხელ შეუძლია

გაისსენოს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის და საერთოდ, საქართველოს მიერ განვლილი ძნელი, მაგრამ დიდებული გზა, თვალყოფილი გადავლის მისთვის წამებულთა სახეებს.

ზატის კომპოზიციის ცენტრს წარმოადგენს ცხოველმყოფელი სვეტი, რომელსაც ანგელოზი ჩამოუშვებს ციდან. მის ზემოთ გამოსახულია ზეცაში ამაღლებული, იესო ქრისტე, რომელიც გაშლილი ზელებით აუროზებს სვეტის. ქრისტეს მარჯვნივ და მარცხნივ არიან ანგელოზები: მარჯვნივ დაჩიქილი ღვთისმშობელი და წმ. გიორგი, მარცხნივ წმ. ანდრია და წმ. მათე. წმინდანებს, ღვთისმშობლის გარდა, შარავანდებზე აქვთ წარწერები (რუსულად და ქართულად) მათ ამოსაცნობად.

წმ. სვეტის ჯირკის ფესვებს შორის მოჩანს კვართგადაფარებული სიღონიას გვამი. საყურადღებოა, რომ მ. საბინინს აქ გადმოცემული აქვს, ანალი ვერსია სიღონის ბუნებრივი დაყრძალვის შესახებ: როდესაც განსვენებულ სიღონიას კვართი ვერ გამოართვეს, მეფე ადერქის ბრძანებით, ცხედარს ყარაული მიუჩინეს, მეფე და მისი თანმხლები კი დაღამებისას წავიდ-წამოვიდნენ. ცხედართან დარჩენილი ელიოზი და მისი ახლობლები გულმხურვალედ ღოცელობდნენ. შუალამისას მოხდა ძლიერი მიწისძერა. მიწშე დასვენებული ცხედრის ქვეშ გაჩნდა დიდი ბზარი, რომელმაც სამუდამოდ მიიბარა წმ. კვართი ნეტარი ქალწულის სხეულთან ერთად (80:3). იმ ადგილას ამოსზარდა კედარი, რომლის ჯირკი და ფესვები ნათლად ჩანს ზატზე. ჯირკის მარჯვნივ და მარცხნივ დგანან: მარჯვნივ წმ. იოანე, მარცხნივ, ვაჟის ჯერით, წმ. ნინო. წინა პლანზე მუხლმოყრილი თამარ მეფე (მარჯვნივ) და მირიან მეფე (მარცხნივ). სვეტის ორივე მხარეს დგანან წმინდანები და ქართული ეკლესიისა და სამშობლოსათვის წამებულნი, მოყოლებული მეორე საუკუნიდან (17 სუქიელი თავადი) ვიღრე შაჰ აბას II-ის მიერ 1660 წელს წამებულ ბიძინა ჩოლოფაშვილის და შელვა და ელიშბარ ქსნის ერისთავებამდე.

მ. საბინინის ზატის კომპოზიციის ცენტრის, ურტიკალის (იესო ქრისტე - სვეტი ცხოველი - კვართი) მქონე ზატები, როგორც ჩანს, დიდი ზნის წინათ არსებობდა მცხეთაში. ისინი უნდა ასახულიყო XVIII საუკუნეში დაბეჭდილ ქართულ წიგნებში. 1892 წ. თ. უორდანია წერდა: „საეკლესიო მუშებმში ჩვენ გვინახავს ორი სურათიანი წიგნი დაწერილი მე-XVIII საუკუნეში. ორსავე წიგნში დახატულია: სვეტი ცხოველი ანგელოზთაგან პაერში პყრობილი, იმის ქვეშ საფლავი, რომელშიაც მკერია ქალი საუფლო

კვართით ხელში... ამასთან საფურადლებოა ისიც, რომ ერთი ამ წიგნთაგანი დახატულია თვით მოსკოვში, დიაკვნის ი. ეპიტამვილის მიერ 1745 წ. (23).

სვეტიცხოვლის ტაძარში, ერთ-ერთი ხატი, აღმათ, უმთავრესი, რომელიც ცხოველმყოფელ სვეტზე მიმაგრებული იყო, ნანა და აღწერა მ. სელეზნიოვმა. მისი თქმით: „შემდეგში ზის ეკლესის მაგიერ აღმართა დიდებული გოთურ-ბერძნული არქიტექტურის ქვის ტაძარი. კედარის ნარჩენ (ჯირკზე დადგეს - ე.მ.) ქვის ბოძი, რომელიც დღესაც არსებობს იმ ორ სვეტს შორის, რომელიც იჭერენ მცხეთის ტაძრის გუმბათს, ეკლესიასა და ხალხში ცნობილია როგორც მირონმდინარე. მასზე გაცემებულია კუბოში მწოდარე, უფლის კვართგადაფარებული ქაღწული სიღონიას გამოსახულება. ზემოთ დიდი კედარი, რომლის ძალა წარმოდგენილია მღლოცველი მხსნელი. მის ქვემოთ კედარზე ხელჩაჭიდებული ორი ანგელოზი, მათ უკან კი, აქეთ-იქით წმ. ღილმოწამე გიორგი და წმ. მოციქულთა სწორი ნინო“ (81:26).

ერთმანეთს თუ შევადარებო მ. საბინინის „საქართველოს ეკლესის დიდებას“ და მ. სელეზნიოვის მიერ აღწერილ ხატს დაეინახავთ, რომ მათ შორის შინაარსობრივი მსგავსება განუწომლად დიდია, ვიდრე გან-სხვავება. ორივე ხატი იდეურად ერთნაირია. ორივე ხატის კომპოზიციის ცენტრს სვეტი წარმოადგენს. მ. საბინინმა ხატს ეროვნული და ისტორიული მნიშვნელობა შესძინა მის კომპოზიციაში მრავალი ქართველი წმინდანის ჩართვით.

დგება კითხვა: იცოდა თუ არა მ. საბინინმა იმ ხატის არსებობას მ. სელეზნიოვმა რომ ნანა და აღწერა. მნელია დაკერება, რომ მას არ სცოდნოდა, თუმცა ის ამას არსად არ აღნიშნავს, არც 1899 წელს სანქტ-პეტერბურგში სპეციალურად გამოქვეყნებულ ბროშურაში (80).

ა. ნატროშვილის მიერ 1900 წელს გამოქვეყნებულ სვეტიცხოვლისადმი მიძღვნილ შესანიშნავ წიგნში (87 და 88 გერლებს შორის) მოთავსებულია ნახვარწირის ფორმის, ჭედური ერტცხლის ხატის ფოტო, რომელზეც გამოსახულია: ერთ ანგელოზს უკავია ცხოველმყოფელი სვეტი, ის ეყრდნობა კუბოს, რომელშიც ასვენია სიღონია ზედ გადაფარებული კვართით (69). იმავე ტაძარში, იმავე სვეტზე, დასავლეთ მხარის, დაბლა კუთხში დღესაც ჩანს კვადრატული ფორმის, ტოლფერდა ფრესკა. მანშე ჯერ კიდევ შეიძლება გარკვევა სვეტისა, რომელიც ორ ანგელოზს უკავია, მის ქვემოთ, მიწაში, სიღონია კვართით, აქეთ-იქით ჩანს ორი აღმართის სიღონეტი, აღმათ წმ. ნინო და მეფე მირიანი.

არც ეს ხატი პეტე მ. სელეშნიოვის მიერ ნანამ ხატს, მაგრამ იმავე ტაძარში ოდესაც ყოფილა ის ხატი, რომლის ასლები საეკლესიო წიგნებში ქვეყნდებოდა. ეს უნდა ყოფილიყო ის „საქადაგო ხატი“, რომელიც სეტიცხოველის საგანძურში ინახებოდა. მისი აღწერილობა მოცემულია ა. ნატროშვილის დასახელებულ წიგნში. სამწუხაროა, რომ წიგნში არ არს ამ ფრიად საინტერესო ხატის ფოტოს ურაოთ.

ვერცხლის, ჰედური, „საქადაგო ხატი“ სიგრძე იყო 7,5 ვერში, სიგანე-4, ჰქონდა იმავე ლითონისაგან დამზადებული სარქველი. ამჯერად, განსაკუთრებით საინტერესოა სახატე (კუბი), რომლის მოოქროოილ ზედა მხარეზე გამოსახული იყო კუბოში მწოდიარე სიღონია (სახელი, ალბათ, უკვე დამკეიდრებული ტრადიციის მიხედვით, ხატის აღწერელმა, ა. ნატროშვილმა შეარქვა), რომლის მკერდიდან ამოსული ცხოველყოფელი, ძელი ანგელოზის უკავია. სიღონის ფეხებთან იდგა მლოცველი ნინო, სახატის თავში კი ქრისტე მხსნელი, რომელიც ლოცავდა ორივე ხელით. სახატის გვერდებში იყვნენ წმ. ნინო და მეცე მირიანი.

ხატს პქონდა 44 ბუდე წმინდა ნაწილებისათვის. ვერცხლის ყდაზე ეწერა იმ წმინდანთა სახელები, რომელთა ნაწილებიც ბუდეებში ინახებოდა.

სახატეზე იყო მხედრულით შესრულებული საკმაოდ ვრცელი წარწერა, რომელსაც მოვიყვან შემოკლებით:

„სეტო ღვთივ აღმართებულო, კვართო საუფლოთ და მირონო წმინდაო, ჯვარო ქრისტეს ღვთისა ჩვენისაო. შევამეცე და მოვაჭედვინე კუბო ესე სეტის-ცხოველისა, საქადაგე ხატისა, ჩვენ ყოველისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთის კათალიკოსმან გურიელმან მალაქია... მას უამსა, ოდეს შაპ აბასმა ყევნმა კახეთი და ქართლი აღაოხრა, კახეთისა და ქართლის ბატონები ლიხეთის მთას აქეთ გარდმოვიდნენ და ჩვენ ვისილეთ და ქართლისა კათალიკოზი იოანე ჩვენთან მოვიდა და აქ ჩვენთან მიიცვალა და რაც საქათალიკოზო იარაღი დარჩია, ზაქარია კათალიკოზის მივაბარეთ. ეს საქადაგე ხატი, სურა ბარქაში აქ დარჩია და თუ მართლად საქართველო შეიქმნას, იპრიანოს ღმერთან, ჩვენ მივასვენოთ იმის საყდარსა და სხვაც მრავალი შევწიროთ და ვინც ჩვენს უკან სეტის-ცხოველს დაუჭიროს, ჩემი ცოდვის პასუხი მეორედ მოსვლას მან გასცეს. ერთც დაუჭიროს და მცხეთას არ მიასვენოს, მის კათალიკოზს არ მიაბაროს.

ქ. პირველად გაეკეთებინა კუბო ესე ღედის ბიძასა ჩვენსა კათალიკოზს გურიელს, დალეწილიყო და შემუსერილიყო. ხელ-პლა საქართველოს

მეუე შარავანდელმა კათალიკოზ პატრიარქმა დომენტიმ განვაჭლეთ და ვერცხლი იცი მარჩილი დავადევით. ისევ, როგორც გურიელის კათალიკოზის სახელი ეწერა, ისევ დავწერეთ. შემიწყალე მე, ძელო ცნოველო, რომელმან განვახლე ხელ-ხლა კუბო ეს სკეტი-ცხოვლისა. ვინც სკეტს-ცხოველს მოუშალოს, წყეულ და შეჩერებულ იფოს. ქვს 1716. სკეტი-ცხოვლის სახე არ იყო და ჩვენ გამოვიყვანეთ“ (70:413-414). შემდეგ ჩამოთვლილია ის წმინდანები, რომელთა ნაწილებიც დაცული იყო ზატის კუბოს ბუდეებში.

წარწერა შეიცავს ძეირფას ცნობებს როგორც ზატის, ისე საქართველოს ძალისათვის.

ირკვევა, რომ შაჰ აბასის საქართველოში პირველი ღამქრობის დროს (1614 წ.), კახეთისა და ქართლის ბატონებმა, თეიმურაზ I მა (1606-1648) და ლუარსაბ II-მ (1606-1614) თავი შეაფარეს იმერეთის სამეფოს. მათ ახლდათ კათალიკოსი იოანე (1612-1616), რომელსაც სხვადასხვა საეკლესიო ნიერებთან ერთად, წაუღია „საქადაგო ზატი“. კათალიკოსი იოანე იმერეთში გარდაიცვალა. გველა ნიერი, საქადაგო ზატის გარდა, კათალიკოს ზაქარიასათვის გადაუციათ. „საქადაგო ზატი“ მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო მთელი საქართველოსათვის, რომ მაღაქია გურიელმა მისანშეწონილად ჩათვალა ის მანამდე დაეტოვებინა იმერეთში, ვიდრე საბოლოო მშეიღება დამკვიდრდებოდა და ზატისათვის უნიფათო პირობები შეიქმნებოდა აღმოსავლეთ საქართველოში.

მართალია, ამ წარწერით ზატის ხანდშტელობა ერ განისაზღვრება, მაგრამ სრულად ნათელია სახატის (კუბოს) შექმნის დრო: იგი დასავლეთ საქართველოს კათალიკოსმა მაღაქია გურიელმა (1616-1639) გააკეთებინა (შეამკი და შეაჭერებინა).

წარწერიდან არ ჩანს როდის დააბრუნეს ზატი სკეტიცხოველში. იმს კი კიგებთ, ერთი საუკუნის შემდეგ სახატე დაზიანებული ყოფილა და კათალიკოს დომენტი IV-ს (1705-1741) აღუდევინა.

თუ ერთმანეთს შევადარებთ მ. სელეზნიოვის და ა. ნატროშვილის მიერ აღწერილ ზატებს, დავრწმუნდებით, რომ ორივენი ერთსა და იმავე ზატზე გადმოგცემენ. საეჭვო არც ის არის, „საქადაგო ზატის“ აღწერილობა ან უშაალოდ დედანი, გადაიქცა მ. საბინინის შთაგონების წყაროდ და შეიქმნა „საქართველოს ეკლესიის დიდება“.

## „სამეფო კვართიან დავითიანი“



ბაგრატიონთა დინასტიის მეუკები სიამაყით აღნიშნავდნენ თავითან  
ნათესაობას ოუდაურ-ქრისტიანულ სამყაროსთან და ორიგინალურად გა-  
მოხატავდნენ ამას სახელმწიფო გერბში მოთავსებული ემბლემებისა და  
სიმბოლოების სახით.

სწორია მოსაჩრება, რომ ქართული სახელმწიფოებრივი სიმბოლიკის  
ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად ქრისტეს კვართის გაჩენა და XVII  
საუკუნეში დაბეჭდილი ქართული წიგნების სატიტულოზე მისი გამოსახუა,  
XVII საუკუნეში საქართველო-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობის  
ნაყოფი უნდა იყოს. თითქოს ქართველებს ამით სურდათ დაერწმუნებინათ  
რუსეთის ხელისუფლება კვართის მუდმივად საქართველოში არსებობაში.  
მაგრამ ძნელია გამოსარება იმისა თითქოს ამ ურთიერთობამ გამოიწევა  
კვართის პოპულარობა ქართველთა შორის; თითქოს ეპუშტი ბატონიშ-  
ვილმა თავის ცნობილ რუკებს კვართიანი გერბები ამ მიზნით დაურთო.  
აი რამ სწერდა ნ. მარი: „საერთოდ, ერთმორწმუნე რუსეთის გრძნობებზე  
დამყარებულმა იმედებმა, და, კერძოდ, მის მიერ გამომდევნებულმა  
მხურვალე ინტერესება მცხეთის ქიტონისადმი, მნიშვნელოვნად  
განაპირობა ამ სიწმინდის პოპულარობა ქართველთა შორის. საქმარისია  
ითქვას, რომ პირველად XVIII საუკუნეში ქიტონის გამოსახულება  
შეიტანეს ქართველთა გერბში, რომელიც, სხვათაშორის, ამშვენებს  
ვაჟტანგის ბეჭდურ გამოცემებს“ (66:70).

მევე მართალია დ. კლდალშეილი, როდესაც წერის: „ქრისტეს კვართონ  
დაყავშმირებულმა ამ ისტორიამ სწორედ ქართულ პერალდიკაშე იქონია  
გავლენა. ქართველმა მეუკებმა საკუთარი სახელმწიფო გერბის მთავარ  
უზერად კვართი გამოსახეს, რამაც იმ დროინდელი ქართული საქო-  
გაღოების ყოველგვარი ეჭვები საბოლოოდ გაფანტა... როგორც დაეინახოთ,  
საქართველოს მეუკეთა ბაგრატიონების სახელმწიფო გერბში კვართის  
გამოსახულების გაჩენა XVII საუკუნეში გაერცელებული არასწორი ჰირის  
გამო მოხდა, რამაც თავის მხრივ, დადგებითი როლი შეასრულა ქართული  
პერალდიკის განვითარების ისტორიაში“ (12:107).

ვერ გავიშიარებ ნ. მარის ნათქვამს, რომ რუსეთის დაინტერესებამ  
ქრისტეს კვართით საქართველოში ამ სიწმინდის პოპულარობა გამოიწვია.  
ქვეყანაში სადაც უძეველეს დროში შეიქმნა „მოქცევად ქართლისავ“, წმ.  
ნინოს ცხოვრების სხვადასხვა რეზაქცია, ნიკოლაოზ გულაბერიძის

„სვეტიცხოვლის საგალობელი”, „საყითხავი სუმტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ექლესისა” და სწო., ქვეყანაში, სადაც საუკუნეების განმავლობაში საყოველთაო ზემით აღინიშნება, „სვეტიცხოვლის”, მხოლოდ XVII საუკუნეში, გარკვეული პოლიტიკური ვნებათაღლვისა გზრდილიყო ქრისტეს კვართის პოპულარობა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში გერბების შემოღება ევროპისა და რუსეთის მიბაძებით მოხდა და იგი ფართო მასისათვეს ცნობილი გახდა ქართული წიგნის ბეჭვის დაწყების შემდეგ.

კვართიანი გერბის პირველი გრაფიკული გამოსახულება მოთავსებულია ვახტანგ VI-ის მიერ 1709 წელს თბილისში გამოცემულ პირველ ქართულ წიგნში - „სამოციქულო”. მართალი იყო ითანე ბატონიშვილის აქაქმანი, როდესაც, ევროპის გავლენით ახლადშემოღებული გერბის მნიშვნელობას, ეჭვებერ აყენებდა, როგორც ქართული სინამდევილისათვის უცხო მოვლენას: „რამ სარგებელ და ანუ რამ საჭირო არს ჩუმი ქართველთათვს ქონებად ღერბისა ვინავდგან ბეჭვედსა ვხმარობთ ჩუმი, თითქმის სრულიად ჰინელნი?... ჰინაში თითქმის არც არავის აქებ ღერბი და მაშ დაკარგულნი იქნებან გუარით?” (10:238-239).

ბაგრატიონთა სამეფო გერბის შინაარსი მათი გამეფებისთანავე განისაზღვრა. ბაგრატიონი მეფები თავიანთ ტიტულატურაში ტრადიციულად აღნიშნავდნენ რომ ისინი ჩამომავალნი იყვნენ დავით წინაშეარმეტყველისა (მათ ასე იცნობდნენ მახლობელ და შორეულ ქვეყნებშიც) და, ამდენად, ისინი უნათესავდებოდნენ იესო ქრისტეს, რადგან ახალი აღთქმის მიხედვით, იესოც დავითის შთამომავალი იყო (მათ.1:1; ლუკ. 1:32; რომ. 1:3). დავითი რომ იესო ქრისტეს მამა არის, ამას გვამცნობს „მოქცევად ქართლისამ”, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი და ღამა გიორგის დროინდელი მემატიანე. გავიხსენოთ გიორგი VII-ის პასუხი თემურ-ლევაბის მოთხოვნაშე, რომ საქართველოს მეფე მისადმი მონურ მორჩილებაში უნდა ყოფილიყო: ასე უწყოდე, რამეთუ მე მეფობასა არა უმცირეს ვარ, არცა უდარეს. არა უწყია, რამეთუ მირთაგან დავით წინაშეარმეტყველისათა ვართ, და მის გამო ღმრთისა მიერ ცხებით განგების მეფობა ჩუენ ბაგრატიონთა და ტომნი ვართ დავით მეფისა და წინაშეარმეტყველისა?” (30:460-461).

ამგვარად, დავით წინაშეარმეტყველისა და იესო ქრისტეს, როგორც ბაგრატიონთა ღვთაებივი წინაპრების აღმნიშვნელი ემბლემების სამეფო გერბში შეტანა, სრულიად მოსალოდნელი და ნორმალური იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა 1709 წელს გამოცემულ „სამოციქულოში”

მოთავსებული გერბის კომპოზიცია. გერბის ცენტრში, ექვსქიმიანი ვარის კელავის (პექსაგრამა, მაგრენ დავითი - დავითის ფარი) შიგნით წრმანის ფორმის სიბრტყეზე განლაგებულია: შუაში - ქრისტეს კვართი, მარცხნივ - დავით წინაშეარმეტყველის ქარი, მარჯვნივ - იმავე დავითის შურდული. თითოეული ემბლემის ზემოთ არის დაქარაგმებული წარწერა. თითოეული ემბლემის შინაარსი და მნიშვნელობა სრულიად გასაგებია: კვართი - ისო ქრისტეს ამქავენიური უკანასკნელი სამოსელი, საქართველოს უძვირფასესი რელიქვია. მასზე აშენდა სევტიცხოველი - უმთავრესი ქართული ქრისტიანული ტაძარი; ქარი - ბიბლიური დავითის საყვარელი მუსიკალური საყრავი, რომელზეც მან თავისი საგალობელი დაამდერა; შურდული - გაბსენება დავითის მიერ ფილიტიმიელი გოლიათის მოუვლისა. ვარსკვლავის ანუ შიდა ჩარჩოს ქიმებს თავისი დატვირთვა აქვს: ვერტიკალურად განლაგებული ორი ქიმიდან, ზევითას სამეფო გვირგვინი აღვია, ქვევითა და მასთან ერთად მთელი ვარსკვლავი, დაყრდნობილია კვართის საფლავიდან აღმოცენებული ცხოველმყოფელი ერდრის ჯირქზე (გერბის ამ დეტალში, რომ ეს იღეაა ჩადებული, გამოუვეთილად ჩანს 1720 წელს გამოცემულ „პარაკლიტონში“ მოთავსებულ სამეფო გერბში); დანარჩენი ქიმები - ორი მარცხნივ და ორი მარჯვნივ, უკავია თითო ანგელოზის. ექვსქიმიანი ვარსკვლავი - ჩარჩოს უკან მოჩანს ხმალი და სკიპტრა - სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების სიმბოლოები. წინა პლანზე ჰქესაგრამას ქვემოთ, სამეფო ხელისუფლების ძლიერების ებრაული სიმბოლო ლომი გერბში (ზემოთ და ქვემოთ) არის ქარაგმები, რომლებიც, აღბათ, წაიკითხება ასე:

წ(მიღაი) ღ(მერთი) ღ(ა) პ(ატიოსანი)  
მ(ეუფე), გ(ანგებელი) ქ(ოვლისა) ს(ამყაროსა).

მოგვიანებით გერბმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა (ის. 17|| წლის ადავითინის<sup>1</sup> გამოცემა). ზემოაღნინული ემბლემები გადაადგილეს: ქარისა და შურდულის შუა მოაქციეს ხმალი და სკიპტრა, ეს ყველაფერი

<sup>1</sup> ლომის უიგურებით, ჩეეულებრივ, ამერიკენ სამეფო ტაბტს. ამ შზრივ განსაკუთრებით გამოიჩინდა სახელგანთქმული სოლიმონის ტაბტი: „გადაეცეთა მეფეებ სპილოს ქელისაგან დიდი ტაბტი და ხალასი ოქროთი დაფარა. ექვსი საუეზური პერიდა ტაბტს... ხოლო სანიდაცვეებს თითო ლომი ცვდა გვერდით. ექვს საუეზურზე, აქეთ-იქით, სხვა თორმეტი ლომი იდგა; არცერთ სამეფოში არ ჭაუილა ამის მსგავსი რამ“ 3 მეტ. 18-20.

კი გვირგვინის ქვეშ. ჰექსაგრამა-ჩარჩო რვაკუთხიანი მოგრძო ჩარჩოთა  
შეიცვალა, რომლის შეგნით დარჩა მხოლოდ კვართი. შიდა ჩარჩოს წა-  
აწერეს ცნობილი ციტატა ფსალმუნიდან (22:19): „და კეართხა ჩემსა  
ზედა განიგდეს წილი, განიცევეს სამოსელი მათ შორის“. რვაკუთხა ჩარჩო  
უპყრია ორ ლომს.<sup>1</sup> გერბში შეიტანეს ახალი სიმბოლოები - ჯვრიანი  
სფერო და სასწორი. საერთო გარე ჩარჩოზეც გაჩნდა წარწერა: „ეუეცა  
უფალი დავითს ჭეშმარიტებითა, და არა შეურაცხყოს იგი. ნაყოფისაგან  
მუცლისა მერისა დაესუა საყდართა შენთა“. ეს არის ამონარიდი 88 და 131  
ფსალმუნებიდან. უფალი აცხადებს: „დაედე პირობა ჩემს რჩეულთან.  
შევუცა დავითს ჩემს მორჩილს: უკუნისამდე გავამაგრებ შენს შთამო-  
მავლობას და თაობიდან თაობამდე დავაუზნებ შენს ტახტს“ (95:405).  
იგივე მხრი გატარებულია 131-ე ფსალმუნში, რომელიც სრულად იყოთხება  
ასე: „შევუციცა უფალმა დავითს ჭეშმარიტად. არ გადაუხვევს მისგან:  
„ნაყოფისაგან შენი მუცლისა დაესვამ შენს ტახტზე. თუ დაიცავენ შენი  
ძენი ჩემს აღთქმას და ჩემს მცნებებს, რომელთაც ვასწავლი მათ, მათი  
შევლიები უკუნისამდე დახსნებიან შენს ტახტზე“.

ბიბლიური დავითისადმი ხსოვნა თაობიდან თაობას გადაეცემოდა და  
დეთიური გამოცხადებით მითითებულია მასზე, როგორც დეთის მიერ  
მირონცხებულზე, რომლის თესლიდან იშვა იქსო ქრისტე, მსოფლიო  
ტახტის მპყრობელი. მაგრამ ქართველმა იდეოლოგებმა, აღნიშნული  
ფსალმუნი, საყოფელთაო გაეგბასთან ერთად, სახელმწიფო ინტერესებს  
მიუსადაგეს და დავითის ტახტის მპყრობელად, ამ ქვეყნად, საქართველოში,  
დეთიური განვითარებით, ბაგრატიონთა დინასტია გამოაცხადეს.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ბაგრატიონთა სამეფო გერბი  
ცვლილებები პოლიტიკურ-რელიგიური მოსახლეობებით მოხდა. ყურადღება  
გამახვილდა სამეფო დინასტიის ქრისტიანობაზე (ქვართის გამოყოფა სხვა  
ებლემებისაგან), უკანა პლანზე გადაიწია, თუმცა საბოლოოდ არ გაქრა,  
თავდაპირველად არსებულმა იუდაურ-ქრისტიანულმა სინკრეტიზმა.

ამის შემდეგ ბაგრატიონთა სამეფო გერბს მნიშვნელოვანი შინაარ-  
სობლივი ცვლილება აღარ განუცდია, ეცვლებოდა მხოლოდ ფორმა  
(ი. 38:35-40, 55, 63, 68-70).

<sup>1</sup> მოღწეულია VI საუკუნის ორი ამულეტი, რომლებზეც გამოისახულია უქანა  
უეხებზე შემდგარი იორ ლომი. მათ ჰექსაგრამა უპყრიათ. ამულეტებს აქვთ წარწერა  
- ქალომინის ბეჭედი". ეს ცნობა მომაწოდა არქეოლოგმა გ. ლამბაშიძე რისთეისაც  
მაღლობას მოვახსენებ.

## თავი II ქრისტეს კვართი რუსეთ-ირანის და საქართველო-რუსეთის დიპლომატიურ ურთიერთობაში (1624-1625 წწ.)

XVII ს. პირველ მეოთხედში რუსეთისა და ირანის დიპლომატიურ ურთიერთობისას, განსჯის მნიშვნელოვან საგანს საქართველოს საკითხიც წარმოადგენდა. რუსეთი ერთმორწმუნე საქართველოს მფრიველად და დამცველად გამოდიოდა, რითაც შაპ აბასის შემუღოთებას იწვევდა. ირანის ხელისუფალთ კარგად ესმოდათ, რომ რუსეთი საქართველოს აქტიურად ვერ დაიცავდა, მაგრამ დიპლომატიურ ასპარეზზე რუსეთის მიერ მისი საკითხის გამოტანა, გარკვეული გაგებით, აფეროხებდა ამ ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას, მათს ერთობლივ გამოსვლას საერთო მტრის, თსმალეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ. საქართველოს საკითხში რუსეთის გააქტიურებისათვის განსაკუთრებით იღვწოდა კახეთის მეუე თეიმურაშ I (1606-1648), რომელმაც რუსეთს დახმარება რამდენჯერმე ხხოვა.

შპ აბასი ხედავდა რუსეთის მტკიცე პოზიციას (ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვიერს) თეომურობისა და მისი სამეფოს დაცეს საქმეში, ამიტომ ის მოლაპარაკებისას ქრისტიან ხელმწიფებისა და მის ელჩებზე ზემოქმედებისათვის, ვითომდაც სხვათა შორის, ამბობდა, რომ ივერთა ქვეყანაში ხელთ იღდო ქრისტეს კვართი, რომლის გაგზავნა სურდა დიდი ხელმწიფებისა და პატრიარქსათვის. იქე შპ აბასი აღნიშნავდა, რომ ამ სიწმინდის დაუფლებას ცდილობდა მრავალი ქრისტიანი ხელმწიფე და სიხოვეს კიდეც მას, მაგრამ არავის არ მისცა (45:40, 74:80). უნდა ითქვას, რომ შპ აბასი მიერ საქართველოდან წაღვეული კვართის საკითხმა, XVII ს. 20-იანი წლებიდან, გარკვეული მიმართულება მისცა, ვერ რუსეთ-ირანის, შემდეგ კი საქართველო-რუსეთის დიპლომატიურ ურთიერთობას.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება იმის თაობაშე თუ როდის შეიძლებოდა კვართი საქართველოდან გაეტანათ. შერთა სხვადასხვაობას იწვევს ის, რომ წყაროებში საერთოდ, არ არის მითითებული თარიღი და ვარაუდობენ, რომ შპ აბას კვართი შეიძლებოდა წაედო საქართველოში ერთ-ერთი ლაშქრობის დროს. ჩემთვის ცნობილი მასალებიდან მხოლოდ ერთში ჩანს, რომ რუსი ელჩებისათვის თვით შპ

ს უთქვამს ამის შესახებ. როგორც ირანიდან მოსკოვში დაბრუნებული ელჩები 1625 წელს ისსენებდნენ, 1622 წლის 21 იანვარს შაპს პირველი მიღებისას მათთვის უთქვამს, რომ „მას აქვს ქრისტეს პერანგი და იმ პერანგს უგზავნის დიდ ხელმწიფეს და ხელმწიფის მამას, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქს ფილარეტ ნიკიტას ძეს“. ელჩების კითხვაშე, რამდენი ხანია და როგორ მოიძია მან კვართი, შაპსა უპასუხა: როდესაც მან საქართველო დაიბყრო და გაიგო, რომ საქართველოში კვართია, ბევრი ეძება და იპოვა იმავე 130 (1622) წელს<sup>1</sup>. გასათვალისწინებელია, რომ იმ დროს, რუსული კალენდრის მიხედვით, ათალი წელი 1 სექტემბერს იწყებოდა. ამდენად, შაპის მიერ 21 იანვარს ნათქვამი რუს ელჩებს ნორმალურად უნდა მოსჩენებოდათ: დრო სრულიად საქმარისი იყო საქართველოდან ირანში კვართის მისატანად.

შაპ აბასმა სწორად გათვალა. მისთვის ცნობილი იყო რუსეთის ეკლესიისა და სამეფო კარის დაინტერესება ქრისტიანული სიწმინდეებით. ჯერ კიდევ XV ს. დასაწყისში რუსეთში ჩამოყალიბებული სახე მიიღო რელიგიურ-პოლიტიკურმა თეორიამ - „მოსკოვი - მესამე რომია“<sup>2</sup>. ამ თეორიის პოლიტიკური მიზანი იყო რუსეთში ეროვნული თვითშეგნების ამაღლება, ხოლო მართლმადიდებლურ, განსაკუთრებით სლავანურ ქვეყნებში, კათოლიკონიმის წინააღმდეგ ბრძოლა და რუსეთის გავლენის დამკვიდრება. ამიტომ, რელიგიური პროპაგანდისტული მიზნებიდან გამომდინარე, რუსეთის ხელისუფლებას სურდა „მესამე რომში“ - მოსკოვში შემოეკრიბა ქრისტიანთათვის უძვირფასესი სიწმინდეები. რუსი ელჩებისათვის კიდევ უფრო კარგად იყო ცნობილი თავიანთი მეფისა და ეკლესიის განწყობილება. ამიტომ მათ მოსკოვის დაუკითხავად (აღნიშვნის ღირსია, რომ რუსი დიპლომატები არავითარ ინიციატივას არ იჩენდნენ იმ საკითხების მიმართ, რომელთა შესახებ მოსკოვში არ ჰქონდათ დავალებული) შაპ აბასს ურჩიეს რომ ხელმწიფისა და პატრიარქისათვის ეცნობებინა, რომ აქეთ საჩუქარს უგზავნიდა და ისინი განარებული და კმაყოფილი დარჩებოდნენ (45:40; 74:80).

ქრისტეს ქართის მოსკოვში წაღება დაევალა ქართველ ურუსან ბეგი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი წყაროს მიხედვით შაპმა ორ ელჩი გააგზავნა: დასახელებული ქართველი და ვინმე ბელატ ბეგი. ელჩიობის ხელმძღვანელი, „დიდი“ ელჩი, ურუსან ბეგი იყო. ი. კორობინმა, ირანიდან მოსკოვში გაგზავნილმა რუსთა ელჩიობის თარჯიმანმა, განაცხადა, რომ „შაპის ელჩიად ხელმწიფესთან მოდის დიდი ელჩი ურსან ბეგი,

წარმოშობით ქართველი, მეორე ელჩი ბულატ ბეგი და ვაჟარი მამას ელენი, ხოლო დიდი ელჩი (ურსან ბეგი - ე. მ.) მოდის ცოლითა და „ვაჟიზ“ (86:153-154).

რადგან შაპის ელჩი ქართველი იყო, ამიტომ საჭიროდ მიმართდა მამშე ითქვას ყველაფერი შეძლებისდაგვარად. ურუსან ბეგის შესახებ ზოგიერთი ცნობა რუსულმა წყაროებმა შემოგვინახა იმ მომენტიდან, როდესაც შაპ აბაშია უფლის ქვართის მოსკოვში გაგზავნა განიხრახა. ურუსან ბეგს უთქამის, რომ იყო მაღალი წარმოშობის ქართველი (86:154), ქრისტიანი, ოცი წლის წინათ ჩადგა შაპის სამსახურში, მაგრამ არ გამუსლიმანდა (86:157). მას, როგორც ჩანს, მხედველობაში პქონდა თავისი შინაგანი დამოიდებულება ისლამისადმი. გარევნულად კი, თავისი ცხოვრების ნირითა და საქციელით, ნამდვილი მუსლიმი იყო. ასეთი გაორების გამო, მან მოსკოვში უაღრესად უარყოფითი შთაბეჭდილება მოახდინა: ლაპარაკობდა ქრისტიანით, იქცეოდა მუსლიმივით, მოკლა ცოლი, რადგან ის არ დათანხმდა მოსკოვში სამუდამოდ დარჩენისტე. შეიძლება ურუსან ბეგი გულწრფელი იყო, როცა მის მიერ ქრისტიანობის შენარჩუნებაშე ლაპარაკობდა. სავარაუდოა, მან ისარგებლა რუსეთში ყოფნით და განიხრახა დიდი ხნის ნატევრის აღსრულება, დაუფარავად დაბრუნებოდა ქრისტიანობას. ურუსან ბეგის მიერ მოკლული ქალი, თავდაპირელად, მისი რძალი, უმცროსი ქმის ცოლი ყოფილა და მხოლოდ იმიტომ შეურთავს, რომ შაპ ს ეჭვი არ შეპარვიდა მისი ისლამისადმი ერთგულებაში. ცოლის მოკელის და მოსკოვში დარჩენის სურვილის გამომედავნების შემდეგ, რა თქმა უნდა მას ირანში დაბრუნება ადარ შეეძლო და ხელმწიფეს რუსეთში სამუდამოდ დარჩენის ნება სთხოვა. მაგრამ ხელმწიფე, როგორც ოფიციალურად აცხადებდნენ, შაპთან ურთიერთობის გაუუჭებას მოერიდა და ურუსან ბეგს რუსეთში დარჩენა აუკრძალა. ეს იყო მიწეზი თუ სხვა რამე, ძნელი სათქმელია, მაგრამ ელჩიმა დაყარგა წონასწორობა და შეურაცხადიეთ იქცეოდა: 1625 წლის 15 ივნისს მან მოიტაცა მხსნელის ხატი, სხვენზე ჩაიკეტა და საკუთარი ვაჟის მოკელა სცადა. შემდეგ თავისი თანამგზავრების დახოცვა მოინდომა. მხსნელის ხატი ცულით დაამტკრია და სხვა უმსგავსობაც ჩაიდინა. როგორც როტმისტრი მიხეილ ელჩიაროვი თავის მეფეს აცნობებდა, ურუსან ბეგი ყოველთვის ნარკოტიკს იღებდა. ელჩიაროვს დაევალა ყოველი ღონე ეხმარა და ელჩი და მისი თანამგზავრები უკნებლად მიეყვანა შაპთან (86:158-159). ის მართლაც მიიყვანეს შაპთან და, ალბათ, ყველაფერი მოახსენეს. შაპს განსაკუთრებით

განარისტებდა ურუსან ბეგის სურვილი რუხეთში დარჩენისა. მას მწარედ ასსოვდა ესპანეთში წარგზავნილმა ულუგ ბეგ ბაიათმა (დონ ხუან ლე პერსია) როგორ უღალატა შაპს, ისლამს, ცოლ-შევილს, სამუდამოდ ესპანეთში დარჩა და გაქრისტიანდა (5:120). შაპის ბრძანებით ურუსან ბეგი მოყლეს (85:144).

ურუსან ბეგი ოფიციალურ და კერძო საუბრებში დიდ ცოდნას არ ამჟღაენებდა თავის სამშობლოს - საქართველოს აწმუნასა და წარსულზე. შეიძლება ის შაპის მიერ მიცემული განაწესის მიხედვით იყავებდა თავს. მაგრამ ერთხელ საგარეო საქმეთა უწყებაში მოლაპარაკებისას, როდესაც სპეციალურად ისტილებოდა საქართველოს საკითხი, რუსმა დიპლომატებმა ინებეს და ურუსან ბეგის სამშობლო ისტორიულად რუსეთის ქვეშვრდომად გამოაცხადეს (რუსი დიპლომატები ასე ეუბნებოდნენ ურუსან ბეგის წინამორბედ სხვა ელჩებსაც), „რომ საქართველო ბერძნული კანონის მართლმადიდებელი ქვეყანაა და ქართველი მეფე აღექსანდრე წინაი ძმითა და შვილებით ქვეშვრდომი გახდა ნეტარხსენებული სრულიად რუსეთის დიდი ხელმწიფე მეფის და დიდი მთავრის თეოდორე ივანეს ძის დროს. შემდგომი ხელმწიფე მეფეების დროსაც აღექსანდრე შეიღებით ჯვარს ეამორა, რომ იმ ხელმწიფების ერთგული იქნებოდა“ (86:155). ურუსან ბეგმა საქმარე გაღიზიანებულმა განაცხადა, რომ ბოიარები ქართველი მეფეებისა და საქართველოს შესახებ მას ასეთ რამეს არ უნდა ეუბნებოდნენ, რადგან „ის თვითონ ქართველია და დარწმუნებით იცის, რომ ქართველი მეფეები და საქართველო მოსკოვის დიდი ხელმწიფის ქვეშვრდომი არასოდეს არ ყოფილა, საქართველო ყოველთვის დამოუკიდებელი იყო“ (86:155). შაპის ელჩის ამ ნათქვამით უქმაყოფილო რომ დარჩნენ რუსეთის ხელისუფალნი, ცხადია, მაგრამ კიდევ უფრო უქმაყოფილო დარჩებოდა შაპ აბასი, რომელსაც ელჩიბის წევრები აუცილებლად მოახსენებდნენ ურუსან ბეგის ნათქვამს. ურუსან ბეგის ელჩიბის მიზანი ხომ ზედმიწევნით ნათელი იყო: რუსეთის სამეფო კარისათვის დაემტკიცებინა ირანის განუყოფელი უფლება საქართველოზე, ყოველ შემთხვევაში, მის აღმოსავლეთ ნაწილზე მაინც და გაემართლებინა აღმოსავლეთ საქართველოს განადგურება. ურუსან ბეგმა კი სრულიად საწინააღმდეგოს დამტკიცება სცადა, რაც აღბათ, სხა მიხეშები რომ არ გაეხსენებინათ, ეს ერთიც საქმარისი იქნებოდა მის დასასჯელად.

ურუსან ბეგის რუს დიპლომატებთან მოლაპარაკების ეს ეპიზოდი, ვუიქობ, საეჭვოს ხდის რუსულ ოფიციალურ საბუთებში მოცემული

შაპის ელჩის დახმასიათებას. შეიძლება სხვაგვარადაც აიშსნას ურუსან ბეგის უარყოფით შხარეებზე ყურადღების გამახვილება.

შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო შაპის ელჩის მიერ აქცენტირება, ქრისტიანად ყოფნის შესახებ. ისიც ჩანს, რომ მას არ მოსწონდა თეიმურაშ 1-ის საგარეო პოლიტიკა. ის ბრალს სდებს კახეთის მეფეს შაპ აბასის მიერ მისი ქვეყნის განადგურებაში (86:155-156). ისიც საყურადღებოა ურუსან ბეგი როგორი მოწიწებით ლაპარაკობდა ქრისტეს კვართზე: „რომელი უმწეოც კვართს რწმენით შეეხება, ღმერთი შეიწყალებს, ხოლო ვინც კვართს რწმენის გარეშე შეეხება, მას მაშინვე თვალები გადმოსცივდება“ (45:21). დაკიორებული ადამიანი, ურუსან ბეგის ვარაუდით, უნდა მიხევდოლიყო, რომ მის მიერ მოსკოვში მიტანილი „ქრისტეს კვართი“ სინამდვილეში იმსა არ წარმოადგენდა როგორიადაც შაპ აბასი მარღებდა. ურუსან ბეგის სიტყვებს კიდევ უფრო უნდა გაედვივებინა ეჭვი, რომელიც შაპის მიერ მოსკოვში გაგზავნილი საჩუქრის მიმართ მაშინვე არსებობდა. შაპ ის მიერ ურუსან ბეგის მოსკოვში „დიდ“ ელჩად გაგზავნა, განპირობებული იყო ელჩის ეთნიური ქართველობით. შაპ აბასს სურდა რუსებისათვის ეჩვენებინა თავისი განწყობილება ქართველებისადმი. ასეთი დიპლომატის მიერ მოტანილი საჩუქრის მიმართაც მოსკოვის მთავრობას მეტი ნდობა ეწეობოდა. სხვაგვარად ვერ ავსნით ურუსან ბეგის ელჩად შერჩევას, რადგან იგი არ გამოიჩინოდა არც ადამიანური და არც დიპლომატისათვის აუცილებელი თვისებებით.

ირანიდან წარისულმა რუსმა ელჩებმა კვართზე ცნობების შეგროვება სცადეს. ურუსან ბეგს დაუსვეს კითხვები: როგორ აღმოჩნდა ქრისტეს კვართი საქართველოში, რამდენი ხანია, სად ინახებოდა, როგორ მოძებნა შაპმა? ურუსან ბეგმა მხოლოდ ის იცოდა, რომ კვართი მიტროპოლიტს ჯვარში ჰქონდა შენახული (74:81)!

1624 წ. 27 ივლისს მოსკოვში მიიღეს რუსი ელჩების თერგილან გაგზავნილი წერილი, რომლითაც აცნობებდნენ შაპ აბასის მიერ საქართველოდან წალებული ქრისტეს კვართის ზელმწიუბა და პატრიარქისათვის გაგზავნას. იმავე დღეს აღნიშნულ მოხსენებაზე გაჩნდა წარწერა: „მოელაპარაკეთ ქართველ ელჩის და ქითხეთ მას ქრისტეს კვართის შესახებ“ (45:43;

1 ლეგანდის მიხედვით, თემურ-ლენგის შემოსევების დროის ქართველებმა ქრისტეს კვართი ამოიღეს და მას კათალიკოსები ინახავდნენ. ალექსანდრე I დიდის (1412-1442) მიერ სევტიცხოვლის აღდგენის შემდეგ, კვართი ჯერის ბუდეში შეინახეს და ტამარში დამვიცნეს. შაპ აბასმა კვართის მიაგნო და მოსკოვში გაგზავნა.

74:83). ამჯერად კვართშე და მასთან დაკავშირებულ რელიგიურ და პოლიტიკურ კნებათლელვაში არაფერს ვიტყვი. მეოთხეულის ყურადღებას მივაპყრობ მხოლოდ საქართველოს ელჩის ვინაობაში.

რუსეთის საგარეო საქმეთა უწყების მასალების მიხედვით, ქართველ ელჩის თეოდოსე ერქევა და ეპისკოპოსი იყო. ის მოსკოვში უნდა მისულიყო 1624 წ. 14 მარტს. 16-ში, ხელმწიფის ბრძანებით, თეოდოსეს დასაკითხავად გაიგზავნენ ო. შეზოვი და ბერძნულის მცოდნე ს. კამენევი. მათ უნდა გაეგოთ ვისგან და რა მიზნით მივიდა თეოდოსე მოსკოვში. მან განაცხადა, რომ გამოვზავნა საქართველოს მეფე თეიმურაშიმა. მოსკოვში წახულამდე, თეიმურაშის დავალებით, ჯერ ოსმალეთში ყოფილა, რათა ეთხოვა თავისი მეფის დაცა შაპის აგრესისაგან. ოსმალეთიდან მობრუნებულ თეოდოსეს თეიმურაშიმა რუსეთის ხელმწიფესთან წასვლა უბრძანა. მისი მოვზაურობა დაიწყო ჩილდირიდან, საქართველოს მოსამართულებრების ქალაქიდან, რომელიც წინათ საქართველოს მეფეს ეკუთვნოდა, ეხლა კი სულთნისაა (75:62).<sup>1</sup>

მგზავრობა მოსკოვისაკენ თითქმის ერთი წელი გაგრძელდა. ის ჩილდირიდან გავიდა 1623 წლის მარტში, ტრაპიზონამდე ხმელეთით იმოგზაურა, აპრილის 20-ში მივიდა კონსტანტინოპოლიში, საიდანაც რუს ელჩებთან ივანე კონდირევთან და ტიხონ ბორმოსოვთან ერთად გზა გაგრძელდა, გაიარა კაფა და მშოვი, მშოვიდან კორონეამდე რუს ელჩებთან ერთად მდ. დონით იმგზავრა (75:62-63), 1624 წლის მარტში მოსკოვში მივიდა.<sup>2</sup>

ელჩობა შესდგებოდა სამი სასულიერო პირისაგან: თვით თეოდოსე (ელჩიბის ხელმძღვანელი), ათონის სიმინ-პეტრის მონასტრის<sup>3</sup> არქიმანდრიტი არსენი, რომელიც დამწვარი მონასტრის აღსაღენად მოწყალებას ითხოვდა. მას თან პქონდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის კირილეს სიგელები. ელჩობის მესამე წევრი იყო ქართველი არქიდიაკვანი კირილე (75:67-68,98). არქიმანდრიტი არსენი, კონსტანტინოპოლის პატრიარქის

1 ქალაქი ჩილდირი არ არსებობდა. თურქები ჩილდირს სამცხეში ქაჯთა ციხეს ემახდნენ. თავისი სამეფოდან განდევნილი თეიმურაში I ამ დროს ამ ცტეში იმყოფებოდა.

2 6. ნაკაშიძე, 6. ა. სმირნოვის ნაშრომშე (82:17) დაყრდნობით აღნიშნავს, რომ თეოდოსე 1623 წლის დეკემბერში რუს ელჩებთან ერთად მივიდა მოსკოვში (68:82), რაც სიმართლეს არ შეეფერდა.

3 „ხოლო ეწოდება სიმონ პეტრისა სახელი, და პეტრა ქვემა ეწოდებას“ (26:42-43).

მიერ გაგზავნილი, ალბათ, პატრიარქის სახელით რუსეთის ხელმწიფეს  
თეომეტრის შეწევნასაც სისხლიდა. რაც შეეხება ქართველ არქიდიაკვან  
კირილეს, მისი უფლება-მოვალეობაზი არსებულ მასალებში არ ჩაისა,  
მაშინ როდესაც ის ოფიციალური ვიზიტებისას ყოველთვის თეოდოსთან  
და კირილესთან ერთად არის. ელჩობას ახლდა 4 კაცი: 2 ქართველი -  
მიხეილი და ვაჟილი და 2 ბერძენი - კირილე და თომა (75:68).

თეოდესის მოსკოვში მიუტანია ძვირფასი თვლებითა და მარგალი-  
ტებით გაწყობილი ოქროს ჯვარი, რომელშიც ცხოველმყოფელი უფლის  
ჯვრის ხეც იყო შერეული, ჯვრის სანაწილები ეწყო: ღვთისმშობლის  
სამოსელის მცირე ნაწილი ითანე წინასწარმეტყველის თმა, ითანე  
ოქროპირის ნაწილები, წმ. პლაკიდოს ნაწილები, წმ. გიორგის ნაწილები,  
წმ. თეოდორე სტრატილატის ნაწილები, წმ. პირველწამებული სტეფანე  
არქიდიაკვნის ნაწილები, ქვა იმ მთიდან, სადაც 40 დღე მარხულობდა  
უფალი, უფლის საფლავიდან ჩამოტეხილი ქვა და სხვ. აგრეთვე ოქროთი  
და თვლებით გაწყობილი ფარი, ვერცხლის აღვირი მოქეროვილი  
სამკერდეთი (74:65).

ზემოთხსენებულ ო. შახოვა და ს. კამენევს დაევალათ რუსეთში  
დასახლებულ ბერძენ არქიეპისკოპოს ნექტარიუსთან<sup>3</sup> გაერკევათ ვინ იყო  
ქართველი არქიეპისკოპოსი თეოდოსე. ნექტარიუსმა თქვა, რომ ნამდვილად  
იცნობდა ქართველ ელჩს, როგორც პატიოსან, კეთილ და მტკიცე მართლ-  
მადიდებელს. მან ისიც იცოდა, რომ თეოდოსე ეპისკოპოსად აკურთხა იმ  
კათალიკოსმა, რომლის მიერაა დანიშნული ყველა ქართველი მაღალი  
თანამდებობის პირი. ნექტარიუსის თქმით, თეოდოსეს მაჩე უკეთ, 15  
წლის განმავლობაში იცნობდა მონაშირნი ითანიერი (74:65-66).

იერუსალიმის პატრიარქებს სოფრონიუსსა და თეოფანეს ითანიერი  
ორჯერ გაუგზავნიათ საქართველოში მოწყვალების შესაგროვებლად (74:66).  
მოწყვალების შემგროვებელი სახელიერო პირები საკმაოდ დიდხანს რჩე-  
ბოდნენ და საქმიანობდნენ ქართველ მაღალ სახელიერო და საერო ხელი-  
სუფლებასთან შეთანხმებით და მხარდაჭერით. ასე რომ, ითანიერის სა-  
შუალება პქონდა პირადად გამცნობოდა მის თანამედროვე მრავალ ქართ-  
ველ მოღვაწეს და საქართველოს ამბებშიც კარგად გარკვეულიყო. თეო-  
დოსეს მოსკოვში ყოფნის დროს ითანიერი ამ ქალაქში იყო დამკვიდრებული  
და არქიეპისკოპოს ნექტარიუსთან ერთად, როგორც მასალებიდან ირყვევა,

3 ნექტარიუსი 1613 წლიდან რუსეთში ცხოველმდა და იყო კოლოფლისა და  
ველიკომერმის არქიეპისკოპოსი, გარდაიცვალა 1626 წ.

მოსკოვის ხელისუფალთ საქართველოს საქმეების კვალიფიციური ექსპერტებად მიაჩნდათ.

მართლაც ითანიერიმ ფრიად საინტერესო ცნობები წარმოაჩინა თეოდოსეს შესახებ. კერძოდ, სოქვა, რომ თეოდოსე ქართველია, არქიეპისკოპოსი კი არა ეპისკოპოსია, 20 წელზე მეტი იერუსალიმში უფლის საფლავის ეპლესამი პატრიარქ სოფრონიუსთან იმყოფებოდა, ამგამად ის თავის მამულში - ქიზიუში (?) (კიზიკ) ცხოვრობს და მას ემორჩილება 25ზე მეტი არქიეპისკოპოსი და ეპისკოპოსი (74:67). ჩანს, ითანიერიმ არ იცოდა, რომ თეოდოსე მოსკოვში იმყოფებოდა.

თეოდოსე, როგორც თვითონ უთქვამს, მოსკოვში აღრეც, მეუე თეოდორეს დროს ყოფილდა. ის იერუსალიმიდან გოლგოთის ეპისკოპოს ეპიფანეს, იერუსალიმის პატრიარქის სოფრონის მიერ გაგზავნილ არქიმანდრიტს, იერუსალიმის წმ. საბას მონასტრის მონაჩონს და რამდენიმე ბერს, რესთ ხელმწიფესთან მოწყალების სათხოვნელად წაჰყოლია. მათი მოსკოვში ყოფილისას გარდაიცვალა მეუე თეოდორე და ისინი საქართველოში გამოისტუმრა მეუე ბორის გოდუნოვა.

გოლგოთის ეპისკოპოსი ეპიფანე ქართველი იყო. ეპიფანეს გოლგოთის ეპისკოპოსად ასახელებს იერუსალიმში ნამყოფი რუსი ვაჭარი ტრიფონ კორობეინიკოვი 1585 წელს (28:59). ალბათ, შემდეგში თეოდოსემ მისი ადგილი, გოლგოთის ეპისკოპოსის ტახტი, დაიკავა. საბუთებში არა მითითებული თეოდოსეს მოსკოვში ყოფილი დრო, მაგრამ ამის დადგენა იოლია. მეუე თეოდორეს გარდაცვალება და ბორის გოდუნოვის გამეუება მოხდა 1598 წელს. მაშასადამე, თეოდოსე ალექსანდრე II კაბთა მეფის დავალებით წახულა იერუსალიმიდან მოსკოვში, საიდანაც ბორის გოდუნოვის პატიონით დაბრუნებულა საქართველოში 1599 ან მახლობელ წელს, ე.ი. XVI ს. დასახრულს, როდესაც რუსი და ქართველი ელჩები „გამუდმებით იმყოფებოდნენ, როგორც ქართველ მეუე ალექსანდრესთან, ისე თეოდორე მეუესთან“ (72:360), მაგრამ იმ დროს თეოდორეს და ეპიფანეს ვერ ვხედავთ. 1598 წელს მოსკოვში იმყოფებოდნენ ალექსანდრე II-ის წარმომადგენლები - თავადი სოლომონი და ლევან მდივანი (43:322). რადგან მაშინდელ მასალებში არ არის ცნობები ამჯერად ჩევნოვის საინტერესო ელჩობის შესახებ, ამის გამო საბოლოოდ ვერ უარყოფთ თეოდოსეს მოსკოვში გაგზავნის შესაძლებლობას. პირიქით, 1623 წელს მისი ელჩობის ხელმძღვანელად დანიშნვა იმის მაჩვენებელია, რომ მას რუსებთან ურთიერთობის გამოცდილება უკვე პქონდა. თეოდოსეს ნათქ-

ვამიდან ერთი რამ ცხადია, რომ ის, განსხვავებით თავისი თანამგზავრებისაგან, 1598 წელს დიპლომატიური მისითაც ყოფილა მოსკოვი.

იოანიკეიმ თეოდოსის ცხოვრებისა და საქმიანობის ბოლო პერიოდში მოსკოვის მიმდევარი ადარ იყოდა, რადგან, როგორც ის 1624 წელს თეოდოს ამბობდა, საქართველოში 16 წლის წინათ, ე. ი. 1608-1609 წლებში იყო. ამის შემდგომ ის მოსკოვში დასახლდა და ადარაფერი გაეგონა თეოდოსის შესახებ. მას თეოდოსის ესე კი არა, საქართველოში მომზღარ ამბებზე არ პქონდა წარმოდგენა. იოანიკეიმ თქმით, შაპი საქართველოში ქრისტიანობას არ ზღუდავდა, მონასტრები და ეკლესიები ძველებურად ფუნქციონირებდა (74:85). როგორც ჩანს, იოანიკეიმ შაპ აბასი საქართველოში ლაშქრობების წინა რამდენიმე წელს გულისხმობდა.

საინტერესოა, რომ სათათბიროში მისული თეოდოსე მდივანმა ივანე გრამოტინმა წარადგინა როგორც „იერუსალიმის წმინდა გოლგოთის მთის და ცხოველმჟოფელი ჯერის მონასტრის“ არქიეპისკოპოსი, რომელიც მოსკოვში მოწყვალების სათხოვნელად მივიდა და მეფეს და პატრიარქს თემიურაშ მეფის სიგელები მიუტანა. ეს ცნობა დაგვეხმარება შედარებით სრულყოფილად აღვადგინოთ თეოდოსეს ბიოგრაფიის ზოგიერთი მომენტი მაინც.

იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი, მთელი შეა საუკუნეების მანძილზე უმთავრესი ქართული მონასტერი იყო პალესტინაში (15). პალესტინაში ოსმალების გაპატონების, საქართველოს ეკონომიკური დაქვეითების და პოლიტიკური გართულებების შედეგად ქართულ ეკლესია-მონასტრებსაც გაუჭირდა. გაჭირვებულ მდგრადი მონასტრების იყო იერუსალიმის ყველა მართლმადიდებელი ეკლესია. ბერძნული ეკლესის მეთაურთა მოგზაურობა მართლმადიდებელ ქავაჩებში მოწყვალების შესაგროვებლად ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ამ მიზნით საქართველოშიც მოდიოდნენ იერუსალიმის პატრიარქები, ბერძნული ეკლესიის სხვა წარმომადგენლები და საკმაო შეწეობასაც იღებდნენ. მაგრამ თუ იერუსალიმელი ქართველი სამღვდელონი საქართველოს გარდა სხვა ქვეყნებშიც ცდილობდნენ დამარცხების მოპოვებას, ამის მაუწყებელ სხვა ცნობას არ შევქვედრივარ. საგულისხმოა, რომ თეოდოსე, რომელსაც XVI ს. მიწურულს უკვე საკმაო გამოცდილება პქონდა მოსკოვში მოწყვალების შოვნისა, დიპლომატიური დავალების შესრულებასთან ერთად, ამჯერადაც, ქართული ეკლესია-მონასტრების საჭიროებისთვისაც იღვწოდა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ერთი უთარილო საბუთი, რომლის მიხედვით, გამუდმებით განსაცდელში მყოფი

თეომურჩ I „არა დაცხრებოდა... შენებად ეკლესიათა ამ საქართველოს ქვეყანასაც და საბერძნეთის ქვეყანასაც; მიუძღვანებია შესაწირავი ეკლესიათათვის, მრავალნი თვალი, მარგალიტნი, ოქრო და ვერცხლი, და სოფლებიც შეუწირავს კახეთიდამ ჯვარის ეკლესიათვის იერუსალიმს და წმიდის ღვთისმშობლის ეკლესიათვის მთაწმიდას“ (70:289).

რუსული წყაროს მიხედვით, თეოდოსე თეომურჩის სიგელით მოსკოვში წარდგნილი იქნა როგორც გოლგოთის და ჯვრის მონასტრის არქეპისკოპოსი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ XVII ს. პირველ მეოთხედში ქართველებს გოლგოთშე ჯერ კიდევ საკმაოდ მტკიცე მდგომარეობა ეკავათ (14:113-114).

ქართულმა საისტორიო წყაროებმა არ იცის ასეთი წოდების („გოლგოთის არქიეპისკოპოსი“) მქონე პიროვნება. მაგრამ, ალბათ, უნდა დავუკეროთ განსაზილეველ რუსულ საბუთს. დასაშეცია, რომ მოსკოვში დიპლომატიური მისით წასული სსულიერო პირისათვის, მისი ღირსებისა და წონის გზირდის მიზნით, საქართველოდან გაგზავნილი ოფიციალური რწმუნების სიგელით, ის წარედგინათ ქართველთა არქიეპისკოპოსად გოლგოთშე, რომლის ეკლესიათა კომპლექსს განსაუთრებული ავტორიტეტი პქნდა მთელ ქრისტიანულ სამყაროში. აქვე ისიც უნდა გავითვალიმწინოთ, რომ ოდესაც გოლგოთშე მართლაც იყო ქართველი ეპისკოპოსი, რამაც გვამცნობს რუსი ტრიფონ კორობეინიკოვი XVI საუკუნის მიწურულს (89:97). იერუსალიმში „გოლგოთს შეზე ეპისკოპოსის საჯდომი სეაში“ ქართული წარწერით უნახავს „ლავრენტი ბერს გოგელაძეს ოკრიბელს“ XIX ს. პირველ ათწლევდში (18:40).

საინტერესოა, რომ თეომურჩ I იერუსალიმში მოღვაწე ქართველ და ბერძენ სასულიერო პირებს, ხშირად, სხვადასხვა ქვეყნებში დიპლომატიური დავალებებით აგზავნიდა. ასეთი იყო საყოველთაოდ ცნობილი ნიკოლოზ ჩოლოტაშვილი (ნიკოლოზ ირბახი), იერუსალიმის ჯვრის მონასტრის იღუმენი (ჯვრისმამა), რომელმაც 1626-1628 წლებში დასავლეულო მოიარა, ასეთი ყოფილი ეხლა რომ უეცნობით „გოლგოთისა და წმ. ჯერის მონასტრის“ არქიეპისკოპოსი თეოდოსე გაგზავნილი რუსეთში, ოსმალეთში და კვლავ რუსეთში, ასეთი უნდა ყოფილიყო ნიკოლოზ ბერძენი, რუსეთის საკითხებში დიდად გაწაული, რომელიც თეომურჩის სამსახურში ჩადგომამდე, სავარაუდოა, იერუსალიმში იმყოფებოდა. ამა მაფიქრებინებს მისი თხოვნა 1640 წელს, მეფეს გაეშვა იერუსალიმში მიტროპოლიტის თანამდებობის აღსასრულებლად (49:35).

აუცილებლად უნდა ითქვას ერთ გარემოებშე, რომელიც უნებლივ გაოცებას იწვევს: ჩამოთვლილი სასულიერო პირების დიპლომატიურ საქმიანობშე არაეითარი ქართული გადმოცემა ან საბუთი არ არსებობს რაც ვიცით ისიც მხოლოდ დასავლეთ ეკუროპისა და რუსეთის საცავების მასალების წყალობით. ასეთი ვითარება ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ მტრების შემოსევებისა და სტიქიის მოქმედების შედეგი არ უნდა იყვეს. საფიქრებელია, სამეფო კარი შეგნებულად სპობდა სხვადასხვა ქვეყნებთან პოლიტიკური ურთიერთობის ამსახველ საბუთებს, რათა ისინი მეზობელი ისლამური სახელმწიფოების მბრძანებელთა ხელში არ აღმოჩენილიყო და არ გამეღავნებულიყო ქართველთა ცდები მათ საწინაღმდეგოდ მოკავშირის მოსაძიებლად. ხიფათი ემუქრებოდა ამ მისის შემსრულებელსაც. მათი დიპლომატიური საქმიანობის ამსახველი საბუთების შენახვა, აღბათ, არასასურველად მიაჩნდათ. ქართველი მეფეები უცხოეთში გაგზავნილ ელჩებს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებას ზეპირად აბარებდნენ და ისინი ვალდებული იყვნენ პასუხიც ზეპირად მოეტანათ.

XVII საუკუნის პირველ ნახევარში იერუსალიმში მოღვაწეობდა ეპისკოპოსი თეოდოსე მანგლელი რევისტორი. ის ჩანს ჯვრის მონასტრის აღაპებში ყოველთვის ნიკიფორე ირბაზის შემდეგ. მის სახელს ეხვდებით აღაპების ტიშენდორფისეულ ნუსხაში 3-ჯერ, სეინაქსარულ აღაპებში 7-ჯერ (17) და ის ყოველთვის მოისხენიება ეპისკოპოსობით. ეს ის თეოდოსეა ტიმოთე გაბაშვილმა ჯვრის მონასტრში ნიკიფორე ჩოლოყაშვილთან ერთად დაბატული რომ ნახა (26:80-82). ის უახლოესი თანამოღვაწე იყო ნიკიფორესი. „და მის თანა (ნიკიფორე ჩოლოყაშვილი - ე. მ.) - წერდა ტ. გაბაშვილი - (ცხოვრებულა) თევდოსე მანგლელი რევისტორი და ნეოფიტე, მართებელი მონასტერთანი ქართველთას” (26:86).

როგორც ტ. გაბაშვილის ნათქამიდან ჩანს, თევდოსე (თეოდოსე) იერუსალიმის მონასტრებს განაგებდა, რაც მის ჯვარისმამობას უნდა გულისხმობდეს. ის მართლაც ჯვრისმამად ჩანს XVII ს. პირველ მეხუთედში.

ცნობილია, რომ ნიკიფორე ირბაზი ერთია და იმავე დროს იყო იერუსალიმის მონასტრის არქიმანდრიტი „და მის თანა თევდოსე მანგლელი რევისტორი და ნეოფიტე, მართებელი მონასტერთანი ქართველთას”. მაშასადამე დასახელებული სამი პიროვნება თანმიმდევრობით მართავდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის და გოლგოთის ქართულ სავანებს. მსგავსად ნიკიფორესი („ოდიშს - სოფელ კოცხერელი, და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის და გოლგოთის არქიმანდრიტი”), თეოდოსეც რუსული

და ქართული წყაროების მიხედვით, იყო მანგლელი, ჯვრის მონასტრისა  
და გოლგოთის (აღდგომის ეკლესიის) ეპისკოპოსი. ამ უკანასკნელი  
თანამდებობის შესახებ ვიგებთ ივ. გრამტინთან მისი ნათქვამიდან. რადგან  
თეოდოსე (თევდოსე) საქართველოსა და იერუსალიმში ზოგიერთ ქართულ  
და არა ქართულ მონასტერს განაგებდა, ეს თეიმურაშ მეფეს უფლებას  
აძლევდა თავისი ელჩი არქიეპისკოპოსად გამოეცხადებინა. უფრო სწორედ,  
შეიძლება თეოდოსე მოსკოვში გამგზავრებისას მეფემ ამ რანგში აამაღლა,  
მაგრამ ელჩინის წარუმატებლად დასრულების შემდეგ ისევ ჩამოაქციოთ.  
ეს მხოლოდ ვარაუდია, უცილობელი კი ის არის, რომ სიცოცხლის ბო-  
ლომდე თეოდოსე ეპისკოპოსი იყო. ისიც შეიძლება ითქვას, რომ ის  
გოლგოთის, კერძოდ, აღდგომის ეკლესიაში მოღვაწე უკანასკნელ ქართ-  
ველებს განეკუთვნება!<sup>1</sup>

ფრად საინტერესო ცნობას ვნახულობთ თეოდოსეს შესახებ 1619 წლის  
შეწირულობის წიგნში. იმერეთის მეფე გიორგი III (1605-1639) ბრძანებს,  
რომ „აგრეთვე მოვიდენ ჩუენსა წინაშე ჯვარის მამა პატრიონი თევოდოსე  
და გვიაჯნეს და მოვეახსენეს“; მეფემ „ჩუენსა სასოებასა და სიქადუოსა,  
პატიოსანსა და ცხოველმყოფელსა ჯვარსა და წმინდა გოლგოთას“ შეწირა  
სამი კვამლი გლეხი მათისა ყოვლისფერით სამართლიანით ბეგრით  
ხელშეუალად“, გაუახლა დასავლეთ საქართველოში რაც „ქრისტეს  
საფლაკა და გოლგოთას შეწირული ჰქონდეს“ (17:130).

ჩანს, რომ თეოდოსე 1619 წელს საქართველოში ყოფილა და იერუ-  
სალიმის ქართული ეკლესია-მონასტრების ეკონომიკურ პრობლემებს  
აგვარებდა. მაგრამ საკრაუდოა, რომ ის თეიმურაშ მეფეს სხვა გარეველი

1 ქართველები დიდ ხნის წინათ დაუკავშირდნენ აღდგომის ეკლესის. იქ ქართველების პირველად მიხედა, ლოცვა და შესაწირის შეწირვა ჯუანშერმა უახტანგ  
გორგამსალის სახელთან დააკავშირდა (29:86). XI ს. შეა ხანებში აღდგომის ეკლესია  
მოიღოცა ხუცესმა სტეფანემ (16:43). XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაშე უკვრის მამა  
და აღდგომის მოძღვარი<sup>2</sup> იყო სეიმონ კლმელექის ძე (17:136). აგოლგოთის სკონქარის<sup>3</sup>  
1400 წლის მინაწერი გვეუძნება: ისე უწირდეთ ქართველთა: „დმრთისაგან, შეუეთაგან,  
სურტანთაგან მოცემული და ნაბოძვარი აღდგომის სალოცავი ეკლესია და სახლი,  
სადა არს ადამის თხემი და გოლგოთი“ (18:41). 1510 წელს ბერნა ჩოლოცაშვილმა  
გოლგოთიდან ფრანგები განდევნა და „მეორესა ფამსა დამისას“<sup>4</sup> აღდგომის ეკლესიას  
კარი შეაძა (33:14. დაწერ. იბ.14:104-105). XVI ს. დამარტინულს ქართველები ჯურ კადვა  
იყვნენ გოლგოთმებ (4:13-14). XVII ს. 40-იანი წლების ახლო ხანებში, ბერნარდ  
სურის მიხედვით, ქართველებმა საერთოდ მიატოვეს გოლგოთა და ჯვრის მონას-  
ტერში გადასახლდნენ (97:142-143).

მიწნითაც პყავდა დაბარებული. ამ დროს თეიმურაში ოსმალეთში, ალბათ, ოსმალების მიერ დაპყრობილ ჩილდირში, იმყოფებოდა ირანის აგრესისაგან თავდასაცავად დახმარების მიღების მოლოდინში და 1618 წელს ოსმალთა მიერ ირანის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაშიც კი მონაწილეობდა. მაგრამ ოსმალებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს. განსაკუთრებით მძიმე და ტრაგიკული იყო ამ ლაშქრობის შედეგები თეიმურაშისათვის. 1620 წელს შაპმა მისი ორი ვაჟი დაასაჭურისებინა, რას გამოც უმცროსი - ლევანი გარდაიცვალა, უფროსი - ალექსანდრე კი ჭეკუიდან შეიძალა. საყურადღებოა, რომ 1622 წლის ობერვალში შაპ აბასმა რუს ელჩებს კორობინსა და კუვშინოვს მეორედ მიღებისას, ქ. ემერფში თითქოს თეიმურაშის ვაჟები უჩვენა და ისიც კი აღუთვეა, რომ თუ კახეთის მეფე თურქებს ჩამოშორდებოდა, მას სამეფოს, დედას და შეილებს დაუბრუნებდა (74:79-80,87). შაპი, რა თქმა უნდა, რუს ელჩებს ატყუებდა. ვინ გაარკვეუს ვისი შეილები აჩვენა მათ. როგორც ის ქამარტვილები იყვნენ ნამდვილი კაზთ ბატონიშვილები, ასევე ნამდვილი იყო შაპის მიერ რუსთ ხელმწიფისა და პატრიარქისათვის გაგზავნილი ქრისტეს კვართი.

დავებრუნდეთ თეოდოსეს. როგორც ითქვა ას 1619 წელს საქართველოში იმყოფებოდა და, საგულისხმოა, ამჯერად იერუსალიმში აღარ დაბრუნებულა. 1620 წელს ჯერის მონასტრის წინამდვარი უკეე ნეოზიტეა, მის შემდეგ ნიკიფორე ირბაზი, შემდეგ კი გაბრიელ გეგენავა - 1632 წლიდან (27:35).

თეოდოსე საქართველოში უნდა დარჩენილიყო 1623 წლის მარტამდე, ვიდრე ჩილდირიდან მოსკოვს გაემგზავრებოდა. 1624 წლის 14 მარტს მივიდა მოსკოვში, სადაც დაახლოებით ოთხი თვე დარჩა, 7 ივლისს ხელმწიფეს გამოსამშეიღობებდად ეახლა და, ალბათ, რამდენიმე დღის შემდეგ სამშობლოსაკენ გამოეშურა. ყოველ შემთხვევაში, თეოდოსე მოსკოვში კვართის მიტანას არ დასწრებია (საწინააღმდეგო მოსამარება ის. 68:82).

საკითხავია, როდის დაბრუნდა თეოდოსე საქართველოში. ამის ნაწილობრივ გარევევაში დაგვეხმარება თეიმურაშის კიდევ ერთი ელჩი, მიტროპოლიტი ნიკიფორე, წარმოშობით ბერძენი. გაგზავნილი რუსეთში 1635 წელს. როგორც მის მიერ რუსთ ხელმწიფისათვის მირთმეული თხოვნიდან ჩანს, თეოდოსეს მთელი მოგზაურობა (მოსკოვში ყოფნის დროს ჩათვლით) გაგრძელებულა ოთხი წელი, რის გამოც

თეიმურაშის განრისხება დაუმსახურებია. ნიკიფორე ხელმწიფეს სიხშვე, რომ დროულად გაუშვას საქართველოში თუ არა „ისევე იქნება ჩემს მიმართაც, რაც არქიეპისკოპოს თეოდოსეს დაემართა: გაწილება და შერცხვენა“ (74:129), რადგან მან, რჩეც ნაბრძანები ჰქონდა, ვერაცითარი პასუხი ვერ მიუტანა. თეიმურაშის ნიკიფორესათვის უთქვამს: „ეხლა სხვას ვერავის ვენდობი შენს გარდა, შენც ისე ნე მოიქცევი, როგორც ხარიტონი<sup>1</sup> და თეოდოსე, მალე, ერთ წელიწადში დაბრუნდები და დღეგრძელი ხელმწიფის ზეპირ პასუხს მომიტან“. ნიკიფორე შემდეგ ავრძელებს: „თეოდოსეც აქ ოთხი წელი შეაკავეს და გაუშვეს. როცა ჩემს ხელმწიფესთან (თეიმურაშ I-ე.მ.) მივიდა, ჩემს ხელმწიფეს (მიხეილი - ე.მ.) რაიმე ჭეშმარიტი ბრძანება არ მიუტანა, ამიტომ ჩემს ხელმწიფეს მისი დასჯა სურდა. ისიც (თეოდოსე - ე.მ.) ადგა და თურქეთში გაიქცა“ (74:138).

ნიკიფორე, რა თქმა უნდა, ვითარების კიდევ უფრო მეტად დრამატულირებას ცდილობს. თეიმურაშისათვის, მის მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის, მით უმეტეს მეფისათვის, თითოეულ წელს კი არა, ერთ დღესაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა და სრულებითაც არ არის გასაკვირველი, რომ ის თავისი ელჩისაგან მოქმედებაში სისწრაფეს და მოქმილობას მოითხოვდა. მაგრამ მოსკოვში წარმატების მოპოვება მოლად ულჩებზე რომ არ იყო დამოკიდებული, ამში დაგვარწმუნებს ნიკიფორე არქიმანდრიტის საქმიანობის გადახედვა (74:101-141).

როდესაც ნიკიფორე ბერძენი არქიეპისკოპოსი თეოდოსეს თურქეთში გაქცევაშე ლაპარაკობს, მას, ალბათ, მხედველობაში აქვს თურქების მიერ დაპყრობილი პალესტინა, კერძოდ, იერუსალიმი. ზემოთ უკვე თქვა, რომ ჯვრის მონასტრის აღაპებში, ნიკიფორე ჩოლოფაშვილის ამ მონასტერში მეორედ ყოფნის პერიოდში (1643-1649), მრავალჯერ მოიხსენიება ეპისკოპოსი თეოდოსე მანგლელი, იგივე გოლგოთისა და წმ. ჯვრის მონასტრის არქიეპისკოპოსი თეოდოსე. ამიტომ სავარაუდოა, რომ თეოდოსე რუსეთიდან დაბრუნებისთანავე იერუსალიმს წავიდა და იქ იყო ნიკიფორე ჩოლოფაშვილის მისვლამდე, მაგრამ მისი სახელი მონასტრის წარწერებსა და მხატვრობაში მხოლოდ ნიკიფორეს

<sup>1</sup> ხარიტონი სამი წელი (1618-1621) გააჩერეს მოსკოვში. ის შერცხუენისა და მუქიისადმი შიშის გამო, მეფეს არც დაენახა, უცხო ქვეყანაში გადაიხვეწა და იქ გარდაიცვალა (74:138).

თაოსნობით დაწყებული მონასტრის რესტავრაციისა და მოხატვის დროს, მისი დიდი დამსახურების აღსანიშნავად უკვდავევეს. ისიც ჩანს, რომ ეს ორი სახულიერო და პოლიტიკური მოღვაწე სამშობლოზე გამუდმებულმა ზრუნვამ დაამეგობრა. ისინი ერთი ასაკისანი იქნებოდნენ. ვიცით, რომ ნიკიფორე გარდაცვალებამდე (1658 წ.) რამდენიმე წლით ადრე დაახლოებით 70 წლისა იყო. ამდენისავე უნდა ყოფილიყო თეოდოსეც, თუ დავუშვებთ, რომ ის XVI ს. მიწურულს 20-25 წლისა წავიდა მოსკოვში. ერთ-ერთ აღაპში, რომელიც თეოდოსეს ცხოვრების ბოლო პერიოდში შეიძლება იყოს დაწერილი, ის მოხსენიებულია „წმიდისა ღმერთშემოსილისა საბამსა ეპისკოპოსად“<sup>1</sup>. ამ სახელგანთქმული ლავრის ეპისკოპოსობა თეოდოსეს მაღალ განათლებულობასა და ორგანიზატორის ნიჭი უნდა მიგვანიშნებდეს.

თეოდოსეს ვინაობაში მსჯელობის დაწყების წინ ითქვა, რომ მოსკოვის საგარეო საქმეთა უწყებაში ირანიდან წამოსული რუსი ელჩების მოხსენების მიღებისთანავე გადაწყდა კვართიან დაკავშირებით მოღაპარაკებოდნენ ქართველ ელჩს. მაგრამ მასალებში არ ჩანს, როდის მოხდა მათან შეხვედრა. ვიცით, რომ 1624 წლის 4 ივნისს თეოდოსე და ელჩების სხვა წევრები ხელმწიფებ მიიღო და გამოემშვიდობა. იმავე დღეს თეოდოსე მიწვევული იყო სათათბიროში და მდივანს ივ. გრამოტინს ზოგადად ესაუბრა სწვადასხვა პოლიტიკურ საყითხებზე, კერძოდ რუსეთ-საქართველოსა და საქართველო-ირანის ურთიერთობაში. ამის შემდეგ ისინი კონკრეტულ საყითხებზე გადავიდნენ, რომლებზეც მასალებში არაუკრია ნათექამი, მხოლოდ შენიშვნაა: „საელჩოს მდივანს გრამოტინს ნაბრძანები ჰქონდა ამის შემდეგ არქიეპისკოპოსთან ელაპარაკა საიდუმლო საქმეზე. ჩანაწერები... ივანე გრამოტინიანა“ (74:89). ალბათ აქ შეწყდა საგარეო უწყებაში 4 ივნისს შეხვედრა, ხოლო 27 ივნისს რუსი ელჩების მიერ თერგიდან გამოგზავნილი წერილის მიღებისთანავე გადაწყდა თეოდო-

<sup>1</sup> საბაზმიდა ან ხაბას ლავრა მდებარეობს იერუსალიმის მახლობლად და ქართული კულტურისა და მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი ცენტრი იყო. იქ, სხვადასხვა ხალხების წარმომადგენლებთან ერთად, მოღვაწეობდნენ ქართველებიც, რომლებსაც თავიანთი ეკლესიაც კი ქვენდათ. საბაზმიდმი მოღვაწეობდნენ: მარტივით საბა წმიდალი (VI - VII სს.), იოანე მოსხი (VI - VII სს.), ხეიოთ (VIII - IX სს.), მაკარი ლეონტელი, პამენ ქახი, ამინა IX ს., გიორგი თბილელი, ხეიმონ მგალობელი (X ს.), მიქაელ ჩიხურელი, გორგი პროხორე (XI ს.), და სხვ. (დაწერ. იბ. 16:25-40).

სესთან მოლაპარაკება კვართის ირგვლივ. თეოდოსეს განმარტებებს მოსდექს იმ საჩუქრების და მათი ფასების ჩამონათვლები, რომლებიც დააჯილდოვეს ელჩიობის წევრები და, ბოლოს მოყვანილია თეიმურაზ მეფისათვის გასაგზავნი წერილის ტექსტი, დათარიღებული 1624 წლის 4 ივნისით (74:89-93).

ამგვარად, საგარეო საქმეთა უწყების არქივის, საქართველოს საქმეებში ერთი თვის (4.VI - 4.VII), განმავლობაში მომხდარი ამბებია გაერთიანებული ბენებრივია, არქიეპისკოპოსის თეოდოსესთან საუბარი კვართთან დაყაშორებით, რუსი ელჩების მოხსენებაშე გაყეთებულ 27 ივნისის წარწერაშე ადრე ვერ შესდგებოდა. ეს უნდა მომხდარიყო ერთი კვირის განმავლობაში, 27 ივნისიდან 4 ივლისამდე განვლილ დროში, მაგრამ კონკრეტულად როდის, ამის თქმა ვერ ხერხდება.

ესლა გავეცნოთ ივ. გრამოტინის მიერ დასმულ კითხვებს და თეოდოსეს პასუხებს.

„სათათბიროს მდივანი ივანე გრამოტინი, ხელმწიფის ბრძანებით, არქიეპისკოპოსის თეოდოსეს ეუბნებოდა: სრულიად რუსეთის დიდმა ხელმწიფე მეფემ და დიდმა მთავარმა მიხეილ თევდორეს ძემ და მისმა მამამ უწმინდესმა პატრიარქმა ფილარეტ ნიკიტას ძემ მრავალი (რუსი - ე.მ.) ადამიანისა და ბერძნებისაგან, რომლებიც მათთან, ხელმწიფებთან საბერძნეთიდან მოდიან, იციან, რომ ქრისტეს კვართ და ხალათი, რომელშიც ქრისტე ჯვარსეცვა, ივერიაში იყო, ამჟამად კი ივერთა ქვეყნის გველა სიწმინდე ხელთ იგდო ყიშილბაშთა შავ აბასმა. ჩვენი დიდი ხელმწიფე, მისი მეფეური უდიდებულესობა და მისი მამა... მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქი ფილარეტ ნიკიტას ძე, ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტი მზრუნველი, სწუხან ქრისტიანული რწმენისათვის... ყოველი ღლინით ცდილობები, რომ ის სიწმინდე მუსლიმთა ხელიდან დაისხინან და იხილონ თავიანთ სახელმწიფოში, ხოლო მასზე ეპისკოპოსზე - ე.მ.) იციან, რომ იყო ქრისტიანული რწმენისაა და მღვდელმთავარია, საქართველოში არაერთხელ ნამყოფი. (გრამოტინი - ე.მ.) უბრძანეს, რომ მას პეითხოს: იცის თუ არა სად იყო ქრისტეს კვართი და ხალათი, სამეფო საგანძურმა თუ საეკლესიო ხაზინაში, რომელ ადგილს ეწყო, როგორი იყო კვართი და ხალათი? უნახავს თუ არა მას კვართი და ხალათი და სად არა ისინი ამჟამად? როგორია კვართი ზომით, ნაკეთობით, რითია ნაქსოვი? შაპის მიერ ივერთა ქვეყნიდან წაღებული საგანძურო სად არის ამჟამად?

არის თუ არა საქართველოში კიდევ სხვა სიწმინდეები თუ შეამა  
ყველა გაანადგურა და თეითონ დაეპატრონა, რომელი სიწმინდეები  
იგდო ხელ?

„არქიეპისკოპოსმა სთქვა, რომ ის საქართველოს მეცნიერია, დიდი  
ხანია იერუსალიმში გოლგოთშე ქრისტეს აღდგომის ეკლესის არქიეპის-  
კოპოსია და ნაწილობრივ იცის სად იყო ქრისტეს კვართი, ხალათი და  
სხვა სიწმინდეები. იერუსალიმში გოლგოთშე და სხვა აღდილებში, სადაც  
ქრისტე მიწინე დაიარებოდა, ქართველთა ღვთისმოსავამა მეფეებმა  
თავიდანვე 12 მონასტერი ააგეს და ყოველმხრივ უზრუნველყვეს. ქრისტეს  
კვართი, ხალათი და სხვა სიწმინდეები მოთავსებული იყო ზანდუქში,  
გოლგოთშე, ქრისტეს აღდგომის საკრებულო ეკლესიაში. როცა  
ამჟამინდელი მეფე თეიმურაშის პაპა, ქართველთა მეფე სიმონი მიიცვალა,  
მან თავის ვაჟს მეფე დავითს უბრძანა ყველა ის მონასტერი აღდგინა,  
რაღაც დავით მეფის დროს საქართველო თურქების სულთნისა და  
ყიშილბაშების შაპისაგან და სხვა ქვეყნებისაგან დევნასა და შევიწროებას  
განიცდიდა. მეფე დავითმა ქართლში, ყუმუხთა ქვეყნის მახლობლად ააგო  
ქვის ეკლესია და იერუსალიმიდან მოტანილი ქრისტეს კვართი, ხალათი  
და მრავალი სიწმინდე იქ მოათავსა. ის სიწმინდეები ეწყო სამეფო ბეჭედ-  
დაქმდელ ზანდუქში. როცა იმ ზანდუქიდან რომელიმე სიწმინდის ამოღებას  
ისურვებდნენ, იღებდნენ ერთობლივად. სხვების გარეშე ზანდუქს ვერავინ  
გააღებდა. რაღაც ამჟამინდელ მეფე თეიმურაშის დროს შაპისა საქართველო  
გაანადგურა, თეიმურაში მეფემ ის ზანდუქი ქრისტეს კვართთან, ხალათთან  
და სხვა სიწმინდეებთან ერთად თავის ერთ ბოიარს წაართვა და ამისათვის  
მას დიდაღი თანხა მისცა. იმ ზანდუქში იყო ქრისტეს კვართი და ხალათის  
ნაწილი, მხსნელის ხატი იმ ტილოზე (გამოსახული - ე.მ.), რომელიც  
ჩენმა უფალმა იესო ქრისტემ მეფე ავგარს გაუგზავნა გასაკურნებლად,

გაღმოცემის მიხედვით, ედესის მეფე ავგარი მმიმედ დაავადდა. როდესაც  
მის ყურს მისწერდა იესო ქრისტეს მიერ მოხდენილი საწაულების შესახებ, წერილი  
გაეგზავნა და თავისთან მიიწვია, მაგრამ, იესომ წერილითვე უპასუხა: „მე აქ  
უნდა მოერჩი იმს, რისთვისაც მოყლენილი გარ, შემდეგ კი ჩემს გამომგზავნთან  
უნდა დაებრუნდე. როდესაც მისთან აეალ, გამოგიგზავნი ერთ-ერთ ჩემს მოწაფეეს,  
რომელიც მოგარჩენს...“ ავგარის გაგზავნილებს შორის იყო ერთი შხატვარი,  
რომელსაც დავაღებული პტონიდა ქრისტეს სახის დახატვა. ის ცდილობდა დაეხატა  
მაშინ, როცა ქრისტე ხალხს ელაპარაკებოდა. მაგრამ დაითვრი სახის სხივმისილი  
ნაკეთები უსხლტებოდა მხატვრის ფუნჯს. იესო ქრისტემ დაუძანა მხატვარს,  
გამოართვა ტილო, მიიღო სახეზე და მხატვარს დაუბრუნა. ტილოზე აღიბეჭდა  
დათვიური ხელოუკენელი სახე.

აგრეთვე რკინის ლურსმები, რომლებითაც ქრისტე ჯვარზე მიაჭედეს და სხვა მრავალი სიწმინდე. ყველა ისინი მეფე თეიმურაზმანაა. შაპს არა ეითარი სიწმინდეები არა აქვს. საქართველოში ეკლესიების განადგურების შედეგად შაპმა ხელთ იგდო მრავალი მოჭედილი ხატი, თელებაბემული საფარებლები, საეკლესიო ვერცხლის და ოქროს ჭურჭელი და სხვა მრავალი საეკლესიო საგანი. როგორც კი ღვთის შეწევნით და (რუსეთის - ე.მ.) ხელმწიფის გულმოწყალე მფარველობითა და დაბმარებით მეუკ თეიმურაზი თავის სახელმწიფო ივერიაში განმტკიცდება, ხელმწიფეს არაფერს არ დაუჭერს, ყველა სიწმინდეს გაუგზავნის" (45:43-47).

თეოდოსეს მონათხრობი მთელ რიგ საინტერესო მომენტებს შეიცავს. უპირველეს ყოვლისა ვიგებთ, რომ ის შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი არ ყოფილა. მან, რა თქმა უნდა, მშვენიერად იცოდა სვეტიცხოვლის ტაძრის და კვართის ისტორია, მაგრამ შეგნებულად ცდილობდა დაემახინჯებინა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები. მან რუსეთის ხელისუფლებას შესთავმა ახალი ვერსია კვართის საქართველოში მოტანისა და მის შემდგომ ბედზე.

როგორ შეიძლება აქმნათ თეოდოსეს მიერ უარყოფა იმ ისტორიული ტრადიციისა, რომელიც ცნობილი იყო როგორც საქართველოში ისე მძიმე სახელმწიფებს გარეთ. საფიქრებელია, თეოდოსემ, როცა დაინახა ის აეიოტავი, რომელიც შეიქმნა შაპის მიერ კვართის გაგზავნით, ვითარების ღრმა ანალიზის გარეშე, თეიმურაზთან შეუთანხმებლად, წამოიწყო დიპლომატიური თამაში, რათა მოსკოვის მთავრობის მთელი ურადღება საქართველოს პოლიტიკის და რელიგიის საკითხებში, კახეთის სამეფოსა და თეიმურაზზე გადაეტანა. თეოდოსეს ასეთმა მაქსიმალისტურმა პოზიციამ სახურველი შედეგი არ გამოიღო. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მოსკოვში მიხედნენ, რომ ქართველი ელჩი კვართზე საუბრისას სტყუოდა, რასაც გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა მოლაპარაკების საერთო მსელელობაში.

აუცილებელი იყო შაპ აბასის მიერ საქართველოდან კვართის წალების ცნობის გაბათილება. რადგან 1624 წელს თეიმურაზ I მზოლოდ კაქეთის

<sup>1</sup> იღუმენი დანიელი (1106-1107), დიაკვანი ეგნატე (1391), დიაკვანი ზოსიმე (1420), მდვერელმონაზონი გარსონიერი (1451), ვაჟილი (1465-1466), ნიკოლოზ ანაგონისტი (1542), ვაჟილი პოზნიაკოვი (1558-1561), ტრიფონ კორობეინიკოვი (XVI ს. 80-90 წლები) და სხვა.

მეუე იყო, ქართლზე, კერძოდ მცხეთაშე მისი ხელისუფლება არ ვრცელდებოდა, ამიტომ საჭირო იყო ისეთი ვერსიის შექმნა, რომელიც კახეთში ქვართის არსებობას სარწმუნოს გახდიდა და ამით მოსკოვის კახეთით დაინტერესებას გამოიწვევდა. მის ნათეჯამში ლოგიკურად, თითქოს ყველაფერი სწორად იყო. მაგრამ მან ერ ვაითვალისწინა, რომ მოსკოვში რუსი პოლიგრიმებისაგან<sup>1</sup> საქმაოდ კარგად იცოდნენ იერუსალიმში, კერძოდ, გოლგოთშე ქართველების მოღვაწეობის შესახებ.

თეოდოსემ ისიც ერ ვაითვალისწინა, რომ მოსკოვში, საქართველოს სამეფო ებიდან შედარებით სრული იფნორმაცია სწორედ კახეთზე პქნდათ. ეს ის სამეფო იყო, რომლის მეუემ, ალექსანდრე II-მ (1574-1605), 1587 წ. რუსეთის მეფისაგან მიიღო „წყალობის სიგელი“, რომლითაც კახეთი თვიციალურად ცხადდებოდა რუსეთის მფარველობის ქვეშ და რუსი ელჩები ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე. მოსკოვში აუცილებლად მიხედებოდნენ თეოდოსეს უცოდინრობას თემურშის უახლოესი წინაპრების შესახებ, რომ მისი პაპა ალექსანდრე II იყო და არა ქართლის მეუე სიმონ I. რუსეთის ხელისუფლებისათვის თავიანთი ელჩების ი. ა. შჩიკინის და ი. ლეონტიივის მეშვეობით კარგად იყო ცნობილი კახთა მეუე ალექსანდრე II-სა და ბატონიშვილ დავითს შორის მწვავე ურთიერთობის, დავითის მიერ სამეფო ტახტის მიტაცების და ალექსანდრეს მონასტერში წასვლის, კახეთში შექმნილი უაღრესად დაძაბული კითარების და დავითის ხანმოკლე მეუობის შესახებ (43:412-413), რომ ასეთ ვითარებაში უდღეური კახთა მეუე დავითი (მხოლოდ რამდენიმე თვე იმეუა) იერუსალიმში არსებულ ქართულ მონასტრებს ვერ მიხედავდა. ვერც სიწმინდეებს ვერ წამოიღებდა და ვერც ქვის ეკლესიას ააგებდა მათს შესანახად. მოსკოვის მთავრობის შემდგომი საქმიანობა კვართისა დაკავშირებით იმშე მეტყველებს, რომ მათ თეოდოსის არც ამაში დაუჯერეს. სხვათა შორის, თეოდოსი ერთადერთი იყო მოსკოვში გამოიითხულთა შორის, რომელიც ამტკიცებდა, რომ საქართველოში ვრთდოროულად მოიტანეს ქრისტეს კვართი (ХИТОН) და პერანგი (срачица), მაშინ, როდესაც ზოგი მხოლოდ კვართს ასახელებდა, ზოგი კი პერანგს.

თეოდოსეს პასუხმა ნათელი კი არ გახდა მოსკოვის ხელისუფლები-სათვის საინტერესო საქმითხი, არამედ მრავალი კითხვა წარმოშვა. საელჩო პრიკამში გამოძახებულმა ითანიერებ განაცხადა: მას იერუსალიმში გაუგონია, რომ ჯვარცმის დროს ქრისტეს თავიდან უეხებამდე ეცვა ღვთის-

მშობლის მიერ მოქალაქილი კვართი, მაგრამ ის კი არ იცოდნენ რა მტაცუ-  
საგან - აბრეშუმის, სელის თუ ცხვრის მატყლისაგან იყო მოქალაქილი.  
კვართი იყო ლაევარდის ფერი, მანტიის მსგავსი, სახელოების გარეშე,  
განიერი და გრძელი. ასეთ სამოსს ბერძნულად ქიტონს ეძახდნენ.

იოანიკეის სცოდნია საქართველოში არსებული ერთ-ერთი ლეგენდა  
კვართის ამ ქვეყანაში მოტანის შესახებ: „ქიტონი წილად ხვდა საქართვე-  
ლოდან წასულ იმ კაცს, რომელიც მაშინ (იერუსალიმში) სამხედრო  
სამსახურში იყო. (ჯვარცმის) შემდეგ ის კაცი თავის ქვეყანაში, საქართვე-  
ლოში დაბრუნდა და პყვებოდა იმას რაც იერუსალიმში მოხდა. როდესაც  
მისმა ლეიმლმა დამ მოისმინა ქრისტეს მოკვლის შესახებ, (ძმა) ქიტონი  
სთხოვა და იმან საჩუქრის მაგიერ მისცა. დამ თავის მშობლებს დაუბარა:  
როდესაც მოკვდებოდა იმ ქიტონით ჩაესვენებინათ კუბოში. ამის შემდეგ  
მას დიდხანის აღარ უცოცხლია და ნათესავებმა, მისი ბრძანების მიხედვით,  
სუდარის მაგიერ ქიტონით დაქრძალეს. იმ კუბოდან ამოიზარდა დიდ  
ხე და მისგან წამოვიდა მირონი და მრავალი განკურნება. როცა, ჯერ  
კიდევ, იმპერატორ კრისტიანტინეს დროს ქართველებმა წმინდა ნათლისა  
მიიღეს, ისინი იმ მირონს იცხებდნენ და ინათლებოდნენ. იმ ზიდან  
მირონი მოდიოდა მრავალი წლის განმავლობაში. ქართველი მეფეები,  
ხედაედნენ რა სახწაულებრივ ხეს, მის ადგილს ააშენეს დიდი ეკლესია  
და იქ დაარსეს პირველი საარქიეპისკოპოსო. იმ ეკლესიაში იმარხებიან  
საქართველოს და ქართლის მეფეები. როცა ამჟამინდელი შაპის (აბასის)  
პაპამ<sup>1</sup> საქართველო დაიპყრო, მაშინ ქართველთა მეფე სიმონის მამა  
იყო<sup>2</sup>. შაპის ლაშქარმა მრავალი ადგილი აიკლო და წაბილწა. ის ეკლესია  
ცხენებისა და პირუტყვის სადგომად გადააქციეს. იმ დროიდან ზიდან  
მირონის დენა შეწყდა. ქართველმა მეფეებმა, როცა შაპის (ჯარისაგან)  
ქვეყანა გაწმინდეს, ის ეკლესია აკურთხეს და (ხის) ადგილას,  
მღვდელმთავრის ტახტის უკან, ეკლესიის შუაში, დააყენეს სვეტი  
სიმაღლით ორი საენი, გარდი-გარდო კი (ერთი) საენი. ხის ფესვებიდან  
მირონის დინების ადგილს, პატარა სარკმელი გაუკეთეს და ფიალ  
დადგეს. იმედოვნებდნენ, რომ როდესმე კიდევ წამოვიდოდა მირონი.  
მაგრამ მას შემდეგ იმ ზიდან მირონი აღარ წამოსულა. იოანიკე

1 შაპი თამაზ I (1524-1576).

2 ლუარისაბ I (1527-1556).

საქართველოში იყო 16 წლის წინათ, მეუე თემურაშის დროს. ის იმ ეკლესიაში არაერთხელ იყო და ის ხეც იჩილა, მაგრამ მირონი აღარ სდიოდა. მრავალი ქართველი ამბობდა, რომ ის აღმოცენდა ქიტონიდან, რომელშიც გაახვიეს მკედარი ქალწული, იმ მეომრის და, რომელმაც ქრისტეს ის ქიტონი განადა. (იოანიკეის) ის ქიტონი არ უნახავს და არც ის იცის, ამოიღეს თუ არა ის ქიტონი მიწიდან ქართველებმა მისი იქ ყოფნის შემდეგ. რაც შეეხება ქრისტეს პერანგს სად არის, არაუერი გაუგონია...” (74:95-97). სხვა ქართულ სიტმინდებზე იოანიკეიმ, შეძლებისდაგვარად მოუთხრო, კერძოდ, ქრისტეს ხელთუქმნელი ხატის და იმ ლურსმების შესახებ, რომლებითაც ქრისტე ჯვარზე მიაჭედეს<sup>1</sup>.

1 აიონიკეის ქრისტეს ხელთუქმნელ ხატზე უთქვამს: დანამდგვილებით იცოდა, რომ ის ინტებოდა ზაგვში, მხსნელის მონასტერში, კანკელის მაღლა, ჩადგული ოქროს ზარდატშაში. ზარდატშა უნახავს იერუსალიმის პატრიარქს ოროვანესაც, მაგრამ ადგილობრივების ჩიტვით, არ გაუხსნია. ის ღრუბელი, რომელიც ძმირით გაუდენითილ, ჯვარზე გაურულ ქრისტეს ტუჩებზე მიადავს (მათე, 19:29), თოთქის ისიც ზაგვში ინახებოდა, იოანიკეის არ უნახავს და მასშიც არც არაუერი გაუგონია. მან ლურსმების შესახებ მხოლოდ ის იცოდა, რომ იმპერატორ კონსტანტინეს დედამ ისინი იერუსალიმიდან წაიღო და შეიღოს მიუტანა კონსტანტინოპოლიში (45:16-18).

„მოქცევაა ქართლისაც!” მიზედვით, აზლადვაქრისტიანებულ მეუე მირიანს, როგორც ითქვა, იმპერატორმა კონსტანტინემ მაცხოვრის უეხთა უციარი და ლურსმები (სამსტუალი) გამოიუდგავნა. VII ს. 20-იან წლებში პერაცლე კეიისარს ეს რელიგიებით ბიზანტიიმი წაუდია: „მშინ პერაცლე მეუემან წარაჭუნა მანგლისით და ერაშეთით უფრხთა უციარი და სამსტუალი უფლისა ჩეუნისა იესო ქრისტესანი, რომელნ იყენეს კონსტანტინესაგან მირიანისდა” (31:227-228).

იერუსალიმის პატრიარქს ღოსითოვანს იმპილიში, სიონის ეკლესიაში უნახავს მოოქროვილ და ძეირუქმა ქვებით მორთულ კილობანში შენაბუღი წმინდა ჯვრის ლურსმანი. გელათში, სეროვე კიდობანში, ინახებოდა შეორე ლურსმანი. მაგრამ ეინ მიიტანა ისინი, უცნობია (52:12, თ.9, 3.3, ფ. 833).

ჯვარუმის ლურსმანი, გვიან ფურდალურ საქართველოში, გადაიქცა იმ სიწმინდეთ რომელზე დაუიცებდა და ერთგულების პირობის მიღება შეიძლებოდა და ამ საეკიარი დადად ერთგულობდნენ (31:452-453). როდესაც არჩილ II-მ, შაპის მოთხოვნით, იმერეთი დატოვა, ამის „მიწეზისათვის არჩილ ითხოვა სამსტუალი ქრისტესი და სედარი და საბული: „უკეთე მომცემ წარუდე რუხეთს”, ესე შეუძლიათ მეუესა, კათადიკოზ-ეპისკოპოსთა და მთავართა გარნა შემცვომად მას პირსა ზედა მისცეს ესენი და წარკიდა არჩილ რუხეთს (და მოაცემა მიერით ნიჭინ ესე ლურთისანი ქართლს)“ (31:458). არჩილი სამი წელი ჰატრახანში ცხოვრობდა. სხვ წლის, დღესა მას, რამეთუ არიან სახლნი სრულიად ჩისანი და დაწუნენ ფლეგმონი სიწმინდენი

კიდევ ერთხელ დაცუბრუნდეთ 1624 წლის 7 ივლისს. ამ დღეს ირანიდან მომავალ კორობინსა და კუშტინოვს, ხელმწიფის სახელით, მისწერეს სასწრაფოდ ეპასუხათ შემდეგ კითხვებზე: ირანში ყოფნისას პქნდათ თუ არა საუბარი ქართველებთან და შაპის ელჩითან, გაიგეს თუ არა სად იყო დაცული ქრისტეს კვართი? დარწმუნებული არიან თუ არა რომ ის ნამდვილად ქრისტეს კვართია? როგორ პატივს სცემდნენ მას საქართველოში, როგორია ის-თავთისა თუ ტილოსი? პირადად თუ ნახეს? და ნამდვილებით გაეცოთ შაპის ელჩის ურუსან ბეგისაგან სად ინახებოდა კვართი და შეიძლებოდა თუ არა მისი ნახვა? თუ ნახავენ, დაწვრილებით გასინჯონ: როგორია, რა ზომისაა, რომელ ადგილებში ემჩნევა სისხლის ქვალი? (45:19).

მგზავრობისას რუსმა დიპლომატებმა ურუსან ბეგს უთხრეს, რომ შაპშა მათ წამოსვლისას აცნობა ქრისტეს კვართის ხელმწიფისა და პატრიარქისათვის გაგზავნის შესახებ და აინტერესებდათ როგორ მოიპოვა შაპმა ის, საერთოდ რა იცოდა ქვართზე. ელჩმა გაიმუორა ის რაც რუსებმა შაპისაგან უკვე იცოდნენ. მხოლოდ ის დაამატა, რომ კვართი ჩაბარებული პქნდა ელჩობის ერთ-ერთ წევრს, ვაჟარ მამესალეშს, რომელსაც ზარდაშაში ჩადებული კვართი მოსკოვამდე უნდა მიეტანა, ურუსან ბეგისათვის გადაეცა და, ეს უკანასკნელი პატრიარქს მიართმევდა. რუსი დიპლომატები თავიანთ მოხსენებას ამთავრებდნენ იმით, რომ ისინი ირანში არ შეხვედრიან ამ საკითხში გარკვეულ ქართველებს (45:19-22; 86:167).

მოკლე, მაგრამ საინტერესო წერილობითი ცნობა მიაწოდა საელჩი პრიკატის არქიეპისკოპოსმა ნექტარიუსმა. ნექტარიუსი აღნიშნავდა, რომ

და საგანმანათლო არჩილისანი. არამედ პოვნეს საშსტაული და ნაწილი უენიდ კუალალ დაუკავშირებული, დაუწვავი ცეცხლსა მას შინა. გარნა შემდგომად შეაქრი სამსტაული კუალალ არჩილ მეფეებმა" (38:45). ალბათ ეს ლურსმანი პქნდა მხედველობიში კათალიკოსს ბესარიონს, როცა 1733 წელს ეპტანგ VI-ი იმკვ რიტეომი სწორდა: „თუ დმტრიმან ქველი მოგიმართოს და გაბეჭდო (საქართველოში დაბრუნება - ე. მ.) ცხოველის ქველი სამსტაული გამოითხოვეთ, ის წამომბლერებთ, უმისილ მნელი არის. რა ეგ აქედან წააჩვენეს, აღარც შენი რჯაპი დადგა, აღარც ქარისლი. ვინც წაახენა ვერც იმას მოხედა კარგი...“ (49:198). ეს ლურსმანი თავისი კილონით ინახებოდა მოსკოვის მიმინების ტაძარში. რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტმა ა.ნ. ოლენინმა კილონის გვირგვენი გადაახატინა და ქართველ წარწერია გადააწერინა. მიძინების ტაძრის საგანმანათლან კილობანი დაკარგა (98:10).

კონსტანტინპოლის პატრიარქის არქიდიაკონად ყოფნისას გააგზავნეს საქართველოში, მოინახულა სეეტიცხოველი, რომელშიც, მარჯვენა მხარეზე, რეს, პირველი სეეტის ქვეშ „ჩადებულია ქრისტეს კვართი. ის მოიტანა რომელიდაც მეომარმა, რომელიც ესწრებოდა ქრისტეს ჯვარცმას, კენჭისყრით, მაცხოვრის მთელი ტანსაცმელი მას ხვდა წილად და საქართველოში მოიტანა. კვართისაგან მრავალი სასწაული ხდებოდა“ (45:22).

რუსეთის ხელისუფლებამ, გამოძიების მიუხედავად, მნიშვნელოვანი კერაფერი დაადგინა, შეიძლება ითქვას, ის მოუმზადებელი შეხვდა შაპის ელჩებს და მის საჩუქრს.

1625 წლის 25 ოქტომბერის მეუე მიხეილ თეოდორეს ძემ მიიღო შაპ აბასის ელჩები (51:661), ხოლო 11 მარტს, დიდმარზვის მეორე კვირას, პარასკევს, ხელმწიფემ და პატრიარქმა ელჩებს განსაკუთრებული მიღება მოუწყეს კრემლის წარნაგოვან პალატაში, სადაც იმყოფებოდა მოსკოვის სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების და საპატრიარქოს თითქმის ყველა წარმომადგენელი (50:663).

ციმბირისა და ტობოლსკის არქიეპისკოპოსი მაყარი ვოევოდა ივანე ბაკლანოვესკის აცნობებდა, რომ შაპ აბასის ელჩის, ქართველ ურუსან ბეგს პატრიარქისათვის მიურთმევია ოქროს, ლალის და ფირუზის თვლებით შემკული ზარდაშა და უთქვამს: „ჩემი ხელმწიფე შაპ აბასის დიდებულებამ შენ, დიდ მღვდელმთავარს, გამოგიგზავნა ქვებით შემკული ოქროს ზარდაშა, რომელშიც არის დიდი და სახელოვანი ქრისტეს პერანგი“. პატრიარქმა მიიღო საჩუქარი და იმავე დღეს, სასულიერო პირთა თანდაწრებით, ზარდაშა გასწინეს, რომელშიც იდო რაღაც მოწითალო, საფუარის ფერის ტილოს ნაჟერი, ალბათ, ხანდაზმულობისაგან სახეშეცვლილი (84:290-291).

თითქოს ყველაფერი ისე მოეწყო როგორც შაპისა და ხელმწიფეს თავიანთი პოლიტიკური და რელიგიური ინტერესებისათვის ესაჭიროებოდათ.

შაპ აბასს კვართის რუსეთში გაგზავნით სურდა: 1) დაერწმუნებინა რუსეთი საქართველოზე თავის განუყოფელ უფლებაში. 2) ქრისტეს კვართის საქართველოდან გატანის შემდეგ კითხების ნიშნის ქვეშ დგებოდა ამ ქვეყნის ქრისტიანულად დარჩენა. 3) რუსეთს ხელიდან გამოეცლებოდა

ერთმორწმუნების საბაბით საქართველოსათვის გამოსარჩდების კრიზისი, რომელიც ირანის ხელისუფლებას გარკვეულ სირთულეს უქმნიდა.

რუსეთის ხელისუფალთა გაგებით, კვართის საქართველოდან რუსეთში გადატანა, სიმბოლურად, საქართველოს რუსეთის ძალაუფლების ქვეშ მოქცევას მოასწავებდა. რადგან ეს აქცია ირანის შპპის სურვილითა და ინიციატივით განხორციელდა, ისე გამოიყოდა, რომ ირანის რუსეთს საქართველოზე გავლენის გავრცელებაში აღარ უნდა შესცილებოდა.

ძნელია იმის თქმა, შაპ აბასს დიდხანს რომ ეცოცხლა, როგორ წარიშართებოდა ქრისტეს კვართის საკითხი რუსეთ-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში. მის მემკვიდრეებს კი მისი ამ მოქმედების განსენება, აღმა უსიამოვნებას ჰგვრიდათ.

კვართთან დაკავშირებული შემდგომი მოვლენები გვარწმუნებს, რომ, მიუხედავად შაპისაგან გაგზავნილი საჩუქრის მიერ მოსკოვში „გამოცდის“ წარმატებით ჩაბარებისა, მაინც რჩებოდა ეჭვი: ნამდვილად იყო თუ არა ის, რომელიც ქრისტეს ჯვარცმის წინ ემოსა. ეჭვის წარმოშობაში დიდი როლი ითამშა ორმა ქართველმა მოწინააღმდეგე ბანაებიდან - თეიმურაშის ელჩმა, არქიეპისკოპოსმა თეოდოსემ და შაპ აბასის ელჩმა - ურუსან ბეგმა. რუსეთის ეკლესია დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდა დაედგონა რამ წარმოადგენდა შაპ აბასის მიერ მოსკოვში გაგზავნილი ქსოვილი და რა იყო ის ხელთუქმნელი და თვალით უხილავი, რომელიც სეეტიცხოვლის ტაძარში განისვენებდა.

როდესაც ქართველი პოლიტიკოსებისათვის ცნობილი გახდა რუსეთის დაინტერესება ქრისტეს კვართით, ყველანაირად ცდილობდნენ მის დარწმუნებას, რომ კვართი საქართველოში იყო და თუ რუსეთს მისი დაუფლება სურდა, სერიოზული პოლიტიკური და სამხედრო აქციები უნდა განეხორციელებინა ერთმორწმუნე საქართველოს დასახმარებლად.

### თავი III ქრისტეს კვართი საქართველო-რუსეთის დიპლომატიურ ურთიერთობაში (XVII ს.)

პატრიარქს და ზარდაბშის საგანძუროს სხვა მნახველებს ეჭვი გაუჩნდათ კვართის მიმართ. 18 მარტს პატრიარქი შეხვდა მეფეს. მოახსენა რაც იღო ზარდაბში და თავის ეჭვიც გაუწიარა: კერძოდ, მაში იღო რაღაც ტილო, ტილოს ქეშ ჯვარცმის ხატი და მხსნელის ვნება ლათინური წარწერით. ლათინები ერეტიკოსები არიან, ის სიწმინდე კი, რომელსაც ქრისტეს პერანგად მიიჩნევენ, ურწმუნო შაპ აბასმა გამოგზავნა. ამიტომ ჰეშმარიტი მოწმობის გარეშე კვართის აღიარება სახითათოა.

გადაწყდა, ყველა რანგის სასულიერო პირს, პატრიარქის ჩათვლით, ერთი კვირა ემართებოდა და ელოცა, რათა ღმერთს თავისი ნება გამოეყენებოდინა. გამოიცა ბრძანება, კვართი განსაკუთრებულ ვერცხლის სანაწილეში მოეთავსებინათ, მღედელმთავრის ბეჭდით დაებეჭდათ და სნეულებთან და დავრღომილებთან ჩამოეტარებინათ. 1625 წლის 23 მარტიდან 1 სექტემბრამდე კვართის მოახდინა 67 სასწაული და განკურნება (5:796.822).

26 მარტს, შაბათს, სამეფო პალატებში უმაღლეს პირთა შეერებაშე გამოაცხადეს, რომ უფალმა თავისი ნება გამოხატა კვართის მიერ სასწაულების მოხდენით. დააღინეს: სიწმინდე მოეთავსებინათ ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში ოქროს კიდობანში ჩადებული. მის საპატიისაც ყოველი წლის 27 მარტს დაწესდა დღესასწაულის აღნიშვნა. სადღესასწაულო წირვის ტექსტის შედგენა დაევალა სარსკის მიტროპოლიტის კიპრიანეს (50:661-667; 51:822; 46:78). წირვის შედგენისა და დაბეჭდვის შემდეგ, მეფემ და პატრიარქმა, 1626 წლის ანერში მთელ სახელმწიფოში დააგზავნეს სიგელები, რომლებშიც დაწერილებით იყო აღწერილი ის

1 შეს აბასის ლამექრობების შედეგად სპარსეთში, სხვა მრავალ ქართულ სიწმინდეებთან ერთად, აღმოჩნდა ღვთისმშობლის ხატი. ის იაროსლაველი ვაჭრის ოკუპ ლიტერის მსახურის შენაძენის სტეფანე ლამარევამ შეიძინა. ივორის საზამარში უნხავს მისი მსახურის შენაძენის შესახებ და უბრძანებია ხატი გაეგზავნა არხანგელსკის კარიქატი ახლადარსტულ ჩერინგორის (შემდომი კრასნოგორის) ღვთისმშობლის მონასტერში. 1629 წლის, საქემო ვითარებაში, ხატი მისავენეს, რომელმაც მაშინევ სასწაულები მოახდინა. ამ დროიდან ხატი, ყოველწლიურად, გარევეული დროით, გამოპქონდათ ტაძრიდან ქ. არხანგელსკის და მრევლის დაბალოცად. ხელოუქმნელ

სასწაულები, რომელიც უფლის კვართმა მოახდინა<sup>1</sup>. ნაბრძანები იყო სიგელების საჯარო წაკითხვა ყველა ექლესიაში და სამაღლოებელო პარაკლისის გადახდა ზარების რეკვით. ამ დროიდან ფოველი წლის 27 მარტს უნდა აღენიშნათ დღესასწაული პლად შედგენილი წირეს მიხედვით (84:290 № 73; 41:645; 61:64-65). სინამდვილეში იგი აღინიშნებოდა და პარასკევს, რაც წლის სხვადასხვა რიცხვს ემთხვეოდა. საბოლოოდ პატრიარქ ნიკონის (1652-1667) დროიდან დადგინდა 10 ივლისი (ძვ. სტ. ივლისი, 55:74), ჯერ ერთი, იმიტომ რომ მარტი დიდმარხვის თვეა, უფრო კი იმიტომ, რომ ეს დღე დაეკავშირებინათ მიხეილ რომანოვის მეფედ ქურთხევის დღისათვის - 11 ივლისი ძვ. სტ. (55:74).

შაპის მიერ გაგზავნილი ქრისტეს სამოსელის ნაწილი პირველი ასეთი სიწმინდე არ იყო მოსკოვში. 1627 წელს მიძინების ტაძარში უკვე ინახებოდა სამოსელის სამი ნაჭერი, სამ სხვადასხვა სანაწილეში, მოთავსებული სამ კიდობანში. ერთი იღგა ე.წ. უფლის კუბოზე, ერთი საკურთხეველში და ერთიც სანაწილეში (55:73). ძნელია იმის თქმა, ამ რელიგიიათა შორის იყო თუ არა XIV საუკუნის ბოლოს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა რუსეთში რომ გაგზავნა ჯვარი, რომელშიც სხვა სიწმინდებთან ერთად ჩადგებული იყო უფლის სამოსელის ნაწილიც (73:18).

შაპის მიერ გაგზავნილი სიწმინდე მოათავსეს უფლის კვიპაროსს კუბოზე, რომელიც იღგა მიძინების ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. 1624 წ., სამოსელის ნაწილის მოსკოვში მიტანის წინ, უფლის კუბოზე დააყენეს ბრინჯაოს კარავი (55:71).

XII საუკუნეში სამოსელი კიდევ დაანაწილეს და დაურიგეს რესეოს უმნიშვნელოვანეს ქალაქებს: კოსტრომას (1626 წ.) და იაროსლავლს (1630 წ.).

1627 წლის აღწერით, მიძინების ტაძარში იყო უფლის სამოსელის სამ ნაწილი, განლაგებული შემდეგი თანმიმდევრობით: უფლის კუბოზე იღგა ვერცხლის მოოქროოვილი კიდობანი, რომელშიც იდო ჩუქურთმიანი ზატა.

ზატის დაატარებდნენ კოლოგდაში, ველიკი უსტიუგში, პერიასლავლ-ზალესქმ და ცამბირში, სადაც ასევე სახელი გაითქვა სასწაულმოქმედებით. 1654 წელს, ზატურის განმალების მიზნით, იგი მოსკოვში გადასვენება. მაშინ დედაქალაქის შეკი ჭირი მძინარებდა. ზატის მაღლი გადაიღეს და ტრიოცის ეკლესიაში დამკერეს მის წინაშე ლოცვით მოსკოველებმა გვიდემიები აიცილეს. იმავე ღროს, პატრიარქ ნიკონის ქურთხევით, დაწესდა ქართული ზატის საეკლესიო დღესასწაული, რომელიც აღინიშნება 4 სექტემბერს (ძვ. სტ. 22 აგვისტო). ცნობილია ამ ზატის სასწაულმოქმედი მაღლები - მოსკოვის, ტულის, გმიანის, ტვერის (96:141-142).

იმავე კიდობანში იდო მცირე, ერცჰლის მოოქროეილი სანაწილე ქრისტეს სამოსელით; ორივე კიდობანი დაბეჭდილი იყო მეფის მიხეილ თევდორეს ძისა და მისი მამის უწმინდესი პატრიარქის ფილარეტ ნიკიტას ძის ბეჭდებით. უფლის კუბოზე იდო ერცჰლის სახატე სამოსელის ნაწილით, დაბეჭდილი ასევე მეფის და პატრიარქის ბეჭდებით. კიდობანზე იდგა ჯვარცმის ზატი. ქრისტეს სამოსელის ნაწილებს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდნენ: ორს ზომის მიხედვით - დიდი და მცირე, მესამეს კი - სატარებელი. ეს ოჯახებში დაქონდათ ავადმყოფების განსაყურნავად (87:416-417).

1681 წ. საეკლესიო კრებამ განიხილა საეკითხი სიწმინდეების დაცვისა და შენახვის შესახებ. დაადგინეს, რომ ქრისტეს სამოსელის კულა ნაწილი შეექრიბათ, ერთ კიდობანში მოეთავსებონათ და ცხოველმყოფელი ზის ნაწილთან ერთად შეენახათ. მათი გამოტანა უნდა მომხდარიყო წელიწადში ერთხელ - წითელ პარასკევს. მუდმივად, მნახველთათვის, უფლის სამოსელის ერთი ნაწილით კიდობანი, შეინახებოდა აღრე მოწყობილ აღგილობა, დასავლეთის მხარეს, ტაძრის კეთხეში (39:75-115). მაგრამ დადგენილება ერ შესრულდა. ბრინჯაოს კარავში ძველებურად იდგა სამი კიდობანი. სკუცალურად მოწყობილ კანკელში, სამსხვერპლის უკან, ინახებოდა ყველაზე ძვირფასი სიწმინდეები: უფლის სამოსელი, ღვთისმშობლის სამოსელი, უფლის ღვთისმანი, არჩილ II-ს მიერ წაღებულის საქართველოდან რუსეთში, რომელიც 1715 წელს პეტრე I-მა მიძინების ტაძარს გადასცა (63:65).

1701 წ. აღწერეს მიძინების ტაძარი. აღმოჩნდა, რომ იქ ინახებოდა ხუთი კიდობანი უფლის სამოსელის რვა ნაწილით. აგრეთვე სამი კიდობანი ინახებოდა უფლის კუბოზე, ერთი საკურთხეველში, ერთი სანაწილეში (55:73). როგორც უკვე ითქვა სამოსელის ორი ნაწილი კოსტრომასა და იაროსლავლში წაიღეს, 1730 წელს კი კიევის სოფიის ტაძარს, პეტერბურგის პეტრეპავლეს ტაძარს გადასცეს (55:73), იმპერატორმა პავლე I-მა რელიგიის დიდი ნაწილი პეტერბურგის ზამთრის სასახლის მხსნელის ხელთუქმნელი ხატის ტაძარს უბოძა (91:74). ბოლოს, ცნობილი არაა რომელ წელს, უკანასკნელი სამოსელის კიდობანი გამოიღეს ბრინჯაოს საბურავიდან და მოათავსეს საკურთხეველში. მის მაგიერ დასტეს XVIII საუკუნეში შეკურილი გარდამოხსნა, რომელიც XIX საუკუნის ცნობარებში, ზოგჯერ, შეცდომით მოისხენიება, როგორც ძველი, სპარსეთიდან უფლის სამოსელთან ერთად მოტანილი. ზოგიერთი ავტორი, საერთოდ, ერთმანეთში ურევდა გარდამოხსნასა და უფლის სამოსელს. ამ უკანასკნელს მხოლოდ წელიწადში ერთხელ, უფლის სამოსელის მოსკოვში მიტანის დღეს, საკურთხევლიდან

გამოიტანდნენ და სამეფო გვარის ყოველ, პრეზიდენტის მემკვიდრეს სამოსელის უმცირეს ნაწილს მისცემდნენ (ალბათ, ერთ ძაღლს) ტანისცმლის ქვეშ სატარებელ ჯვარში ჩასადებად (55:73).

XVIII საუკუნიდან გვაქვს ცნობები ქრისტე სამოსელის დატაცების შესახებ. 1730 წელს, როდესაც იმპერატორმა ანა ითანხმებოდა მოიხსენებ მასთან მიეტანათ ტრაპეზიზე დადგმული ოთხეუთხედი ერცხლის კიდობანი, აღმოჩნდა, რომ იქნიდან ამოღებული იყო უფლის სამოსელი (82:232-234). ასევე ცარიელი აღმოჩნდა შემდეგში სხვა რამდენიმე კიდობანი (დაწერ ა. 63:65-67).

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მიძინების ტაძრის სიწმინდეები ჯერ ჯვარამაღლების მონასტერში გადაიტანეს, ხოლო მისი დანგრევის შემდეგ 1931 წ. კვლავ მიძინების ტაძარში დააბრუნეს (91:75), სადაც დღესაც ინახება. შაბას მიერ გაგზავნილი რელიგიის შესანახი ერცხლის კიდობანი, მოთავსებულია მოსკოვის კრემლის ძვირფასი ლითონების განყოფილებაში (63:73-74).

ქრისტეს სამოსელის დადების დღესასწაულის შემოღებამ, მიძინების ტაძარში დღის წესრიგში დააყენა შესაბამისი ხატის შექმნის აუცილებლობა. იგი მართლაც შეიქმნა მცირე ხნის შემდეგ, 1627 წელს (57:9). მასზე გამოსახულია უფლის სამოსელის სახეებით დადება კუბოზე: პატრიარქი უილარეტი და ყმაწვილი მეფე მიხეილ თეოდორეს ძე ერთად სდებენ სამოსელს.

ქრისტეს კვართის მიმართ ინტერესმა თავისი გამოხატულება პიოვ ღიტერატურაშიც; განჩიდა სხვადასხვა შინაარსი თქმულებები, რომლების ამოსავალი 1624 წელს რუსი ელჩებისაგან და მოსკოვში მცხოვრები ორი ბერძენისაგან მოპოვებული ცნობები იყო. მცდარი მოსახტრება წამოაყნა ს. ბრაილოვსკიმ, თითქოს ნექტარიუსის და ანიკეს მონათხრობის საუკუნელი საბერძნეთში გაერცელებული თქმულებების ის შინაარსი იყო, რომლებშიც თითქოს აისახა ქრისტეს კვართის საქართველოში მოხვედრის ამბავი. ს. ბრაილოვსკი, როგორც ჩანს, არ იცნობდა ზემო დამოწმებულ იმ მასალებს, რომლებიდანაც ვიგებთ, რომ ორივე ბერძენს საქართველოში პქონდა მოსმენილი და ნანაბი ის რაც საელჩო პრიკატში მოახსენეს. ამის გაშო იყო, რომ ს. ბრაილოვსკის, მის მიერვე მოპოვებული ერთ-ერთი თქმულება ბერძნულიდან თარგმნილად ან „წმინდა რუსული წარმოშობისად მიაჩნდა. აქვე მომყავს ს. ბრაილოვსკიმ მიერ გამოჭვენებული თქმულების სრული ტექსტი:

## “ ამბავი ჩვენი უფლის იესო ქრისტეს პერანგისა

როცა უფალი ჯვარსაცვეს, მაშინ იერუსალიმში იმყოფებოდა ერთი ვრწმე ქართველი. ჯვარცმის შემდეგ ურიებმა (ЖИДОВЕ) კენჭი პეტრეს ქრისტეს ტანისაცმელზე პერანგი წილად ხვდა ქართველს და იმ მეომარმა პერანგი თავის სამშობლოში, საქართველოში მიიტანა. იმ მეომარს არ ჰყავდა არც ცოლი, არც შეილები, ჰყავდა მხოლოდ და. დამ ჰყითხა თავის ძმეს, სად და როგორ მოისოვა პერანგი. ის მას მოუყეა: ავიყავი ქალაქ იერუსალიმში და ჯვარზე გაეკარით უცნობი კაცი, რომელიც წერდება იესო ქრისტედ, ღვთის შეილად. როცა ის ჯვარსაცვეს, მზე დაბენებდა და მიწა იძრა, ქვს ფილები სამოცვივდა და დიდძალი ხალხი დაიღუპა. ზოგი ადამიანი დაბრმავდა, ზოგი დაყრუედა<sup>7</sup>. დამ უთხრა ძმეს, რომ ეს ნამდეილად ღვთის შეილი იყო და შეეხვეწა მისთეს ეჩუქებინა უფლის, იესო ქრისტე პერანგი. ძმამ აჩუქა დას ის პერანგი, რომელსაც ქალწული დიდი ხნის განმავლობაში, სამოცი წელი, საიმედო აღგილს ინახვდა და სწამდა ძმისი. ქალწულმა ითხოვა, რომ როცა ის გარდაიცვლებოდა პერანგში გახვეული ჩაესევენებინათ კუბოში. სამოცი წელი ესევნა მასში. აკლამში ამოისარდა დიდებული, ულამშესი ზეთისხილის ხე. ხიდან მირონმა დაიწყო დენა. საქართველოში იკურნებოდნენ ბრძები, კოჭლები, ჭრუები, მუნჯები, კეთროვნები. მავრამ ქართველებს სიხარბე მოერიათ და დაიწყეს მირონის გაყიდვა, დიდძალ შემოსავალს კი ითვისებდნენ. ღმერთი განრისხდა მათზე და ის ხე გაახმო. მირონი შეწყდა. აღარ იყო აღარც მირონი და აღარც განკურნება. ქართველები შეიკრიბნენ და იათაბირეს, მოხუცებს ეკითხებოდნენ რის და როგორ დაიშვი ეს სასწაული. მრხუცებმა უკამუჩეს: „მამებისაგან გვაქს გაგონილი, რომ როცა იერუსალიმში ურიებმა ჯვარზე გააკრეს ჩვენი ღმერთი იესო ქრისტე, პერანგი ქართველებმა, ჩვენმა ბატონმა მოიტანა და აჩუქა თავის დას, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში თავისთან ინახვდა და ირწმუნა ჯვარცმული უფალი იესო ქრისტე. სიკედილის წინ მან ითხოვა პერანგით ჩაესევენებინათ კუბოში. უკვე სამოცი წელია ის მიწამია<sup>8</sup>. ერთობლივიად გადაწყვიტეს ის ადგილი გაეთხარათ. გათხარეს კიდეც და ინილეს მის სხეული მოელი, როგორც ცვილი, უფლის პერანგში წეს ცოცხალივით. კველა ქართველი განცვილურდა ამ სასწაულის გამო. პერანგს მეოთხედი მოახიეს. შემდეგ ააგეს ლამში, მშევნიერი კიდობანი და მასში ჩადეს პერანგი, ხოლო იმ ქალწულის სხეულზე აღმართეს საკრებულო ტაძარი და ღღემდე მრავალი განკურნება იყო. ხელმწიფე მიხეილ თეოდორეს ძის დროს გაიგზავნენ ელჩები ყაზილბაშთა მეცესთან. ყაზილბაშთა მეცეს დიდი

მტრობა პქონდა ქართველ მეფესთან. ყიშილბაშთა მეფე წავიდა საომრიდ  
საქართველოზე და დადო ფიცი, რომ თუ ღმერთი შემეწვევა, ჰკელაფერის  
საბედნიეროდ გავუგზავნი ჩემს ძმს, მოსკოვის ხელმწიფეს. დაეხმარა ღმერთი  
მას საქართველოს დაპყრობაში და ღირსეულად დაეუფლა პერანგს. მან უფლის  
პერანგი მოსკოვში გაგდზავნა. მეფე ხელმწიფე მიხეილ თეოდორეს ძემ და  
უწმინდესმა პატრიარქმა ფილარეტმა უფლის პერანგი მოათავს მიძინების  
საკრებულო ეკლესიაში” (48:20-21).

„ამბავი“ საინტერესოა მრავალმხრივ. იგი ახალი ვერსიაა, განსხვა-  
ვებული მოსკოვში ქართველი (თეოდოსე) და ბერძენი (ნექტარიუსი და  
იოანიერი) სასულიერო პირების მონათხრობებისაგან, თუმცა უცილობელია,  
რომ მას საფუძლად უდევს საელჩი პრიკანის საბუთები, რომელიც ზალხში  
გაერცელდა და, გარკვეული, მიზანდასახული ცვლილება განიცადა. ჩანს  
შემთხვეველი არ იყვნენ ქართველებისადმი კეთილად განწყობილნა.  
ჯერ ერთი, ქვართის საქართველოში მომტანი, როგორც ავტორი მასე  
ათქმევინებს, უშუალოდ მონაწილეობდა ქრისტეს ჯვარცმაში. ხსნგამშელია  
ქართველთა სისარბე, რის გამოც გამმა ცხოველმყოფელი ზე და მირონის  
დენაც შეწყდა. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუსლიმანი შეა-  
ს მიერ ქრისტიანული საქართველოს დალამქერის მიხეშის ღვთის ნების  
განხორციელებად ასწანა. უფლის ქვართი მხოლოდ ამ გზით უნდა მოხვედ-  
რილიყო მოსკოვის სახელმწიფოში, რომელსაც ღმერთმა განსაკუთრებულ  
მისია დააკისრა.

საინტერესოა, რომ შეა საუკუნეებში ქვართზე პრეტენზიას აცხადებდა  
რამდენიმე ქათოლიკური ტაძარი. მათგან განსაკუთრებით ცნობილია  
გერმანიის ქ. ტრირის ქიტონი, რომელიც წერილობით წყაროებში  
მოიხსენიება 1191 წლიდან. გადმოცემის მიხედვით, იმპერატორ კრისტიანტინე  
დიდის დედა, დედოფალი ელენე ამ ქალაქიდან ყოფილა (სინამდვილეში  
ის ნიკომედიის მეზობელ პატარა ქალაქში დრეპანიუმში დაიბადა). 328  
წელს მან იერუსალიმიდან წამოიღო წმ. კვართი და თავის მშობლიურ  
ქალაქს, ტრირს გადასცა. ასევე ცნობილია საფრანგეთის ქ. არქანტონის  
ქიტონი და სხვ. დასახელებული ორი ქალაქის კვართის შესახებ არსებული  
ლიტერატურა კრიტიკულად შეისწავლა მ. თამარაშვილმა (7:148-144).  
მხოლოდ იმას დავამატებ, რომ ტრირის ეპისკოპოსის გადაწყვეტილებით  
XIX საუკუნის შეა ხანებიდან დამკვიდრდა ტრადიცია, პერიოდულად  
ქიტონი გაეტანათ ტაძრიდან, აბრეშუმის შალითაში ჩადებული. XX  
საუკუნის შეა ხანებში სპეციალურ კომისიას სიწმინდის ტათვალიერების  
ნება მიხცეს. კომისიის აქტში ნათქეამია: ქიტონი „წარმოადგენს ხავით

დაფურულ რაღაცას, მთლად დახეულს, რომლის მასალის დადგენა ამჟამად შეუძლებელია. შეუძლებელია იმის დაღვენაც კი ამ საგანს აქვს თუ არა ნაერები. ის დამზადებული იყო სელის ან ბამბის ქსოვილისაგან და არავითარი სახე არ ჰქონდა” (64:209-210). კომისიამ, მისი დასკვნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კვართის დამზადების თარიღი უკრ ივარაუდა.

ქრისტეს სამოსელის ყველთხე ჰყელ ნაწილად მიაჩნდათ ის, რომელსაც, გადმოცემა VII საუკუნეს მიაკუთვნებს. 603 წელს, ბიზანტიის იმპერატორის მავრიკიოსის 21 წელს, იერუსალიმის მახლობლად საფატში აღმოჩნდა, მარმარილო კიდობანში ჩადებული ქსოვილი. სამი დღე იმარხულეს ეპისკოპოსებმა - გრიგოლ ანტიოქიელმა, თომა იერუსალიმელმა და ზოსიმე კონსტანტინოპოლიელმა. სამოსელი იერუსალიმის იმ ეკლესიაში მოასაჭეს, სადაც საუფლო ჯვარი ინახებოდა (78:102; 7:140). როდესაც იერუსალიმს საფრთხე დაემუქრა, სამოსელი, სხვა რელიგიებთან ერთად ჯერ კონსტანტინოპოლში გადაიტანეს, შემდეგ კარლოს დიდის გადასცეს. ასე მოხვდა იგი არეანტომი (7:141).

რესეტისა და ევროპის სხვა ქვეყნების ტაძრებში დაცული ქსოვილები აღნათ, ქრისტეს სხვადასხვა სამოსელის ნაჭრები იყო. კვართი, ერთადერთი და მთლიანი დაცული იყო და არის სვეტიცხოველში.

შაპ აბასს, საქართველოში ღამქრობების დროს (1614-1617 წწ.), რომ კვართი წაედო, ამის შესახებ აუცილებლად აღინიშნებოდა იმ დროინდელ საბუთებში, ნარატიულ თხზულებებში ან საქართველოს და რესეტის მეფეების მიმოწერისას. განსაკუთრებით უნდა ითქვას უკანასკნელ მომენტზე. 1616 წელს თეიმურაშ I-ს ელჩმა იღუმენმა ხარიტონმა რესეტის ხელმწიფეეს მიართვა წერილი, რომელშიც მოყლედ აღწერილი იყო ის უბედურება რომელიც კახეთში დატრიალდა შაპ აბასის ურდოების შემოსვეის შედეგად. წერილში ყურადღება განსაკუთრებით გამახეილებულია კახეთის ეკლესია-მონისტრების სავალალო მღვიმარეობაზე: „ჩვენი ცოდნები გამო - წერდა მეუე თეიმურაში - ღვთის სამართლიანი განსჯითა და მრისხანებით, ის დაგვემართა, რომ მზე უკუნეთად გადაიქცა და მოვარე ხაქრა, დღე დამედ გადაიქცა და ღამე დღედ. ყიზილბაშთა შაპი თავისი უთვალავი ჯარით მოვიდა ჩვენს ქვეყანაში და გაანადგურა, უწმინდესი ხატი და ჩვენი მართლმადიდებლური ქრისტიანული ხატები წაბილწეს, ეკლესიები კი გაძარცვეს. მონასტრები, რომლებიც ნეტარსახსოვარი თ. ი. (თეოდორე იოანის ძის - ე.მ.) დროს ჩვენს ქართულ მიწაზე აშენდა, ოთხი დიდებული მონასტრი, რომელშიც დიდი ხელმწიფეების მიერ გამოგზავნილი რეა ხატისმწერალი იმყოფებოდა, ყიზილბაშებმა

გაანადგურეს, წმინდა ხატები დაწვეს და თქვენი საცოდავი დევისმლო-ცელები დახოცეს. სხვა მრავალი მონასტერიც გაანადგურეს, დვოს ხატებს ოქრო და ვერცხლი შემოაძარცვეს, ხოლო წმინდა ხატები ცეკვებ-ში ჩაყარეს. ჩვენს ქვეყანაში დიდი გიორგი სასწაულმოქმედის მონასტერია, რომელშიც სამიტროპოლიტო იყო, ისიც საძირკვლიანად დაანგრიეს, ეკ-ლესიაში შაპის კარავი დადგეს და იმ კარავში შაპი ერთი თვე იმყოფებოდა, ბილწავდა ჩვენს ჭეშმარიტ ქრისტიანულ რწმენას, მრუშობდა რათა შეებილწა დევთის ეკლესია. უფლის საკურთხევლის ტახტი, სადაც ფარულად ჩვენი იესო ქრისტეს სხეულია, ეკლესიიდან გადააგდო, სახარების და ჩვენი მართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენის სხვა წიგნები, როგორც პლო ისე შორეული აღგიღებიდან მოზიდული, ერთდ შექრიბა, ტბაში ჩაყარა და საფლობში ჩჩილდ“ (74:50).

წერილში, კონკრეტულად, მხოლოდ ერთი მონსტერია დასტელებული, წმ. გიორგისა, რომელშიც სამიტროპოლიტო იყო. რა თქმა უნდა მასში აღავერდის მონასტერი იგულისმება და არა ზეგანისა, როგორც თ. ერთ-დანია ფიქრობდა (23:2.3). და, თითქოს, „უჟეველია, რომ შაპისაგან რუსეთი გაგზავნილი ნივთი ის ერთი სიწმინდე უნდა ყოფილიყო, რომელიც შეს გაუტანია ზაგემის ეკლესიიდან და არა მცხოვიდამ“. მკელევარი იქვე იმოწმებს იმ მასალებს, რომლებიც ს. ბელოკუროვმა ამ საკითხის გამარ-კვევად შექრიბა. ს. ბელოკუროვის ნამრთმში მსგავსი არაფერი წერია. იქ მხოლოდ მოყვანილია ბერძენი ანიკების მოსხენების ის ფრაგმენტი, სადაც მან განაცხადა, რომ არ იცოდა სად იყო ქრისტეს კვართი. მაგრამ ზაგემში, მსხნელის აღდგომის ეკლესიაში ნახა ქრისტეს ხელოუქმნელი ხატი. იგვე ხატი იმავე ეკლესიაში უნახავს იერუსალიმის პატრიარქს თეოფანეს (45:18). რაც შეეხება თ. ერთდანიას მიერ მითიებულ „ნიკოს“, ისეთი არაფერი იდო შაპის მიერ მოსკოვში გაგზავნილ ზანდუქში, რომელიც ზაგემის ეკლესიაში დაცულ სიწმინდეებიდან რომელიმეს მიესადაგებოდა. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ზანდუქში არსებული ნივთებიდან, პირველ რიგში ის ქსოვილი გვაინტერესებს, რომელიც თითქოსდა კვართი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასეთი მსგავსების საფუძველი არ არის.

თეიმურაშ I, მართალია, რუსთ ხელმწიფოეს კახეთის უბედურებამ აცნობებდა, მაგრამ დაუჯერებელია, რომ შაპის მიერ მცხოვიდან კვართის წაღება მას არ სცოდნოდა და ამის შესახებ არაფერი ეთქვა თავის წერილში. მითუმეტეს. რომ მაშინ (1618 წ.) ჯერ არ იყო დაწყებული ის რელიგიურ-პოლიტიკური ვნებათლელვა, რომელმაც თავი იჩინა 1624 წლიდან. თეიმურაშს სრულებით არ სჭირდებოდა 1618 წელს რუსებისათვის დაემატ-

შეპის მიერ კვართის წალება. პირიქით, ეს კიდევ ერთი დამატებითი საბუთი იქნებოდა ქვეყნის უკიდურესად დამძიმებული მდგომარეობის წამადგენად, რაც იმ დროს კაბთა მეფის ინტერესებში შედიოდა. უიჭველია, რომ შეპისათვის ცნობილი იყო ქართველი ელჩის მოსკოვში საქმიანობისა და თეიმურაშის წერილის შენარსის შესახებ. სწორედ თეიმურაშის და, საერთოდ, ქართველი მეფების წარმომადგენლების მოხსენებებისა და წერილების მიხედვით აწარმოებდნენ რუსეთის დიპლომატები საქართველოს საკითხებზე შეპთან მოლაპარაკებას. ამიტომ ვერც შაპ აბასი და ვერც მისი ელჩი ვერ დაასახელებდნენ კვართის ხელში ჩაგდების დროდ საქართველოში ლაშქრობის წლებს. ახლა გამაგები ხდება თუ რატომ „იმოვა“ შეპმა კვართი 1622 წელს, რუსეთის ელჩების ირანში მისვლამდე სულ რამდენიმე თვით ადრე.

როდის უნდა გაეგოთ საქართველოში შაპ აბასის მიერ მოსკოვში გავზავნილი საჩუქრით გამოწვეული მითქმა-მოთქმის შესახებ? როგორც ზემოთ ითქვა, თეიმურაშ I-ს ელჩი თეოდოსე მანგლელი რევიზიონის მოსკოვიდან გამომგზავრების შემდეგ მიიტანეს „ქრისტე კვართი“. რასაც რუსები თეოდოსეს ეკითხებოდნენ სპარსელების მიერ საქართველოდან გატანილი სიტმინდებისა და საგანძურის შესახებ, შეიძლებოდა ეფიქრა, რომ ცნობისმოყვარეობითა და მომხდარისადმი სინანულით იყო გამოწვეული. თეოდოსემ არ იცოდა რუსეთის ხელისუფლებას კონკრეტულად რისი გავება სურდა. დღესათვის ცნობილი რუსული საბუთები გვიჩვენებს, რომ XVII ს. 30-იანი წლებიდან ჯერ თეიმურაშ I, შემდეგ კი სხვებიც ყოველთვის დაბეჯითებით აცხადებდნენ: ქრისტეს კვართი საქართველოში არისო.

მიტროლიტმა ნიკიფორემ 1635 წელს მოსკოვში მიიტანა თეიმურაშ I-ს წერილი, რომელშიც სხვადასხვა ამბებთან ერთად აღნიშნული იყო, რომ „ყოველისმცყრობელმა ღმერთმა თავისი მოწყალება არ მოაკლო და (საქართველოში) ქრისტიანობის საბოლოოდ მოსპობა არ დაუშვა, რადგან აქ, მცხეთის დიდ ეკლესიაში მოთავსებულია ქრისტეს სამოსელი. აქვეა დღესაც ჩვენი საპატრიარქი“ (74:112). რათა ყოველგვარი ეჭვი გაფანტულიყო, თეიმურაში მიხეილ თევდორეს ძეს სთხოვდა: „თქვენს თვითიმპურობელურ მეფობას შევთხოვთ არ დააკავოთ ჩვენი ელჩი და მასთან ერთად თქვენი ელჩი გამოაგზაენოთ... რათა მან დაათვალიეროს ჩვენი ქვეყნა და ქრისტიანობა, წმინდა ეკლესიები და ივერთა მთელი ქვეყნა, მცხეთის დიდი ეკლესია, სადაც მოთავსებულია ქრისტეს სამოსელი და დღესაც იქ არის, რათა თქვენმა თვითმპურობელობამ ჰქონითება

იცოდეს. ქრისტეს სამოსელი კახეთში კი არა, ქართლშია” (74:118). როგორც  
ჩანს, თეიმურაში ცდილობს გაასწოროს თეოდოსე მანგლელი რევიზოლის  
მიერ მოსკოვში დამვებული შეცდომა.

თეიმურაში მეფის წინადადება მიიღეს მოსკოვში და გადაწყვატეს სა-  
ქართველოში გამოეგ ზავნათ ელჩი, რომელიც მცხეთისაც მოინახულებდა  
(74:171, 190). მიტროპოლიტ ნიკიფორესაც თავის მხრივ უთქამს, რომ  
ქრისტეს სამსოელი (რივა) კახეთში კი არ არის არამედ ქართლშია. მა-  
მოთასებულია იმ ეკლესიის შუაში ქვის ბალახანაში, რომელიც აგებულია  
იქ, სადაც სამოსელზე ამოზრდილი კედრის ხე მოჭრეს. შემს იმ ბალახანს  
დანგრევა უნდოდა, მაგრამ ისინი ვისაც ეს უნდა გაეკეთებინა, ცეცხლმა  
შთანთქა სხვები კი გაიქცნენ. უფლის სამოსელის ნახევა არავის არ შეუძლია,  
რადგან ის ქვითაა ამოშენებული. მიტროპოლიტმა ხელმწიფების სთხოვა,  
რომ მისოფელ ეჩვენებინათ შაპის მიერ გამოგზავნილი ქრისტეს სამსოელი.  
სამაგიეროდ დაპირდა, რომ, როცა ხელმწიფის ელჩიები საქართველოში  
მოვიდოდნენ, ისინი მცხეთაში დაუბრუოლებლად ნახავდნენ უფლის კვართს.  
იქვე ის დანაკლისიც აღნიშნა, რომელიც საქართველომ შაპ აბასის  
შემოსევების შედეგად განიცადა. კერძოდ, „დაიკარგა შარავანდედი  
ქრისტეს ზატისა, რომელიც მთავარ აბგარს მიართვეს და უწმინდესი  
დვითისმშობლის სარტყელი, მოტანილი ცარგრადიდან. ფიქრობენ, რომ  
ის სიწმინდები შაპმა წაიღო” (74:201). თეიმურაშის ელჩის სცოდნისა ის  
სომხური თქმულება, რომლის მიხედვითაც იესო ქრისტემ ედესის მთავარს  
აბგარს გაუგზავნა „განკაცებული მაცხოვრის ზატი“ (19:127; 66:90).

ხელმწიფის ბრძანებით ნიკიფორეს თხოვნა დააქმაყოფილეს და მას  
აჩვენეს ქრისტეს ის სამოსელი, „რომელიც მეფის უმაღლესობას ყიშილბაშია  
შაპმა გამოუგზავნა“ (4:201). ნიკიფორეს თხოვნა დააქმაყოფილეს, მაგრამ  
როგორი შეაბეჭდილება მოახდინა ნაახამა, არაფერია ნათქამი. საკარაულოა,  
ნიკიფორემ თავისი ეჭვი გამოსთქვა შაპის საჩუქარზე და ამიტომ  
თეიმურაშითან გამოგზავნილ რუსეთის ელჩებს დაევალათ კანთა მეფისათვის  
ეთხოვათ მცხეთაში დაცული უფლის სამოსელი მოსკოვში გაეგზავნა.

1637 წ. მოსკოვიდან წამოვიდა განსაკუთრებული ელჩიბა. მის წევრებს  
სხვადასხვა დავალება მიეცათ. ზოგს უნდა შეეგროვებინა ცნობები  
საქართველოს ეკონომიკურ, სავაჭრო და სამხედრო მდგომარეობაშე-  
ელჩობის სასულიერო პირებს კი დაევალათ შეესწავლათ ქვეყნის  
საკეთების და რელიგიური მდგომარეობა. რუსი სასულიერო პირები  
უნდა დაინტერესებულიყვნენ, აგრეთვე საქართველოს სიწმინდებით. მათ

განსაკუთრებით დაწერილებით, სანდო და ზუსტი ცნობები უნდა შეექრიბათ მცხეთაში ქრისტეს სამოსელზე. ელჩიბის ერთ-ერთი წევრი იყო ბერი არსენ სუბანოვი, რომელმაც ორჯერ იმოგზაურა საქართველოში და ფრიად სინტერესი ცნობებიც დაგვიტოვა.

1639 წ. 16 აპრილს ზაგემში მოღაპარაკების დასრულების შემდეგ, რუსმა ელჩებმა მოითხოვეს, თეიმურაზის დაპირების თანაბმად, ეჩერებინათ ქრისტეს კვართი, რათა საბოლოოდ გაერკვიათ რას წარმოადგენდა შაპის მიერ ხელმწიფოსათვის გაგზავნილი საჩუქარი. თეიმურაზმა რუსებს უპასუხა: ვიდრე მიტროპოლიტ ნიკიფორეს მოსკოვში გამოვგზავნილი, მაშინ ჩემს მამულში, ქართლში ვიყავი და მცხეთაც, სადაც კვართია, მე მეკუთვნოდა. ნიკიფორეს წამოსვლის შემდეგ შაპი მოვიდა და ქართლი წამართვა. ამდენად კვართის ნახვის საშუალება აღარ გვაქვს (74:313-314, 349). რაც შეეხება შაპის მიერ მოსკოვში გაგზავნილ საჩუქარს, ის შეიძლება რუსთველი უპასკოპის უერიცვალების ეკლესიიდან წალებული ღვთისმშობლის სარტყელი არის, მაგრამ ის ეკლესიაც ჩემს სამფლობელოებში აღარ არის (74:314), ანუ მისი ნახვაც არ შეიძლება. ქართლი რომ ხელთ მქონდეს, ელჩებს უფლის სამოსელს, მცხეთის წმინდა დიდ ეკლესიას, სამწაულმოქმედ ნაწილებსა და წმინდა დიდებულ ზატებსაც ვაჩვენებდი. თუ ხელმწიფე დამეხმარება, მაშინ ჩემს ხელთ იქნება ქართლიც მცხეთაც და უფლის სამოსელიც, ჩვენს ივერიის ქვეყანას და ყველაფერს ხელმწიფეს მიეცემდით (74:350-351).

საპასუხო წერილებში თეიმურაზ I საბოლოოდ აყალიბებს თავის მოსახრებას მცხეთაში არსებული ღვთის სამოსელისა და შაპის საჩუქრებს შესახებ: „უფლის სამოსელი, რომელიც თქევნს მეფეურ დიდებულებას აქეც და, რომელიც მიტროპოლიტ ნიკიფორეს აჩვენეს, ის სამოსელია რუსთველის ეკლესიიდან, კ. ი. უწმინდესი ღვთისმშობლის სარტყელია... ღვთის სამოსელზე გადმოცემით ვიცით, რომ ის მცხეთის დიდ ეკლესიაშია და არა რუსთველისაში. როცა შეპ აბასი მოვიდა და ჩვენი მამული დაიპყრიო, მაშინ ის სარტყელი, რომელსაც თქევნიან უფლის სამოსელს ეძაბიან, შაპმა წაიღო და თქევნს მეუფებას გამოიუღ ზავნა. ნამდვილი სამოსელი დღესაც მოთავსებულია მცხეთის დიდ ეკლესიაში, რომელიც ქართლშია და არავის ძალებს იმისი ამოღება. თუ ღმერთი ინებებს და ქართლს დავიცყრობთ, მაშინ გველაფერი, მცხეთის დიდი ეკლესიაც და უფლის სამოსელიც შენი დიდი სამეფოსი იქნება, ჩვენც გველანი თქევნი მეფეური უმაღლესობის ხელქერითი გაეხვდებით, დიდო ხელმწიფევ. ამინ“ (74:353).

ამგვარად, თეიმურაშ 1-ს მიზანი სრულიად გასაგებია და მიხედვ თეიმურაშ ძეს ჟევე დაუფარავად სწერს: თუ რუსეთისათვის ქრისტეს კვართი ძეიმურაშია და მისი დაუფლება სურს, მაშინ ხელმწიფო უნდა დაეხმაროს თეიმურაშს დაიბრუნოს ქართლის სამეფო. რუსთ ხელმწიფის მფარველობაში შესულ ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოსთან ერთად უძიროფქენი სიწმინდეც ხელმწიფისათვის ხელმისაწვდომი გახდება. თეიმურაში იმასაც გამაგებად ამბობს, რომ კვართის ვერც ვერავინ ამოიღებს და, რა თქმა უნდა, ვერც ვერავინ წაიღებს საქართველოდან, ე.ი. ყველა შემთხვევაში, კვართი სვეტიცხოველში უნდა დარჩეს.<sup>1</sup>

აუცილებლად უნდა ითქვას თეიმურაშ მეფის ერთ „უნებლიერ“ შეცდომაში: ის წერს, რომ როდესაც მიტროპოლიტი ნიკიფორე ბერძენი მოსკოვში ელჩად გამოვაგზავნე მაშინ ქართლი მე მეკუთვნოდა და ამიტომ მოგიწოდებდით ჩამოსულიყავით, საკუთარი თვალით გენახათ და დარწმუნებულიყავით რომ კვართი მცხეთაში ინახებოდა. რა თქმა უნდა ეს შევნებულად დაშვებული შეცდომა იყო. ნიკიფორე მოსკოვში წავიდა 1635 წელს, მაშინ, როცა თეიმურაშს ქართლი უკვე დაკარგული ჰქონდა. 1633 წელს ირანში აღზრდილმა მუსლიმანმა როსტომმა (1633-1658) ქართლი დაიპყრო.

თეიმურაშს აღნიშნული შეცდომით უნდოდა გაერკვია რუსეთი რამდენად იყო მზად გადაედგა გაბედული ნაბიჯი კვართის დასაუფლებლად და, რაც მთავარი იყო, კვართის საკითხი გადაეცეია რუსეთის, როგორც მძღვანელი მოკავშირის და მფარველის მოპოვების ერთ-ერთ სამუალებად.

თეიმურაშს კვართის საკითხის პლაიტიზირება რომ სურდა, კარგად ჩანს 1646 წ. მოსკოვში წარგზავნილი გიორგი ჩოლოგაშვილისადმი ნაბრძანებიდან: „ჩოლოგაშვილის ბატონის გიორგისათვის ჩვენი პახუხი დიდისა ყოვლის პყრიბელის ჭელმწიფესთან ეს დაგვიძარებია. თუ ამას გვიზამს, რომ ქართლი დაგვაჭერინოს და იმაჩედ მოგვენმაროს,

1 1641-1643 წლებში ქახეთში იმყოფებოდა რუსეთის ელჩობა, რომელსაც სათვავემი ედგა თავადი ეფიძ თეოლოგებს ძე მიშეცეი. მიშეცეი, საერთოდ დაანტერესებული იყო ქახეთის სამეფოს უმნიშვნელოვანესი ეკლესია-მონასტრების შესწავლით და მან თავის ანგარიშში მრავალი მათვანის აღწერილობა შემოვიდა. ე. მიმეცეკის, რადგან მან მცხეთაში მისხელა ეკრ შეძლო, მის შესახებ ზაქარია მიტროპოლიტისათვის გამოუკითხვას, რომელიც ერთ დროს სვეტიცხოველში მსახურობდა. მას ელჩისათვის უთქამს: „ქართლში ქართველების ქრისტიანული რწმენა გასაჭირდება. მცხეთის ეკლესია, სადაც უფლის სამოსულია, ძევლებურად დგმ.. ხოლო უფლის სამოსელი, ამბობენ, საურთხეველში, ქვის ტრაპეზის ქვეშა. მაგრამ სინამდევილე არაერი არ იცის“ (77:159). მაშიასადამე, ზაქარია მიტროპოლიტი ქრისტეს კვართის არატრადიციულ განსახენებულზე მიუთითებს.

ჰატრიიარქათ იმათი ბერი დასვან: მაცხოვრის კვართია იქა, ადგილის საქმით დავიჭერთ და ჩემს შეიღს გიორგის წელმწიფეს მიესცებ: თუ ამას არ გვიძმენ, ამდენი ქრისტიანი ტყვე თათრდება. ლეპნი ჩამოგუშსნან, ციხე აუგონ, როგორც კელავ ყოფილა და იმისთვისცა მიესცემ შეიღსა: თუ არც ეს ქნან, ჩემს უხუცეს შეიღს ლუარსაბს ქალი მოსცეს, საქართველო საბოლოოთ წელმწიფისა იქნება...“ (49:64). ამგერად, თეიმურაში თავის წარმომადგენელს ავალებს, რომ მან მოსკოვის მთავრობას, მისი კავკასიაში გააქტიურებისათვის, პირველ რიგში ყველაზე მომხიბლელი წინადადება შესთავმოს: მცხეთაში რუსი კაცის გაპარტი-რიარქებით ქრისტეს კვართი, პრაქტიკულად, რუსთა ზელში აღმოჩნდება. თეიმურაშის ზემოთმოყვანილი წერილი, რა თქმა უნდა, სასოწარქვეთილებაში ჩავარდნილი პოლიტიკოსის ცდაა რამენაირად გაიჩინოს რეალური მოკავშირე ირანის წინააღმდეგ. მაგრამ ამის მიღწევა მაშინ შეუძლებელი იყო. რაც შეეხება კვართს, რუსთას, უახველია, მისი დაუუღება სურდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კი მისი მცხეთიდან მოსკოვში გადატანა მოხერხდებოდა. მაგრამ მათ ამის განხორციელების იმედი, როგორც ზემოთ ითქვა, თეიმურაშმა თავიდანვე გაუქარწყდა.

ქრისტეს კვართი რომ ნამდეილად მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში იყო, რუსები საბოლოოდ დარწმუნდნენ 1652 წელს, როდესაც საქართველოს მეორედ ეწვია უკავი ცნობილი არსენ სუხანოვი. ამჯერად, 24 სექტემბერს, მან შესძლო სვეტიცხოველში მისვლა. აი რას სწერს იგი ამ ტაძრის მონახულების შემდეგ: „ის მონასტერი ქვის ზღუდით არის, როგორც ციხესიმაგრე. პალატები ქვის იყო დიდი ორ სახურავიანი, ზოგიერთი ჩამონგრეულია, დგას ცარიელები. მონასტრის შუაში საოცარი საყდარია დიდი, მაღალი და მშენიერი, თეთრი ქვით ნაკეთები, ფანჯრის გრეხილებით და მრავალ ადგილას მწვანე ქვაა ჩაშენებული ექვს საყრდენზე. საყდრის შიგნით შუა ადგილზე მარჯვენა მხარეს, პირველ სვეტთან ორ ბოძს შორის მწერივში ოთკუთხიანი ბოძი დგას სიმაღლით სამი საენი, ქვეყნიდან ყრულ არის დაშენებული, ხოლო ზევით ოთხ ბოძალათ. ამ ოთხ ბოძალაზე ქვის თაღია კარავიეთ, გადახურულია ფიქალი ქვით. ქვემოთ თვით მიწაზე ამ სვეტთან, თითქოს პაწაწინა სახატე ნიში იყოს, უარდით არის ჩამოფარებული და მის ქვაუნილზე საფარია (ფარდაგი) დაგებული. და ამ ფარდაგზე მოჭედილი ხატები დგას. არსენმა უარდა გადასწია და სახატე ნიში დაათვალიერა, იგი ღრმა არ იყო, ეტყობოდა ქვა ცოტა ჩამონგრეულიყო, ხოლო იმ სვეტს ქვეშ ქრისტეს, ჩვენი ღმერთის, კვართია ჩადებული, სულ მოჟღია და დაუზიანებელი“ (35:75).

ა. სუხანოვის ჩანაწერიდან შეიძლება ისეთი მირი გამოვიტანოთ, რომ  
მან მხოლოდ კვართის განსასვენებელი ადგილი ნახა და არა თვით კურნი.  
მან რომ კვართი ენახა მაშინ ის ასე მშრალად არ იტყოდა: კვართი მოუღი-  
და დაუზიანებელიათ. ის ვალდებული იყო მცხვამი შეერიბა კვართისან  
დაკავშირებული ყველაზე სანდო და ზუსტი ცნობები (44:126). როგორი იყო  
ზომით, ფერით, რისგან იყო მოქსოვილი და ა.შ. რაზეც ა. სუხანოვი დუმს.

ა. სუხანოვის მიერ მოსკოვში მიტანილ ცნობას ქრისტეს კვართის  
შესახებ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა: გაირკვა, რომ შეა-  
აბასს საქართველოდან კვართი არ წაუღია და დამტკიცდა ქართველთა  
სიმართლე. ამის შემდეგ რუსეთის მესვეურნი მოერიდებოდნენ  
საქართველოს სამეფოებთან დიპლომატიური ურთიერთობის დროს  
კვართის საკითხის განხილვას, მით უფრო მას შემდეგ, რაც ნათელი  
გახდა, რომ ამით ზოგიერთი, თავისი მიზნების მისაღწევად, სპეცულაციას  
ეწეოდა. ნათქვამის საიდუსტრიაციო მოვიყვან ორ მაგალითს: 1669  
წლის 23 ნოემბერს მოსკოვში მივიდა იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ის  
ელჩობა და 6 დეკემბერს ხელმწიფეს ბაგრატის სარდლის დიმიტრის  
წერილი გადამცეს, რომელშიც სხვათაშორის ნათქვამი იყო: „მეფე ბაგრატ  
გავაძატონ. ახლა ურუმნი მოვიდნენ, იმერეთი აღაოხრეს, ხატ-ჯვარი  
შეურაცყვეს, ღვთითა წინა აღუდექით და ჩვენი ქვეყანა ასრე გავამაგრეთ,  
რომე ჩვენი ბატონიც და სულა მისი ყმანი, ცოლ-შვილითა ჩვენ  
შევიტიშნეთ და რაც საქართველოშიდ პატიოსანი ხატ-ჯვარი იყო და  
ნაწილები ყველა მე გადაკარიჩინე და ღვთით ის ქვეყანა ჩემს ბატონს  
ისევ დავაჭრინე... ასეთი ფეშქამი გვიახლებია, რომ სრულად  
საქართველოშიდ იმისა მაგირი არა იყო რა. პატიოსანი ნაწილი წმინდის  
ნიკოლოზის ხატითა მიახლებია ჩვენის ქარის დეკანოზის სკიმონის ხელით  
და თუ ხელმწიფებან წყალობა ყოს ჩვენ ზედან და გვიბოძოს რამე,  
ამისის ხელით გვიბოძონ, და ბედნიერის ხელმწიფისაგან თუ წყალობას  
დავინახავთ, ხელმწიფე რომე ყოვლად წმინდის პერანგს ეძებს და  
უბრძანებია: ღვთითა ისიცა და იესოს ქრისტეს მარტვილობის პერანგი  
აგარიანთ შიმისათვის ჩვენ შევიტიშნეთ და ჩვენს ხელად არის და თუ  
ჯამაგირს გაგვიჩენ და მაგათი წყალობა ჩვენზედ იქნების მოუშლელად,  
იმ ორშიდ, რომელიც კრიანება, იმას მოვართმევთ ბედნიერს ხელმწიფეს:  
ამისათვის შევიტყინეთ თავი, რომე ოცი ათასი მარჩილი ფაშას მივეცი  
და ექვსი ათასი ჯვარის მონასტერს, ძალი დამართებოდა, მრავალი  
ვალი აყიდებია და ჯვარის მამას მივეცი და ამ ქვეყანას თეთრი ძვირია

და ეერას თავს უაღ, ამის გულისათვის შემოვეხვეწეო ბეღნიერ ხელმწიფებს ტახტს" (49:86-87).

დიმიტრი სარდლის მეორე წერილიდან ვიგებთ, რომ ოურქებს დაუტკვევებიათ განსაკუთრებით ძვირფასი სიწმინდეები: ქრისტეს პერანგი, ღვთისმშობლის პერანგი და ჯვარი. თურქებს მეცე ბაგრატისათვის შეუთავმჩებიათ აღნიშნული სიწმინდეები გამოესყიდა, რაშიც მეუე თავის დიდებულებთან ერთად 20 000 ეფიმქი გადაუხდია. ბაგრატს განუხრახავს ის სიწმინდეები რუსთ ხელმწიფისათვის გაევზავნა, მაგრამ ურწმუნოთა მიმით ვერ გაუბედავს. თუ ხელმწიფეს სურს ის სიწმინდეები, მაშინ თავისი ელჩი გამოგზავნოს და რომელი პერანგიც უნდა ის წაიღოს.

კითხვაშე, რაში სჭირდებოდათ ქრისტეს პერანგი, დიმიტრის ელჩიმა უპასუხა: ჩვენს მხსნელს სიყმაწვილეში ეცვა ნაქსოვი, სახელობიანი პერანგი, რომელიც მარტვილის მონასტერში ყრუდ დაჭედილ ხის კიდობანშია. ქრისტეს პერანგი იმ მონასტერში მოუთავებია ივერიის მეფეს დავითს, მაგრამ როდის მოხდა ეს, არავინ არ იცოდა. არც ის იცოდნენ ქრისტეს და ღვთისმშობლის პერანგები დავით მეფემ სად იმოვა (21:161-163).

აღნიშნულმა ელჩობამ, მოსკოვის კარზე, სრული კრახი განიცადა. ზემოსხენებული წერილებიდან ნაწილობრივ მაინც ჩანს იმერეთის სამეფოში არსებული ვითარება. მეუე ბაგრატ IV ბრძა, ტახტიდან გაძევებული, საკუთარი ცოლის, დარეჯან თეიმურაშ I-ს ასულის მოკვლის შემდეგ, მედროვე დიმიტრი სარდლის დასმარებით კვლავ ტახტზე დაბრუნდა. სამეფოს დიმიტრი განაგებდა. ელჩიბის წევრების დაპატიმრებისა და გადასახლების სხეუ მისეზებთან ერთად (იბ. 25:124-125), უნდა ყოფილიყო რუსეთის სამეფო კარის ქართული სიწმინდეებით დაინტერესების მცდელობა. მათ ამით სურდათ მოსკოვის მიერ ბაგრატ IV-ს ხელისუფლების აღიარებისათვის მიეღწიათ და, ფაქტობრივად, იმავე კარზე მყოფი ნიკოლოზ (ერეკლე) ბატონიშვილის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. რუსეთი კი იმერეთის სამეფოში ნიკოლოზის გამეფებას გეგმავდა. წერილების გაცნობისა და ელჩიბის წევრების დაკითხვის შემდეგ რუსი მოხელეებისათვის გახაგები განდებოდა, რომ ელჩები კვართის შესახებ ცრუობდნენ. მათს მოქმედებას სხვაგვარ კვალიფიკაციას არ მისცემდნენ, თუ არა მოსკოვის მთავრობის შეცდომაში შეევანით დაუშასტურებელი მფარველობის, ჯამაგირის მოპოვების და გარეუეული თანხის გამოძალვის მცდელობას.

რუსი პოლიტიკოსები როდესაც გაიხსენებდნენ თეიმურაშ პირველმა რუსეთთან ურთიერთობის მისნებსა და მოლაპარაკების წარმოების დახვეწილ ფორმას, რა თქმა უნდა, იმერეთის მესვეურთა მფრ. შეთავაზებული პირობები სრულიად მიუღებელი იქნებოდა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებული მასალები არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, თითქოს თეიმურაშის, რომლის მძიმე მდგომარეობა მოსკოვში კარგად იცოდნენ, როდისმე განსრახული პქონდა, ან რუსეთის ხელისუფლებას პპირდებოდა, რომ კვართს მოსკოვში გააგზავნიდა, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს (25:92-96).

XVII ს. ბოლო მეოთხედსა და XVIII საუკუნეში რაიმე ოფიციალურ საბუთს რუსეთის მთავრობის ან ეკლესიის ქრისტეს კვართით დაინტერესებას რომ ასახვდეს, აღარ შევხვედრივარ. მხოლოდ არსებობს რამდენიმე უცხოელის მრკლე ცნობები. ერთი აღნიშნავენ, რომ კვართი საქართველოშია, მეორენი კი საწინააღმდეგო ჰირისანი არიან.

სომები ძალორიცხია არაქედ დაგრიფეცი გადმოგვცემს, რომ შაკ აბაშა კახეთში ხელი ივდო სხვადასხვა საეკლესიო ნივთი და სიწმინდე, მათ შორის ქრისტეს კვართიც და იგი დღეს ისფაპანში ინახება (2:28).

იმავე საუკუნის 60-ანი წლების შუა ხანებში საქართველოში ნამყოფი ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი ისე ლაპარაკობდა ქრისტეს კვართშე თითქოს იგი სეეტიცხოველში აღარ იყო: „ის ადგილი, სადაც ინახებოდა ის კვართი ჯერ კიდევ ცნობილია“ (56:47).

პავლე ალექსანდრი, თავისი მამხთან, ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსთან ერთად მოინახულა სვეტიცხოველი. ის მოსკოვში წარდგენილ საქართველოს აღწერაში<sup>1</sup> სრულიად საწინააღმდეგოს აღნიშნავდა: „ამ ეკლესიაში, მარჯვენა მხარეს არის დიდი სკეტი... იმ სვეტში არის ქრისტეს კვართი“ (4:73).

ეს შარდენი, 1672 წ. 17 დეკემბერს, მცხეთასთან გავლისას, სვეტიცხოველისა და კვართის შესახებ ამბობს: „შუა გზში პხლოს ჩავუარეთ მტკრის ნაპირზე მდგარ საქართველოს საპატრიარქო ეკლესიას. ერთი ნაწილი ეკლესიასა დანგრეულია, მეორე ნაწილი კი მორიდან მოვლი და მეტად ლამაზი ჩანს. ამბობენ, რომ (ქრისტეს - ე.მ.) ეკლის გვირგვინის ნაწილი, კვართისა და წინამწარმეტყველი ელიას კაბის ნაჭრები ინახებათ. პირიადად მე არ მინახავს ეს რელიკვიები. მაგრამ კაპუცინები მარწმუნებდნენ, რომ საკუთარი თვალით ენახეთო“ (22:275).

# თავი IV ქრისტეს კვართი XIX-XX საუკუნეთა საეკლესიო და სამეცნიერო ლიტერატურაში

„ახლა კი გონის მოდით მეფენი!  
განისწავლენით ქვეყნის მსაჯელნი!”

/ფს. 3:10/

XIX ს. დასაწყისიდან, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა, ქრისტეს კვართის საყითხი კელავ აქტიური გახდა: ოდესადაც მცხეთიდან მოსკოვში მისი გადატანით დაინტერესება სრულიად ახალ იმპულსს იძენს. ქვეყნდება, თითქმის ერთმანეთის გამომრიცხავი მოსამარებანი.

1840 წელს კიევის სახულიერო აკადემიის უურნალში ქვეყნდება ანონიმური წერილი - „უფლის სამოსელის დადება (10 ივლისი)<sup>14</sup>. მასში ძალიან მოკლედ გაღმოცემულია სამოსელის მოსკოვში მიტანის და მთავრობის მიერ სამოსელის ნამდვილობის დასადგენად გამოძიების ჩატარების შედეგები. სრულიად დამანინჯებითაა არქიეპისკოპოსი ნექტარიუსის ნათქვამი ქრისტეს კვართის საქართველოში მოტანის შესახებ. როგორც თავის ადგილის ითქვა, ნექტარიუსმა სათათაბიროში მოხსენება გააგზავნა (45:22). ანონიმი კი ამბობს, რომ თათბირზე დამსწრებება დაადასტურეს ნექტარიუსის სიტყვები, რომ მართლმადიდებელ ქვეყნებში არსებული გაღმოცემის მიხედვით უფლის სამოსელი არის საქართველოში (75:21-22). შემდეგ მოთხრობილია ერთმა, რომაელთა სამსახურში მყოფმა ქართველმა მეომარმა, როგორ მიიღო უფლის სამოსელი, მოიტანა საქართველოში და თავის დას აჩუქა. ქალწულმა დაიბარა, რომ ის გარდაცავალების შემდეგ, კვართით დაექრძალათ. მის საფლავზე აღმოცენდა მირონმძინარე ხე და ბოლოს, იმ ადგილას ქართველმა მეფეებმა ეკლესია აღმართეს. ძნელია იმისი დადგენა, რომელ წყაროს ეყრდნობა ავტორი, როდესაც მოგვითხრობს შემდეგს: „მე-7 საუკუნის დასაწყისში სპარსელები ამ ქვეყნაში შეიჭრნენ, ეკლესია დაანგრიეს და ხე მოჭრეს. მის ადგილას ქრისტიანებმა, სამახსოვროდ, ბოძი დააყენეს. რაც შეეხება უფლის სამოსელს, ზოგიერთები სამართლიანად ფიქრობენ, რომ დათის განსაკუთრებული განგებით, მორწმუნებებმა სპარსელების შემოსევის დროს,

იმ ქალწულის კუბოდან ამოიღეს, მღვდელმთავრებს გადახცეს და იმ ეკლესიაში დადეს, რომელშიც შემდგვმი ნექტარითუმა იჩილა. შეპ (აბგავა) საქართველოშე თავდასტმის დროს, რათა სამოსელი საიმედოდ დაეცვა, ის საეკლესიო ჯვარში შეინახეს. შემდეგ მოთხოვობილია კვართმა როგორ გაუძლო გამოცდას მოსკოვში, მოახდინა მრავალი სახწაული და მის დღესასწაული დაწესდა. დასასირელის, ავტორი მორწმუნებს მოუწოდებს დღესასწაულის დღეს მივიღნენ „მხსნელის სამოსელთან, იგივე ქატონთან“ (75:123). იმპერატორის ვიტყვეი ანონიმმა როგორ დაამაზინჯა ნექტარის მოხსენების შინაარსი, მაგრამ ის მაინც უნდა აღინიშნოს, რომ მას ქრისტეს კვართი მოსკოვში ეგულება.

ზემოთგანნილება სტატიაზე დაყრდნობით პ. იოსელიანი 1842 წ. გამოქვეყნებულ სტატიაში იშიარებდა შავ აბასის მიერ საქართველოდან კვართის წალებას და მისი რესეტში გაგზავნას. მაგრამ მას რატომდაც, შეცდომით მიაჩნდა, რომ აბასი საქუქარი გაუგზავნა მეუე ბორის გოლუნოვს, მეუე მიხეილ თეოდორეს ძემ და პატრიარქმა ფილარეტმა კი მხოლოდ კვართის დღესასწაული შემოიღეს. პ. იოსელიანს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ უფლის სამოსელი მოსკოვის მიმინების ტაძარში ინახებოდა. ხოლო მისი ნაწილები კი - სანქტ-პეტერბურგში სახანდის დიდ ეკლესიასა და აღექსანდრე ნეველის ლავრაში (59:51-52).

იმავე 40-იან წლებში გამოქვეყნდა მ. სელეშნოვის საინტერესო წიგნის პირველი ტომი, რომელშიც მნიშვნელოვანი აღვილი საქართველოს და მისი ეკლესიის ისტორიას ეთმობა. შესავალში ავტორი მეოთხელს პ პირდებოდა, რომ საქართველო წარმოდგენილი იქნებოდა XVII საუკუნის იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოს ნოტარას ნაშრომიდან - „იერუსალიმის პატრიარქების ისტორია“ - ამოციებილი ცნობების მიხევით. მ. სელეშნოვმა, დოსითეოსის ცნობებს დაურთო ზოგიერთი სხვა მასალაც, მაგრამ ისე, რომ საქმეში ჩაუხდავი მეოთხელი ვერ გამოარჩევს, რომელი ეკუთვნის დოსითეოს, რომელი სხვა ავტორს ან თუით სელეშნოვს. მ. სელეშნოვის ერთ-ერთ ჩანართს წარმოადგენს კვართის და საქართველოს გაქრისტიანების ისტორია, რომელსაც მოვიყენ მთლიანად, რადგან მასში კარგად ჩანს როგორი ინტერესები და ტენდენციები ამოძრავებდა XVIII-XIX საუკუნეთა რესულ მართლმადიდებელ ეკლესიას და რა მიზნებით იყენებდა საქართველოდან წალებულ რელიგიას.

მ. სელეშნოვი წერს: „შემ. ნინო იერუსალიმიდან ქართლში მივიდა 5835 წ.. სამყაროს შექმნდან (327 წ. ქ. შ.) და ცხოვრობდა 12 წელი.

შევნიშნავთ, რომ მან, იურუსალიმში ყოფნისას გაიგო, რომ ჩვენი მხსნელის  
სამოსელი ივერთა ქვეყანაში არის და მის მოსაძებნად და ნახვიდად  
კვლურ ხალხში ქრისტიანული რწმენის საქადაგებლად ივერიაში გამოიმვა-  
ზავრა. თავდაპირველად მის ქადაგებას და სასწაულებს გავლენა პქონდა  
დედოფალზე, მის ქარზე და ხალხის ნაწილზე. მეცე მირიანი უარყოფდა  
შეგონებას, ნინოს წმინდა საგმირო საქმეებს და კერპებისადმი თავიანი-  
სცემს განაგრძობდა. ბოლოს, ღვთიური სიკეთის გავლენით ისიც წმინდა  
რწმენაშე მოექცა. ერთხელ, როცა ნადირობდა, მირიანს ნისლი შემოერტყა.  
მან იმის შიმით, რომ მთიდან ხრამში გადაიჩეხებოდა, დაიყიცა: თუ  
უკნებლად გადარჩებოდა ქრისტიანობას მიიღებდა. ნისლი გაიფანტა და  
მეფეებ, ნადირობიდან უკნებლად დაბრუნებულმა, ფიცი შეასრულა: კერპები  
დაამხო და ივერიელები, მისი მიბაძვით, მოინათლონენ. ამ მოქმედებას  
ნინოს სასწაულები ახლდა. მან ყაველი დონე იმმარა გაეგო, სახელდობრ,  
რომელ ივერიელ მეომარს ხვდა წილად კვართი. მან მეცე მირიანი  
დაარწმუნა საგულდაგულო ტენის შესდგომილა. არ შეიძლებოდა სიწმინდე  
მიწამი დარწენილყოფა. ამ ხელმწიფებმ ღვთისმოსავური გულმოდვინებით  
მოიძია იმ ადგილი, სადაც დამაღული იყო ქრისტიანთავის ძეირცხი  
განძი. მცხეთაში მცხოვრებ იუდეველთაგან ვინმე აბიათარმა, თაობათა  
გრძელი რიგიდან პირდაპირ მთამომავალმა, დასახულებული ივერიელი  
მეომრის გვარისამ, რომელიც მაცხოვრის ჯვარცმას დაესწრო, მან,  
წინაპართა გაღმოცემის, იცოდა მხსნელის კვართის შესახებ და მეცეს  
უჩვენა კედარი და უთხრა, რომ მის ძირში იმაღლება ღვთიური კვართი.  
ამ სიწმინდისადმი პატივისცემის გამო, მეცემ ამ ადგილს ააგო 12 მოცი-  
ჭელის სახელობის ხის ეკლესია. კედარი, მისი მრავალმხრივი სამკურნალო  
თვისებების გამო, გამოიყენეს ჯვრებისათვის, რომლებიც მართლმადი-  
დებლებს და ავადმყოფებს განსაკურნებლად დაურიგეს. შემდეგში ხის  
ეკლესიის მაგივრ აღიმართა დიდგველი გოთურ-ბერინული არქიტექტურის  
ქვის ტაძარი. კედარის ჯირკვნე (დადგეს) ქვის ბორი, რომელიც დღესაც  
არსებობს იმ ორ სკეტს მორის, რომლებიც მცხეთის ტაძრის გუმბათს  
იჰქენს. ის ხალხში ცნობილია, როგორც მირონმწოდელვარე. მასწე მიმაგრე-  
ბულია კებოში მწოლიარე უფლის კვართგადაფუარებული სიღონის გა-  
მოსახულება. ზემოთ დღით კედარი, რომლის მაღლა წარმოდგენილია  
ძლიცველი მხსნელი, მის ქვემოთ კედარზე ხელჩაჭიდებული თრი ანგე-  
ლოზი, მათ უკან კი აქეთ-იქით წმ. დიდმოწმენე გოორგი და წმ. მოციქულთა  
წერილი ნინო. შეინიდან და მაღი ადგილებიდან მისული ღვთისმოსიდა

ხალხი მოწინებით ემხობა წმ. ხატის წინაშე, ბოძის ძირში მიწამ ემსარქს, და სწირაქს საკუეველს, ცეილს და სანთელს, რომელიც ღვთისმსახურების დროს ბოძის გარშემო დიდი რაოდენობით ანთია. მცხეთის ჩანაწერებში არ არის ასწილი, მაგრამ გადმოცემა მოვეითხოვთბებს, რომ (ქართი) უულა განგებით, როცა სპარსელები პირველად ფლობდნენ ამ ქვეყანას, ერთგულმა ქრისტიანებმა ქალწულის კუბოდან ამოიღეს და ცოდვილია ხელიდან ისხნეს".

"ბოლოს წმ. განგებამ, როცა სპარსელები სხვა დროს დაუუფლნე ქვეყანას, სპარსთა შეა აბას განუსაზღვრა... ეს სიწმინდე გადაეცა რუსეთის ღვთისმოსავი ეკლესიისათვის იმის ნიშნად, რომ ქართული ეკლესია, ჩვენი მხსნელის მეთაურობით იქნება რუსეთთან ერთად უძლიერესი თვითმშერთ ბელის სკიპტრის ქვეშ..."

"წმინდა ნინომ, მოვეითხოვთბენ სოცრატი და სოზომენი, მე-5 საუკუნის კლასიკისი მწერლები, მრავალი სახწაულის გარდა მოახდინა უკარი განკურნება ორი ბრძის, დედოფლისა და მისი მსახური ქალისა, მხოლოდ ღვთის სახელით და გულითადი ლოცვით. ამას გარდა განგებამ, იყერიელუ ბის მიერ დატვევებულ წმინდა დიაცე, დააკისრა მათი ქრისტიანობის მოქავეა, მან ნება მისცა, საიდუმლო ძალით, ადგილიდან დაეძრა კლდები კი მცხეთის პირველი ქართული ტაძრის ასაშენებლად. აი როგორ მოვეითხოვთბენ ეს მწერლები ამ სახწაულის შესახებ: მეფე მირიანა დაწყო ტაძრის შენება. თაღის დახაყოდენად განზრაბული იყო სამი ქაბ სვეტი. ორი ჩასვეს მათოვის გამინნულ ფაზიდებში, მესამე კი, უზილავი ძალით შეკავებული, ადგილიდან არ იძროდა, ასე რომ იკერიელები ცდილობდნენ აღესრულებინათ მეფისა და თავიანთი განზრაბეა, თოვება დაწულობრივის და გველა ძველებური ამწე მანქანა მოშალეს. ამ სამწუხარო მდგრმარეობაში ისინი აიძულა დახმარებისათვის ნინოსათვის მიემართო და სასიკეთო საქმეში მოსახრილეობა სიხოვეს. მან, მუხლებზე დაჩირქილს მთელი ღამე ლოცვახა და მხსნელის დიდებაში გაატარა. მოზდა სახწაული დილით სვეტი უზილავი ძალით ცაში ავიდა და გაჩერდა, მიწმე აღა ეშვებოდა. მეფე მირიანმა და ხალხმა, მშენებლობის ადგილზე მისულებს ნინოს ჩწმენის სახწაული დაინახეს, მიწმე დაემხნენ და მხსნელს ადა დებდნენ. სვეტი, ყველას თანდასწრებით, უზილავი ძალის მიერ მართულ დანიშნულ საძირკველში ჩაშვა. სოცრატმა ეს იკერთა მეფისაგან მოისმისა, სოზომენმა ქართველი მთავრისაგან. ნინომ ამავე ადგილას მოძებნა მხსნელის სამოსელი, რომლის ნაწილი ამჟამად ოქროს ზანდუქში ინჭება

პეტრე-პავლეს საგანძურში, ტაძრის საკურთხევლის წინ, მარჯვენა შეხარება, სამოსელი ნაპოვნია 332 წელს ქ. წ. მამასადამე, ის მიწიდან ამოღვეს 1500 წელზე მეტი წნის შემდეგ” (75:25-27).

ამჯერად, სრულიად ზედმეტად მიმარისა მ. სელეზნოვის თხზულებიდან მოყვანილი ამ ურცელი ამონარიდის გარჩევა-შეფასება. აეტორი, რა თქმა უნდა, იცნობს საეკლესიო და საერო შეწერლების თხზულებებს საქართველოს გაქრისტიანებშე და კვართის ჩვენს ქვეყანაში მოტანის სხვადასხვა კერსიებს, მაგრამ კველაუერს ისე აწვდის მკითხველს, რომ იგი დაარწმუნოს კვართის რუსეთში წაღიძის აუცილებლობაში. სიმართლეს არ შეეუძლია მისი ნათქვამი თითქოს ქართველებმა სპარსელთა შიშით იგი განსახვებიდან ამოიღეს. მხგავსი თქმულება საქართველოში არ არსებობდა. მ. სელეზნოვის მიხედვით ისე გამოდის, რომ ის რაც ქართველებმა კვართის გადასარჩენად მოიმოქმედეს სრულიად ზედმეტი იყო, დათის განგებით, კვართი ქართველებს კი არა სპარსელებს უნდა უადაცრინიათ და გადაარჩინეს კიდევ. მას სურს რუსეთის იმპერიის არსებობა დათის ნებად გამოაცხადოს. საქართველო რუსეთის იმპერიიში შემავალ სხვა ხალხებთან შედარებით, უძველესი ქრისტიანული ქვეყანა იყო. მისი იმპერიის შემადგენლობაში შესვლა ღმერთის დიდი წნის წანათ განუსახლვიას: საქართველოს ჯალთმა, შაპ აბასშა, წმ. ნინოს მიურ 332 წ. მიწიდან ამოღვებული (?) წმ. კვართი, ქართველებს წაარითვა და იგი რუსეთს გადასცა. ბოლოს ღვთის განკუპა მსრულდა და კვართის წილ-ხვედრილი ქვეყანა რუსეთის წილი გატადა. თაქცა, რომ მ. სელეზნოვი იცნობდა ქართულ თხზულებებს კვართის შესახებ. მაგრამ მათს ცნობებს სინამდვილის დასადგურად სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მისთვის სრულად სანდო იყო სიმება ტატირიქოსის არაქელ დავრიცეცის ნათქვამი, რომლის მიხედვითაც შაპ აბასშა კვართი მცხვთიდან წაიღო (ამის შესახებ დაწერილებით ქვემოთ). რაც შეეხება ქართულ თქმულებას, მ. სელეზნოვს, იგი კურადღების ღირსად არ მიაჩნდა (81:153).

მართალია, არ იყოდა როდის, მაგრამ ოდესაც რომ მიწიდან ამოღვეს კვართი, ეჭვი არ უპარებოდა მ. ჯანმუხილს. ის წერდა „მხოლოდ გევლანი დარწმუნებული არიან, რომ კვართი, პეტებს შემდეგ, სულ მუდამ ინახებოდა მცხვთის სამთავრო ტაძარში და ხან იდო გვარდუცში, ხან ჯვარში“ (37:19). როგორც ჩანს, მ. ჯანმუხილი ფიქრობდა, რომ კვართი წადგებული იყო. ამიტომ წერს: სულ მუდამ ინახებოდა.

არქიმანდრიტ არსენის, რუსეთის ეკლესიის მსტორის მევლენაში, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ შაპის მიერ მოსკოვში გაგზავნილი რელიქვია „მხსნელის უკერავი ქიტონი“ იყო (4k645).

მოსკოვისა და კოლომინის მიტროპოლიტი მაკარი თავის რუსეთის ეკლესის მსტორიაში, რუსელ წყაროებზე დაყრდნობით, გადმოვცემის შაპ აბაშის გამუხლიმანებული ქართველი ელჩის მიერ მოსკოვში ქრისტეს პერანგის ან სამოსელის მიტანის, მისი გამოცდის, სახწაულების მოხდენის, მისი დღესასწაულის დაწესების შესახებ. როგორც ჩანს მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ შაპის საჩუქარი ნამდვილად ქრისტეს კვართი იყო, რომელსაც სან პერანგს (სრაცისა) ხან კი სამოსელს (რივა) უწოდებს (61).

ამილავდა რა 1681 წლის რუსეთის საეკლესიო კრების დადგენილებას, რომლის მიხედვით ქრისტეს სამოსელის (რივა) ცალკეული ნაწილები უნდა შეეკრიბათ და ერთ კიდობანში მოეთავსებინათ, გ. ს. დებოლესკი სრულიად სწორად დაასკვნიდა: ამ დადგენილებიდან ჩანს, რომ ჯარისკაცების მიერ გაფოფილი უფლის სამოსელის ნაწილები და მოედი (კვართი), უძევდესი დროიდან სხვადასხვა ეკლესიაში ინახებოდა (78:102). ამგვარად, გ. დებოლესკი ერთმანეთობაგან განასხვავებდა ქრისტეს სამოსელს (რივა), როგორც სხვადასხვა ჩასაცმელის ერთობლიობას და ცალკე გამოქვეყნდა კვართს, ე.ი. იმას რაც მოელი, დაუნაწილებელი დარჩა. რა თქმა უნდა, გ. დებოლესკის ნათქვამი დიდ აღმოჩენად არ ჩაითვლება, მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ არც მანამდე და არც მის შემდგომ, რუსეტორებს ეს არ უთქვამთ, თუნდაც უახლოეს პერიოდშიც კი.

პირველი, ვინც კატეგორიულად უარყო შაპ აბაშის მიერ ქრისტეს კვართის საქართველოდან გატანა, იყო მ. საბინინი. იგი კარგად იცნობდა საკითხთან დაკავშირებით შექმნილ ლიტერატურას და წერდა: „ის (კვართი. კ.მ.) არამოღვეს არ გაუსხნია ქართულ ეკლესიას და არამოღვე შეუნახავს ტაძრის სანაწილები. მაგვე არ წაუღია ბიწიერ შაპ აბაში, როგორც მრავალი უმეცარი გადმოგვცემს. ის დაცულია მცხეთის ტაძრის ქვეშ და მოელი კავკასიის საქრისტიანოსათვის ითვლება მოკრძალებული თავიანისცემის აღვილად“ (79:10). მ. საბინინი იმავე მჩრას ავითარებდა თავის სხვა ნამრომშიც, დაახლოებით 20 წლის შემდეგ (80:70).

1892 წელს თ. ქორქანიამ გ.პ. „ივერიაში“ დაბეჭდა მოცლე გამოყვლება (რატომდაც იგი რედაქციის „უკელისტონის“ რუბრიკაში ვამოაქვენა). კვართის საქართველოში მოტანის მსტორის მოცლე მიმოხილვის შემდეგ ავტორი მწევას მსჯელობას XVII საუკუნის რუსული სათანადო დო-

კუმენტების დამოწმებით. მას უსაფუძლოდ მიაჩნია, აღნიშნულ საუკუნეში გავრცელებული ხმა შაპის მიერ კვართის მოსკოვში გაგზავნის „შესახებ“ და კრიტიკულად განიხილავს ოუსეთის ხელისუფლების იმ შასალებს, რომელებითაც თითქოს დამტკიცდა კვართის ჭეშმარიტება. თ. უორდანიას რატომდაც ეონა, რომ შაპ აბასმა ზაგემის ეკლესიიდან გაიტანა ის ქსოვილი, რომელიც მოსკოვში კვართად მიიჩნიეს (23).

იმავე წელს გამოქვეყნებული „ქრონიკების“ I ტომში, თ. უორდანიამ, მცირეოდები ცვლილებებით, ზემოთ განთილული სტატა მოათავსა (32:15-16).

6. მარს ეჭვი არ ემარტოდა შაპ აბასის მიერ საქართველოდან კვართის გატანაშა და მისი ოუსეთ ხელმწიფისათვის საჩუქრად გაგზავნაში. ის, უაღრესად ტენდენციურად, განიხილავდა მის ხელით არსებულ წერილობით წყაროებს.

6. მარი საყვედურობდა იმ ქართველებს, რომლებიც უარყოფნენ შაპ ის მიერ კვართის წალებას და ამ სიწმინდის ძველ ადგილას არსებობას ამტკიცებდნენ. ის განსაკუთრებით მყაცრად პრიტიკებდა თ. უორდანიას იმ სტატიისათვის, რომელიც მან, როგორც ითქვა, უქრონიკებში შეიტანა.

6. მარი თ. უორდანიას ნათქვამს, რომ ქართული ლოტერატურა უურადღებოდ არ დატოვებდა ისეთ უცხვერებას, როგორიც კვართის წალება იყო, უპასუხებდა: „ისიც შესაძლებელია, რომ ქართული მატიანები დუმან მეომარი ქართველებისათვის სასირცხვილო მოვლენაშე, რომლებმაც ვერ შესძლეს დაეცათ ეს „ქაბალხი“ სიწმინდე, იმიტომაც რომ ამ ფაქტის აღიარება არ შეესაბამებოდა იმ შეხედულებებს, რომლებსაც ქართველი პილიტიკოსები, სხვათმორისის, აფუქნებდნენ იმშე, რომ უფლის ქიტონი მათ ხელში იყო“ (66:70).

შემდეგ კვართი რომ ნამდვილად წაიღო, 6. მარი, ამის დასტურად, ზაფლგარი კომენტარის გარეშე, მ. სელექსონის მსგავსად თუ გავლენით, XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის არაქელ დავრისუეცის ცნობებს მიიჩნევდა. არაქელი წერდა: „ქახეთისა და გრემის ეკლესიების ნივთები და სიწმინდები... შემდებარება არ დაემტკრიათ, წაეღოთ ქალაქ ისფაპანში და სახელმწიფო ხაზინაში შეენაბათ. დღემდე იქ, სახელმწიფო ხაზინაში ის ნივთები, რასაც ჩენი სალხიდან ბევრი ადამტურებს, რომელთაც ის წმინდა ნივთები თავისი თვალით უნახავთ. ქრისტეს შეკრავი კვართიც სხვა სიწმინდეებთან ერთად წაიღის და იგი იმავე ხაზინაში, ქალაქ ისფაპანში ინახება, რომლის წინაშე ამღაც სანოულს ანთებენ. ამ ამბის მიხრობელთ თვითონ თავისი თვალით უნახავთ იგი. ისინი სარწმუნო კაცები იყვნენ“ (2:28).

მოყვანილ ციტატაში ნათქვამია შაპის მიერ კაბუთის უკლესიერის გაძარცვაშე. სკეტიცხოველი ნანსენბიც კი არ არის. თავის ადგილზე ვცადე გამერკვაა, როდის ან საიდან უნდა წაეღით მს სიწმინდეს რომელსაც შაპი ქრისტეს კვართად ასაღებდა. 1623 წელს რელიეფია უკვე მოსკოვში გაიგზავნა. სხვათამრის, არაქელის თქმით, საქართველოდან დამტკიცდება მრავალი საეკლესით ნივთი და სიწმინდე წაიღეს. წაიღეს ბერი ისეთი ნივთიც, რომლის არსებობა დავრიცეცმა არ იცოდა. ირანის ქაჩა პროპაგანდისტები, შაპის ბრძანებით, როგორ ხმებს ავრცელებდნენ და რას უნთებდნენ სანთელს, ამის გარცვევა დღეისათვის უკვე ძნელია. ისე გამათვალისწინებელია, რომ სომები ისტორიკოსი XVII ს. 50-იან წლებში წერდა თავის „ისტორიათა წიგნს“. არ ჩანს როდის ნახეს ან როდის მოუთხრეს მისმა „ხარწმუნო კაცებმა“ არაქელს, ამის გარცვევაც შეუძლებელია. რაც მთავარია, არაქელი არაფერს ამბობს შაპის მიერ კვართის მოსკოვის გაგზავნაშე. მაგრამ, ალბათ, ნ. მარისათვის ამის ნაყლები მნიშვნელობა პქონდა. მისთვის მთავარი იყო, რომ არაქელი ამ რელიეფს საქართველოდან წაღების აღნიშნავდა.

ნ. მარის შემდგომი ბრალდება ქართული ისტორიოგრაფიისადმი არის ის, რომ ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებასა და ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტვაობაში“ არაფერია შაპი აბასის მიერ კვართის მასტები გაგზავნაშე (66:70-71). ძნელია გმხიარება ნ. მარის ბრალდებისა და ხელებული მოღვაწეებისადმი, თითქოს ისინი გვერდს უვლიდნენ ქართისირი“ საკითხს. ქართველ ისტორიკოსებს და მათ შორის ვახუშტისაც ჯერთვანი მსალის არსებობისას, მრავალი არასამაყო ამბავი შეუსწავლით და საჯაროდაც გამოიტანიათ. კვართის შესახებ დუმილი უნდა იჩხნის იმით, რომ XVII საუკუნის ქართლისა და კახეთის სამეფოების საგარეულოთის მომავალი მასახული ქართველებისა და სამხრეთის სამეფოების საგარეულოთის მომავალი არასამაყო არასებობისას არა არსებობდა. ვახუშტიმ, მართალია თავისი ნაშრომი. მოსკოვში დასრულა, მაგრამ დღეისათვის ცნობილი ის რუსული დოკუმენტები და ლიტერატურა, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს წაადგება, მაშინ ვაძლევ ვაჭრებული არ იყო. ვახუშტის იმის სამუალება არ ექნებოდა მოსკოვსა და პეტერბურგის არქივებში ეძღვნა ის, რაიმ არსებობს შესახებ მს წარმოდგენაც კი არ პქონდა. კვართი რომ სვეტიცხოველში იყო მს, ისევე როგორც მის თანამედროვე ყველა ქართველს, ეჭვი არ გამარტოდა და, ამდენად, იმას ვერც დაადასტურებდა და ვერც უარყოფდა, რაც ნ. მარის დაუკარებლად მიაჩნდა.

მაშინ, როდესაც რუსეთში თითქმის საბოლოოდ ირწმუნეს, რომ კვართი კვლავ საქართველოში იყო, ხ. მარი საწინააღმდეგოს დამტკიცებას ცდილობდა.

ა. ნატროშვილი, სვეტიცხოველზე დაწერილი შესანიშნავი მონოგრაფიის ავტორი, ბუნებრივია, შეეხო ამჯერად საინტერესო საკითხს. მან ეჭვებეს დააყენა ყველა ის მოსახლება, რომელიც კვართის მოსკოვში გადატანას უჭერდა მხარს. მან დაგვიტოვა იმ სვეტის, მასზე არსებული ხატების და ფრესკების დეტალური აღწერილობა, რომლის ქვემაც კვართი განისვენებს.

გ. თამარაშვილმა სცადა დაემტკიცებინა საქართველოს პრიორიტეტი, როგორც კვართის პირველი მფლობელია და არა როგორც მისი სამუდაბო განსახვენებელი ადგილისა. მან, როცა მიმოიხილა გერმანიას და საურანგვეოში ქრისტეს კვართის არსებობასთან დაკავშირებული მასალები და ლიტერატურა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს უწმინდესი რელიგია საქართველოში იყო არაბების მიერ დაპყრობამდე. ამის შემდეგ კი, არაბებს „უნდა მოტეაცებინათ წმ. კვართი ბევრ სხვა რელიგიისთან ერთად. მათ მშესავავ ხელთაგან უნდა გადასულიყო წმ. კვართი მოგვიანებით ტრიის ეკლესიაში, თუ ტრიის ეკლესიას ნამდვილად პჟონდა იგი“ (7:151). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ. თამარაშვილი კერ გაიშიარებდა შეაც აბასის მიერ ქრისტეს კვართის ჯერ საქართველოდან გატანას, შემდეგ კი რუსეთში გაგზავნას. აი რას წერდა იგი: „მართლაც, ცნობილია, რომ საქართველოს დაუძინებელმა მტერმა შაპ-აბასმა 1616-1618 წწ-ში აღისრა ეს ქვეყანა და წაიღი ყველაფერი რაც მას მკირფამი და წმინდათაწმინდა ებადა. წმ. კვართის გატაცება კი არ შეეძლო, რადგან ეს წმ. ნაწილი უკვე აღარ იყო საქართველოში... ამგვარად, რუსეთში ჩვენი უფლის წმ. კვართის არსებობა ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ღეგენდაა“ (7:152).

6. ნაკაშიძე, XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის სტორიის მონოგრაფიულ გამოკვლეული, გვერდს ვერ აუკლიდა შეაც აბასის მიერ ქრისტეს კვართის მოსკოვში გაგზავნას, მაგრამ ის მხოლოდ საკითხისადმი არსებულ ზოგიერთი მქონევრის პოზიციის აღნიშვნით შემოიფარგლა და ამ საინტერესო საკითხზე თავისი მოსახლეება არ გამოიუწვამს (68:83-84).

საბჭოთა პერიოდში თითქმის არაფური არ დაწერილა კვართის შესახებ, რადგან მაშინდელი იდეოლოგია ამგვარი ინტერესების საშინაოდ იყო მიმართული. XX ს. 90-იანი წლებიდან კი, საბჭოთა წყობილების დანგრევის

შემდეგ, რესეფში გამოცოცხლდა კვართისადმი ინტერესი, რაც რეზულტატი პერიოდიდან აისახა კიდეც. სპეციალურად ვიტყვი მხოლოდ რამდენიმე მათგანზე.

1991 წ. უკრანალში - „მუნიცირება და რელიგია“ ("Наука и религия")

- გამოქვეყნდა ა. შამაროს სტატია - „უკერავი კვართის საიდუმლოებელი აუტორი იცნობს ქრისტეს კვართითან დაკავშირებულ წერილობით წყაროებსა და ლიტერატურას, მათ შორის ქართულსაც. მას დასამუშავდა მიაჩნია, რომ შაპ აბასის მეორებმა სვეტიცხოვის ტაძარი გაანადგურეს, წმინდა საფლავი გათხარეს და ქიტონი ამოიღეს, რომელიც შემდგომში მოსკოვში გააგზავნეს. ა. შამირი სერიოზულ უხერხულობას გრძნობს, როდესაც ქართული ეკლესია ტრადიციულად კვართის სვეტიცხოველში არსებობას აღნიშნავს. ამიტომ ის წინადადებას აკენცხავს: რელიგია, რომელიც მოსკოვში დაცულია, აუტორიტეტულმა კომისიამ შეისწავლის, რათა სიმართლე დადგინდეს.

1996 წ. „მოსკოვის საპატრიარქოს უკრანალში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ნ. ენეევა ბერძენი ითანიკებს სათათბიროში მონაცერობის უკრანი ინტერპრეტაციის შედეგად დასკვნის: წილისყრის შემუჯუდებელის სამოსელი ქართველმა დაქირავებულმა ჯარისკამა, სამსახურის დამთავრების შემდეგ, სამშობლოში წაიღი და ის დადი წნის განაკვეთის მიწაში ინხებოდა. მოგვიანებით მასშე აღიმართა ტაძარი, რომელიც გადაიქცა ქართველი მეფეების საძვალედ. სამოსელი მიწაში დარჩა XVII ს. შეა ხანებამდე. შაპ თამჩის დროს (1524-1576) ტაძარი აათხიეს. მათინ ქართველებმა სამოსელი ამოიღეს და, უკვე დაძველებული, რადგ გაყვეს. ერთი დადეს მცხეთის, მიტროპოლიტის ქათედრშე, ხალაროში (სიკრისიში), ჯვარში ჩადგებული. სწორედ ეს იძოვა შაპ აბასის, შეორე ნაწილი კი, შეიძლება ზაგემში იყო (55:69).

რესაი მცველევარის დასკვნის ის აღვილი იძყრობს ფურადლებას, საიდუმლება კიუარაუდოთ, რომ შაპ თამჩის დროს ქართველებმა კვართი მიწიდან ამოიღეს და დაანაწილეს და ა.შ. ამით ენეევას, რომელიც დარწმუნებულია შაპ აბასის ძევრ საქართველოდან კვართის წალებაში, სურს ასხნას როგორ ჩაუკარდა აბასის კვართის ის ნაწილი, რომელიც მას მოსკოვში გააგზავნა. მეოთი რამის თქმის საფუძველს ითანიკებს მოხსენება, რომელსაც თავის აღვილის განვიცათით, არ იძლევა. ითანიკებს არ უთქვეშს, რომ ქართველებმა კვართი ამოიღეს, ყოველ შემთხვევაში XVII საუკუნის 10-იან წლებამდე, ე. ი. ითანიკებს მცხეთაში ყოფნამდე. პოლო ჩემს

შემდეგ ქართველებმა ქიტონი თუ ამოიღეს, ამისი არაფერი ვიციო განაცხადა მან. ასე, რომ ნ. ენევეამ არასწორად გაიგო ან შეგნებულებდა დამამართინებით მოხსენების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი.

ქრისტიანობის 2000 წლისთავთან დაკავშირებით მოსკოვში გამოიცა კრემლში დაცული რელიკვიების აღწერა, თითოეული მათგანის მოყლე ისტორიული მიმოხილვით. ამ უაღრესად საინტერესო წიგნიდან, ამჯერად, ჩემი ყურადღება მიიძყორ ი. კარალოვს სტატიამ, მიძღვნილმა უფლის კვართისადმი, რომელიც ინახება მიძინების ტაძარში. ეს არის იმავე ავტორის მიერ 1996 წელს გამორქვეყნებული სტატიის ვარიანტი (63:64-67). სტატიაში მოცემულია მოყლე ისტორიული მიმოხილვა კვართის საქართველოში მოტანის შესახებ და უაღველ ფაქტიად აღიარებულია ამ რელიკვიის მოსკოვში წაღება (91:72), როგორც ჩანს, მოსკოვში დაცული ქსოვილი ავტორს უფლის კვართად მიაჩინა.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ უახლოესი პერიოდის რუსმა მკერდევარებმა ანგარიში უნდა გაუწიონ შემდეგ გარემოებას: ქიტონის ანუ კვართის შესახებ არსებული დოკუმენტური და ნარატიული წყაროების შესწავლის შედეგად, რუსეთის უმაღლესი სამღვდელოება საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიღა, რომ სრულიად მართალი იყვნენ ქართველი მეფეები და ქართველი ეკლესიის წარმომადგენლები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ კვართი სკეტიცხოველშია და იგი არასოდეს არავის არ ამორედია, მითუმეტეს, არავის არ წაუდია. რუსული “შართლმადიდებელი საკულტოსი კალენდრის” (1980 წ.) მიხედვით, 1 (14) ოქტომბერს

აღინიშნება „დღესასწაული კვართისა საუფლოისა და სკეტისა ცხოველმყაფელისა (საქ.)“<sup>4</sup>. რუსეთის ეკლესია, თავის მხრივ, ჭოველ 10 (23) ივლისს აღინიშნავს - „ჩევნი უფალი იესო ქრისტეს წმინდა სამოსელის დადება მოსკოვში (1625)“.

ამგვარად რუსმა ლვისმეტყველებმა გამოაცხადეს, რომ ორივე დღესასწაული სწორია. მაგრამ ისინი მიძღვნილია იესო ქრისტეს სხვადასხვა სამოსელისადმი: 1 ოქტომბერი - ქიტონის ანუ კვართისა, რომელიც ელიოზმა იერუსალიმიდან მცხეთაში მიიტანა და იქვე დაიმარხა, ხოლო მეორე დღესასწაული - 10 ივლისი კი, მოსკოვში მიტანილი ქრისტეს სხვა სამოსელისა.



### От редактора

Представлять специалистам профессора Эльдара Михайловича Мамишвили нет необходимости. Картвелологи хорошо знают его с многочисленными исследованиями. Но, если несмотря на это, я все таки собираюсь рассказать читателю о его творческих интересах, это вызвано только уверенностью: книга вызовет интерес широкой общественности.

